

**პრემიერის
 გამოსვლა
 ბაეროში**



**ირაკლი ღარიბაშვილი:
 „ჩვენ ვინც ვიყავით სვლას
 ამბიციურ გზაზე, რომელიც
 იტყობს გაბედულ ნაბიჯებს“**

მთავარი მსიჯავი და შეფასებები



**ექსკლუზიური ინტერვიუ
 შს მინისტრ ბიორგი
 მღებრიშვილთან**
EXCLUSIVE

„საჭიროა, დავიცვათ
 ზღვარი, რათა, ერთი მხრივ,
 კრიმინალმა იგრძნოს კანონის
 მთელი სუსხი და სიმკაცრე
 და, მეორე მხრივ, არ ხელწყობ
 ადამიანის უფლებები“

ექსკლუზიური
 ინტერვიუ ცესკოს
 თავმჯდომარესთან:



**როგორ
 სვდება
 2016 წლის
 არჩევნებს
 ცესკო**

Time SCANDAL
სუსიშვილების უარი სააკაშვილს

გუბერნატორის გეგმებს არც სხვა მსახიობები დათანხმდნენ



„სუსიშვილები ამ მიუზიკლში
 ჩართული არ იქნება“

სკანდალური ექსკლუზივი

ჰოლივუდის ვარსკვლავის
 თბილისური სკანდალი



**ნასტასია კინსკი
 ტურისტულმა
 კომპანიამ
 „გადააგდო“?!**

მანსტრომ
 ვატარკაციშვილის ქვრივს
 „მანსტროს“ ყიდვა სურდა?



რ თაბაში რატომ გალავს
 ნამოიშო „უცნობი“ 10
 კობა მილიონის
 მოგელიამ ნარმოგაველობას

**„ნაციონალური შეთქმულება“ და
 მზადება სოციალური აფეთქებისთვის**



„სტენარი
 ერთად
 დაინარა და
 ამ სტენარში
 შედის ასეთი
 ტიპის ტყუილი
 დემარშები“

რა ვეალებათ გიორგი
 ქადაგიძესა და გიორგი
 კახუაშვილს?

რომან შიფინს
 დაუპიწყარი
 საჩუქარი სტიქიით
 დაზარალებულებს



EXCLUSIVE

ევექსი
 სამედიცინო კორპორაცია

ანვიეთ
 „ევექსის“ ახალ
 ამბულატორიულ
 ცენტრს გლდანში
 და 28,29,30
 სექტემბერს მიიღეთ
 უფასო სამედიცინო
 მომსახურება

„ნაციონალური შეთქმულება“

მარიამ ნადირაძე


შემოთავაზებული სტატია ერთგვარი რეზიუმეა იმ მოვლენებისა, რაც უკანასკნელ ხანს ჩვენს თვალწინ განვითარდა.

მოცემულმა ასეთია: ყოფილ ხელისუფლებას ამჟამინდელ სახელისუფლებო ვერტიკალში ორი მნიშვნელოვანი დასაყრდენი დარჩა. ეს არის ეროვნული ბანკი და საკონსტიტუციო სასამართლო. ორივე ორგანიზმის ხელმძღვანელი ნაციონალურ ხელისუფლებასთან ვალშია... აქამდე ჩანდა, რომ ვალს ქადაგიძე უფრო მეტი ინტენსივობით აბრუნებდა, ვიდრე პაპუაშვილი და „ქართული ოცნების“ მიმართ მზარდ ნიჰილისტურ განწყობებში ლომის წილი სწორედ მას შეიძლება მივაკუთვნოთ... მეტიც, ცოტა ხნის წინ მტკიცედაც შეიძლება საუბარი იმაზე, რომ პაპუაშვილი პრაქტიკულად, საერთოდ არ ქმნიდა პრობლემებს, თუმცა გიგი უგულავას სარჩელის გადანაცვლისას გამოჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ერთ-ერთი მთავარი „ფიშკა“ სააკაშვილისთვის, რომლისთვისაც საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ერთი აღიარებული უკანონო პატიმრის ყოლა ნითელი ხალიჩაა ამბიონამდე...

შეგვიძლია განვიხილოთ ერთი დღის ქრონიკა, რომელიც, ვფიქრობთ, ცხადად გამოკვეთს კონსტიტუციის საერთო სურათის ხარმოსადგენად. პროგნოზები კი – უკვე გემოვნების მიხედვით...

მამ ასე, 2015 წლის 16 სექტემბერი, საკონსტიტუციო სასამართლოში განგაძია. თავმჯდომარე სააკაშვილი ოფიციურად მხოლოდ მოსამართლე მერაბ ტურავასგან ხელმოწერის „გამოძალავას“ (ცდილობს იმ გადანაცვლებებზე, რომელიც რამდენიმე თვის წინ შესულ პატიმარ გიგი უგულავას სარჩელს პასუხობს. ეს უკანასკნელიც „მედგარ“ წინააღმდეგობას უწევს „მოძალადებს“... გადანაცვლება ჯერჯერობით უცნობია ფართო საზოგადოებისთვის...

ამ პროცესების პარალელურად სოციალური ქსელი ფეთქდება ინფორმაციებით დოლართან მიმართებაში ლარის ნიშნულის 2.54-მდე გაზრდის შესახებ. ინფორმაციის გამავრცელებელი ნაციონალური ელიტის ის ნაწილია, რომელიც მეტად აქტიური „ფბ“-მომხმარებელია. სინამდვილეში კი ქუჩაში, საჯალუტო ჯიხურებში ჩვეულებრივი მოქალაქეები დოლარს 2.42 ლარში ცვლიან. მხოლოდ ერთმა, „საქართველოს ბანკმა“ დააფიქსირა ის ნიშნული, რასაც ვირტუალურ სი-



მზადდება სოციალური

ვრცეში ნაციონალური ელიტა დაჰქვითინებდა...

რამდენიმე საათში ყველაფერი ლაგდება: ზუსტად 21 საათსა და 04 წუთს შეაკაპულის ხელისუფლების იუსტიციის მინისტრი და ჯერ კიდევ იმხანად არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი საზოგადოებას ამცნობს გადანაცვლებას, რომელსაც, თუ მარტივ ენაზე გადმოვთარგმნით, გიგი უგულავას უკანონო პატიმრად აღიარება ჰქვია. ეს გადანაცვლება კი პირდაპირ ეთერში გადაიცემა ტელევიზიით, რომლის ხელმძღვანელიც ისევე და ისევე ნაციონალური ხელისუფლების გენერალური პროკურორის მოადგილე გახლდათ.

რალა თქმა უნდა, ნაციონალურ „ფბ“-გვერდებზე ლარის კურსზე გლოვია და ვაი-ვიშიც წყდება. ნაციონალურებს ზეიმი აქვთ... მოგვიანებით თავისუფლებაზე 23 საათის განმავლობაში მყოფი გიგი უგულავა იტყვის, რომ მათ ივანიშვილის ხელისუფლება ბეჭეტზე დასცეს...

კითხვა: იყო თუ არა ეს წინასწარ დაგეგმილი ერთგვარი ანტიკორუპციული სექემა, სადაც სააკაშვილის

ხელისუფლების ორ „მოჰიკანს“ განსაკუთრებული როლი ერგო? ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს ქვემოთ კონკრეტული ექსპერტებისგან მივიღებთ. მანამდე კი შევეცდეთ სხვა დეტალებზე განვიხილოთ:

თავის დროზე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ლარმა სულის ლაფვა დაიწყო, ნაციონალების სათავე ოფისიდან სტრატეგიულმა „სლოგანმა“ გამოჟონა – ცოცხების ახალი ეფექტი – ლარის კურსი... და მას შემდეგ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, მიუხედავად უამრავი ტალახის მოგერიებისა, მაინც ახერხებს პოზიციების შენარჩუნებას. ხალხი კი სოციალური აფეთქების ზღვარზე...

ეკონომიკური ექსპერტი მიხეილ დონდუა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას არ გამორიცხავს, რომ საქმე მართლაც გვერდეს საბოტაჟთან:

– ქადაგიძე ამ სისტემას ხელმძღვანელობდა მაშინაც, როდესაც პოლიტიკური სისტემა ტერორს ახდენდა საფინანსო სისტემაზე. ამ მიმართულებით რამდენიმე ქე-

ისიც გამოვლინდა და ამ ყველაფრის უშუალოდ განმასხვრავლებელი პირი გახლდათ ქადაგიძე. რაც მეტემა საკონსტიტუციო სასამართლოს, მის მიმართ ნდობა არ არსებობს იმის გამო, რომ ეს ადამიანები არჩეულნი არიან იმ სისტემის მიერ, რომელიც თავად არ იყო დემოკრატიულად არჩეული. არსებობს მთელი რიგი კითხვის ნიშნებისა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი მოქმედება შეიძლება იყოს

კონტროლირებული. ამასაც თავი რომ დავანებოთ, მათი მოქმედება, თუნდაც ბატონი ქადაგიძის მოქმედება, ჩვენ გვაძლევს დიდ რისკებს.

– შესაძლებელია, მოხდეს მათი შეთანხმება თუნდაც კონკრეტული პროცესების დაგეგმვის ფარგლებში, რაც უარყოფითად აისახება დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ პერსპექტივებზე, ან მოამზადებს ნიადაგს სოციალური აფეთქებისთვის?

– ასეთი საშუალებები მათ მინიმუმ ხელში აქვთ. თუმცა მექანიზმებზე ვერ ვიტყვით ასე დაბეჯითებით, ვინაიდან უკანასკნელ დღეებში ჩვენ ვაჭყობთ უკან დახევით პოზიციას, რაც მათეფიქრებინებს, რომ სიტუაცია სტაბილიზაციისკენ წავა. „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური ბრძოლისთვის ყველა ტიპის იარაღს იყენებს, მათ შორის ემოციურს, აუიოტაჟისკენ მიმართულს. ამას ეხებათ ყოველკვირულად. თუმცა, გრძელვადიანი პანიკის გამოწვევა მათ არ შეუძლიათ. ლარის აუიოტაჟური გაფუჭება მალევე წყდება. ალბათ, ყველა მიხვდა, რომ


არ ღირს ამ აუიოტაჟის აყოლა და პანიკური დამოკიდებულება. ძალეები, რომლებიც პანიკის გამოწვევას ცდილობენ, ნელ-ნელა სუსტდებიან, რადგან მათი მოქმედებები არ ამართლებს, საბოლოო ჯამში, და საბოლოოდ ყველაფერი რეგულირებას ექვემდებარება. ყველა პარამეტრი, რომელიც შეიძლება ლარის გაუარესების, ან უკეთეს მდგომარეობაში ჩადგომის პირობებზე მიუთითებდეს, გაუმჯობესებულია და მიაჩნდება იმაზე, რომ, საბოლოო ჯამში, ლარის დღევანდელი კურსი უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე არის. ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მცდელობა, გააჩინოს უიმედობა, აუცილებლად დამარცხდება. მათ მიზანი ჰქონდათ, სექტემბერში კურსი 3.0 ნიშნულამდე ასულიყო, მაგრამ ვერ მიაღწიეს. როდესაც კურსი 2.5-ზე ავიდა, ეს იმდენად ცხადად აუიოტაჟური იყო, რომ ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, დაერეგულირებინა და ლოგიკისთვის დაემორჩილებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მათი ქმედება გამომჟღავნდებოდა.

– შეგიძლიათ, კონკრეტულად გავცეთ პასუხი კითხვაზე: შეუძ-



საპოტაშური განზრახვებით

როგორ იქცევინან ნაციონალები კრიზისულ სიტუაციებში?



რა ევალუატი გიორგი ქადაგიძესა და გიორგი პაპუაშვილს?

აფეთქებისთვის?

ლია თუ არა ქადაგიძეს, გაატაროს ის პოლიტიკა, რაც ყოფილი ხელი-სუფლების პოლიტიკურ სურვილებს დაეკავშირება? თუნდაც სოციალური აფეთქება გამოიწვიოს...

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ვინც უნდა იყოს ის, შეუძლია, გამოიწვიოს ყველაფერი – სასიკეთოც და საზიანოც. თუმცა, ეს მოქმედება იქნება დროში მოდულირებული. შესაძლებელია „ნაციონალური მოძრაობა“ ფიქრობდეს, კონკრეტულ დროში გამოიწვიოს სიტუაციის არევა, მაგრამ გამოძინარე ფიქსირებული პარამეტრებიდან, საინვესტიციო მარჯვენებლებიდან, ეკონომიკური მარჯვენებლებიდან, გამორიცხულია, ვინმემ გრძელვადიან პერიოდში შეინარჩუნოს საბოტაჟურად ლარის დამაქცევარი ეფექტი.

ფიქრობთ, მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს სოციალური მიმართულებით გათვლილი სტრატეგიები და გეგმები. ახლა კი, რაც შეეხება გიგი უგულავას გარშემო დაგეგმილ სტრატეგიას.

პოლიტიკურ ძალას, რომლის ლიდერთა ერთი ნაწილი გისოსე-

ბს მიღმა აღმოჩნდა, სხვა ნაწილი კი – საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჰაერითი სჭირდებოდა ერთი ალიარებული უკანონო პატიმარი. ამ მიზნის მისაღწევად, რაღა თქმა უნდა, ყველა ხერხი „გამართლებული“ იყო. ეს პროცესი ყოფილი მერის სარჩელით დაიწყო, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა, სადაც გიორგი პაპუაშვილის არსებობის გამო შედეგების გათვლა რთული არაფისთვის უნდა ყოფილიყო. საჭირო მხოლოდ დროის მოგება ხდებოდა გადანყვეტილების მიღწევამდე იმისთვის, რომ პაპუაშვილის გადანყვეტილებისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს არ დაეწყო განაჩენის გამოცხადება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გიგი უგულავამ ჯერ 6 ადვოკატი გამოიკვალა, რომლებსაც 2-2 თვე, ალბათ, მხოლოდ საქმის გაცნობისთვის დასჭირდებოდათ. ამის მიუხედავად საქმე ფინიშამდე მანაც გავიდა. ბოლო ადვოკატმა, კონდახაშვილმა სასამართლოს ასეთი განცხადებითაც კი მიმართა – პროცესს ვერ დავესწრებ, ვინაიდან გასვენებაში მივდივარ. კო-

ნდახაშვილს სოციალურ ქსელში დადებული ფოტოები აუფრიალეს იმის დასამტკიცებლად, რომ გასვენებაში ყოფნის ნაცვლად ის „ჯინო ფერედაიზ“ში ერთობოდა და 500-ლარიანი ჯარიმაც უთავაზეს პროცესის განზრახ გაჭიანურებისთვის... გიგი უგულავას კი სახაზინო ადვოკატი აუყვანეს... ერთი სიტყვით, დროის მოგების შეფიქრის საბოლოოდ მაინც ნაციონალების გამარჯვებით დასრულდა, ვინაიდან ორგანიზებულმა ორგანიზმმა ფუნქციები გაანაწილა, ყველა არსებული რესურსი ჩართო და პაპუაშვილის პომპეზურად გამოცხადებული გადანყვეტილების შემდეგ თბილისის ყოფილი მერი ციხიდან უკანონო პატიმრის სტატუსით ტაშის გრილით გამოიყვანა... უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, ისეც ტაშის გრილით, 23 საათში მოუხვედათ თუ არა მისი უკან შეცილება. მთავარი ის იყო, რომ ამ რაუნდში ხელისუფლება „გეგმულად“ დასცეს... რაც მთავარია, მთელი ეს პროცესი პირდაპირი ჩართვით გადაიცემოდა სატელევიზიო ეთერით. იყო ემოციური კადრებიც...

ესეც, რაღა თქმა უნდა, როლორი განაწილების ნაწილს შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

„ნაციონალური მოძრაობის“ ანტიკრიზისულ ხერხებსა და ტექნოლოგიებზე ექსპერტ მამუკა არემიძეს თავისი შეხედულება აქვს:

– სააკაშვილს აქვს განსაკუთრებული უნარი გარკვეული ძალების კონსოლიდირებისა და ამასთანავე, პარაფონის შექმნის... მას ეს 90-იანებშიც ეტყობოდა, როდესაც ერთად ვიყავით პარლამენტში. არ მახსოვს, სააკაშვილს დერეფანში გაველო და ჟურნალისტები ჯგუფ-ჯგუფად არ გაჰყაროდნენ. ის ყოველთვის აკეთებდა საქმეს, ჟურნალისტებთან ერთად. მას ყოველთვის უნდა ჰქონოდა ნინ კამერა. მას შეეძლო, მარტო მდგარიყო კამერის ნინ და შეექმნა ილუზია, რომ ხალხს ელაპარაკება. მნიშვნელობა არ ჰქონდა, დაუსვამდნენ თუ არა მას ნინ პუბლიკას მისი ხელისბიჭები, მაინც შეეძლო ტრიბუნაზე დაყრდნობით ელაპარაკა ისე, თითქოს მასებს ესაუბრებოდა. გარდა ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ პირის ტექნოლოგიებს უზადოდ ფლობს „ნაციონალური მოძრაობა“. შესაბა-

მისად, გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებული მთელი პროცესი იყო სპექტაკლი, რომელიც დაიდგა, იყო კარგად ორგანიზებული და შედეგად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი მიღებული და ძალით გატანილი კანონი, რომელსაც მამინდელი სუსტი ოპოზიცია წინააღმდეგობას უწევდა, გამოაცხადა დისკრიმინაციულად და ისე შეფუთა, რომ სხვას საშუალება არ მისცა, ეკითხა – ეს კანონი თქვენ არ შემოიტანეთ? მთელი ეს სპექტაკლი, რეჟისორული თვალსაზრისით, უზადოდ იყო დადგმული, დრამატურგია იყო გადასარევი, მაგრამ რაკი ამ ყველაფერს ცუდი ბიოგრაფია ჰქონდა, ეს სპექტაკლი გადაიქცა ფარსად. ეს რომ სხვა პოლიტიკურ ძალას მოეხერხებინა, საუკეთესო შედეგს მიიღებდა.

– გიგი უგულავას ორივე დაკავება 2014-შიც და ახლაც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. რა როლი აქვს მსგავს კრიზისულ სიტუაციებში ამ ტელეკომპანიას?

– „რუსთავი 2“ ამ ქსოვილის ნაწილია. ეს სისტემა ახალგაზრდა რეფორმატორებმა შექმნეს 90-იანი წლების ბოლოს. მას შემდეგ იხვეწებოდა და დღეს არის ძლიერი ერთიანი სისტემა, სადაც ამ ტელეკომპანიას განსაკუთრებული როლი უკავია და სხვათა შორის, წარმატებითაც. ამიტომაც „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის ძალიან დაკვირვებით არჩევდა ტელეკომპანიის ხელმძღვანელს. ასე შეიქმნა ნიკა გვარამია; მიუხედავად მისი შავი ლაქებისა, როცა იყო გენერალური პროკურორის მოადგილე.

– რა როლი აქვს მთელ ამ სისტემაში გიორგი პაპუაშვილს?

– გიორგი პაპუაშვილი მიხეილ სააკაშვილის უახლოესი მეგობარია. ძალიან კარგად მახსოვს მათი ურთიერთობა 90-იან წლებში. ხანდახან მეცინება კიდევ, როცა მახსენდება, რომ ისინი მეტყველების პედაგოგთა ანაც ერთად დადიოდნენ, სადაც არა მარტო მეტყველებს ხევენდნენ, არამედ საორატორო ხელოვნებასაც. გარდა მეგობრობისა, პაპუაშვილი ვალშიც არის სააკაშვილთან, ბოლოს და ბოლოს 1000 ლარში აჩუქეს უზარმაზარი სახლი ბათუმის ცენტრში, სადაც ის დღეს ცხოვრობს. რასაკვირველია, პაპუაშვილიც იმ სექტორში მოქმედებდა, რაც ცენტრალურმა ორგანომ შეიმუშავა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დადგმული იყო, მაგრამ მაკვირებს, როგორ მიიღო ამ ფარსში მონაწილეობა ხელისუფლებამ. სწორედ მისმა მონაწილეობამ შესძინა ამ ფარსს მეტი პიკანტურობა. საოცარი იყო იმის ყურება, როგორ ჩქარობდა ორივე მხარე, ერთმანეთისთვის სასამართლო პროცესები დაესწრო. ეს იყო არასასამართლო და გულისმომკვლევი სანახაობა. პრაქტიკულად, ჩვენ ვიხილეთ ძალიან მაღალი დონის სპექტაკლი პროვინციული შესრულებით. ამასობაში კი ორივე მხარემ გააპარა კეზურაშვილის ამბავი... ვინ ვისთან მოილაპარაკა ბნობურად, ვინ რა გააკეთა – ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ გულის დასანყვეტი ის არის, რომ ვილაცას იდიოტები ვგონივრით და ფიქრობს, რომ ამას ვერ ვხვდებით – მთელი ამ სპექტაკლის სიყალბესა და ჩუმ-ჩუმად გაკეთებულ სვლებს. საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თავს მოაზროვნედ მიიჩნევს, ეს ყველაფერი მოებზრდა. ამიტომაც არის, რომ საზოგადოების 60 პროცენტი ნიჰილისტურად არის განწყობილი პოლიტიკური ელიტისა და არჩევნების მიმართ.

– უგულავასთვის გადანყვეტილების გამოცხადებამდე ნაციონალებმა ატყეს პანიკა, რომ ლარის კურსი 2.54-ზეა, როცა სავალუტო ჯიხურებში დოლარი 2.42 კურსით იყიდებოდა... ხედავთ ამაში პაპუაშვილისა და ქადაგიძის შეთანხმებული როლს?

– ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. სცენარი ერთად დაინერა და ამ სცენარში შედის ასეთი ტიპის ტყუილი დემარშები. იმ კონკრეტულ დროის მონაცკეთში ხომ მიაღწიეს იმ ეფექტს, რომ ხალხი დაპანიკდა? ეს არის ტექნოლოგიების ნაწილი... თქვენ მხოლოდ ორი უმაღლესი პოზიცია ახსენეთ... მე კი გეტყვით, რომ ასეთი 15-16 პოზიციაა. შეიძლება არ იყვნენ ხელმძღვანელები, მაგრამ საკვანძო ადგილებზე სხედან და საბოტაჟით არიან დაკავებული. ეს საქართველოში ტოტალურად ხდება.

პრემიერის ბაზი



საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვა გაეროს 2015 წლის შემდგომი მდგრადი განვითარების სამიტზე

2015 წლის 26 სექტემბერი
ნიუ-იორკი

ბატონო გენერალური მდივანო,

პატივცემულო დელეგატებო, ბატონებო და ქალბატონებო!

ჩემთვის დიდი პატივია თქვენ წინაშე გამოსვლა, ამ ისტორიულ მომენტში, როდესაც ჩვენ ვინყებთ მუშაობას ტრანსფორმირებაზე ორიენტირებული მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგზე. დღეს ჩვენ ვინყებთ სვლას ამბიციურ გზაზე, რომელიც ითხოვს გაბედულ ნაბიჯებს, რათა ვუპასუხოთ კაცობრიობის წინაშე მდგარ უზარმაზარ გამოწვევებს.

მდგრადი განვითარების 17 მიზნისა და თანმდევი 169 სამიზნის მიზნისა, მეგზურობა გავცინოს ამ რთულ გზაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ბუნებრივად და დაუბრკოლებლად მოხდეს გადასვლა ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან 2015 წლის შემდგომი მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგზე. 2000 წელს ათასწლეულის განვითარების მიზნების სტრატეგია მართლაც რევოლუციური იყო, რადგანაც მისი მეშვეობით გამოვინახეთ საერთო ენა გლობალური გამოწვევების დასაძლევად. საქართველოში დაინტერესებული მხარეებისთვის ის იქცა ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ისინი, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, მსჯელობდნენ განვითარების შესახებ, ახდენდნენ მის პრიორიტეტიზაციასა და ადვოკატირებას.

მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის ამოქმედება ახალ ბიძგს აძლევს ამ ძალისხმევას. ამ პროცესში ჩვენ უნდა უზრუნველყოთ 2030 წლის დღის წესრიგის მაქსიმალური საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ჩართულობა.

მართალია, ჩვიდმეტივე მიზანი მნიშვნელოვანი და დროულია, ნება მომეცით, ყურადღება გავამახვილო კონკრეტულ მიზნებზე, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

მესამე მიზანი, რომელიც ეხება ყველა ასაკის ადამიანისთვის ჯანმრთელი ცხოვრების უზრუნველყოფას, არის ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოში. მოკლედ, იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ჩვენ გადავდგით ამ მიმართულებით: საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საქართველოს მთავრობა ახორციელებს C ჰეპატიტის აღმოფხვრის უპრეცედენტო პროგრამას. პაციენტებს უტარდებათ აუცილებელი ტესტები წინასწარი დიაგნოზისა და მკურნალობის მონიტორინგის მიზნით, ასევე გამოიყენება უახლესი მედიკამენტები ამ დაავადების სამკურნალოდ.

დედებისა და ბავშვების ჯანდაცვის მხარდ დაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან და ხარისხიან მკურნალობაზე ხელმისაწვდომობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედებსა და ბავშვებს შორის სიკვდილიანობის დონის შემცირებისთვის. საქართველომ შეასრულა ათასწლეულის განვითარების მეოთხე მიზნის მოთხოვნები - ჩვილთა და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობამ დაიკლო ათი და თორმეტი პუნქტით ყოველ ათასზე.

მეშვიდე მიზანში საზგასმულია ყველასთვის ხელმისაწვდომი, სანდო, მდგრადი და თანამედროვე ენერგორესურსების მიწოდების სისტემის მნიშვნელობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ელექტროენერჯის სექტორში განხორციელდა ძირითადი ცვლილებები, რომელთა მიზანია ლია, ლიბერალური და კომერციულად სიცოცხლისუნარიანი ენერგეტიკის სექტორის შექმნა, რომელიც გაუძღვება ბაზარზე შესაძლებელ რყევებს.

ჩვენი ინტენსიური რეფორმების შედეგად, 2007 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის სექტორიდან გატანილი ექსპორტის ოდენობა აღემატება შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი ენერგორესურსების ოდენობას.

თავისი უნიკალური მდებარეობის წყალობით, საქართველოში არსებობს დიდი შესაძლებლობები ენერგორესურსების ტრანზიტის თვალსაზრისით. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გზავნი

ნანა შონია, ალექსანდრე ჩხეიძე

პრემიერმა ლარიბაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან ის მთავარი მესიჯები გააუღერა, რომელიც საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს. საგარეო კუთხით, ლარიბაშვილმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ გაუსვა ხაზი საქართველოს სურვილს ჩართული იყოს გლობალურ პროცესებში და დასავლეთის მხარდამხარ განვითარდეს.

სწორედ ამას ემსახურებოდა საქართველოს პრემიერის გამოსვლის დროს დასმული მთავარი აქცენტები - კეთილდღეობა, სტაბილური განვითარება, რეფორმები, ბუნებრივი რესურსების გამოყენება.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ვალდებულება აიღო. სწორედ ამ თემებზე ისაუბრა პრემიერმა ლარიბაშვილმა.

ანუ, საქართველო მზად არის შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, იზრუნოს ადამიანების ჯამრთელობასა და კეთილდღეობაზე, განავითაროს ინფრასტრუქტურა, დანერგოს ინოვაციები, გაატაროს რეფორმები, უზრუნველყოს დემოკრატიული პროცესები...

მოკლედ, საქართველო უნდა გამოვიდეს საბჭოთა მემკვიდრეობიდან საბოლოოდ და მან უკვე თანამედროვე და დასავლურ სამყაროში უნდა დაიკვიდროს ადგილი, იპოვოს თავისი ფუნქცია და გლობალურ პროცესებში საკუთარი როლი შეასრულოს.

ამ მხრივ, ეს მართლაც არის ისტორიული სიტყვა და ამ ხელისუფლების ისტორიული მისია.

ამ მხრივ, ეს მართლაც არის ისტორიული სიტყვა და ამ ხელისუფლების ისტორიული მისია.

ამ მხრივ, ეს მართლაც არის ისტორიული სიტყვა და ამ ხელისუფლების ისტორიული მისია.



მთავარი მეს

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ჩვენ ვინყებთ სვლას აბიციურ გზაზე, რომელიც ითხოვს გაბედულ ნაბიჯებს“



ოსვლა გაეროში



თედო ჯაფარიძე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:

„პრემიერს ჰქონდა საინტერესო, სტრატეგიული ხასიათის გამოსვლა, რომელიც ქვეყანაში განხორციელებულ ცვლილებებს ეხებოდა. პრემიერმა იმ პერსპექტივებზე ისაუბრა, რომელიც ქვეყანას აქვს. უამრავი გზავნილი იყო იმ გატარებულ რეფორმებზე, რომელიც საქართველოში განხორციელდა. თუმცა ყველაზე მთავარი გზავნილი არის ის, თუ რა როლი, რა ფუნქცია ექნება ჩვენს ქვეყანას, რაც მკაფიოდ იქნა გამოხატული“.

გიორგი კვიციანი, საგარეო საქმეთა მინისტრი:

„პრემიერის გამოსვლა იყო მნიშვნელოვანი აქცენტებით, მდგრადი განვითარების სამიტის ფარგლებში, საზი გაეცა მნიშვნელოვანი მიღწევებს ქვეყანაში, ეს იყო ჯანდაცვის და მდგრადი ეკონომიკური მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საქართველოს წარმატება იყოს საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცნობილი“.

კახა იმნაძე საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში:

„პრემიერს ჰქონდა საინტერესო გამოსვლა. მან საზი გაუცა ყველა ძირითად საკითხს, რომელსაც დღეს მდგრადი განვითარების სამიტის მონაწილეები აუღერებენ, განსაკუთრებით ქვეყნის წინსვლასთან მიმართებაში. ჩვენ რამდენიმე მიზანი შევასრულეთ. ეს არის ჯანდაცვა თუ სიღარიბის დონის აღმოფხვრა, აქ არის ის მიღწევები სადაც საქართველოს მართლაც თავისი სიტყვა ეთქმის და ეს პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა.“

იჯარები და შეფასებები



ას უხსნის საქართველოს ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულყოფილიანი წევრობისკენ და შესაბამისი მოლაპარაკებების დასრულებისკენ 2016 წლის სექტემბრისთვის.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ მეცხრე მიზანს, რომელიც ეხება მტკიცე ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ინკლუზიურ და მდგრად ინდუსტრიალიზაციასა და ინოვაციების ხელშეწყობას. მცირე და საშუალო სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტიპის ბიზნესის მხარდაჭერა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჩვენ განვახორციელეთ პროექტები, რომელთა მიზანია სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა, მინით სარგებლობის ეფექტიანობის გაზრდა და მიწების კონსოლიდაცია, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქსპორტო პოტენციალის გაძლიერება.

მეთექვსმეტე მიზანი, რომელიც ეხება მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობას მდგრადი განვითარებისთვის, ასევე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიან, ანგარიშგადამსახურ და ინკლუზიურ ინსტ-

იტუტებს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, რადგანაც წინსვლა ყველა სფეროში დამოკიდებულია ეფექტიან მმართველობაზე.

გამჭვირვალობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო ინსტიტუტების მიუკერძოებლობა არის უმთავრესი პრინციპები, რომელიც განაპირობებს მთავრობის ეფექტიანობას. საქართველოში ჩვენ ვახდენთ კანონმდებლობის კონსოლიდაციას, რომელიც თავმოყრილი იქნება რეგულაციები ლიბობის პრინციპზე დაყრდნობით ინფორმაციის თავისუფლების ახალი სტანდარტების დასამკვიდრებლად.

რასაკვირველია, ეს მიზნები უნდა ეხებოდეს კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების მოსახლეობასაც. ჩვენ ვაცნობიერებთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებების დაკმაყოფილება უცხო ძალის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციისა და ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის იძულებით გადაადგილების პირობებში.

ბატონებო და ქალბატონებო, მდგრადი განვითარება არის



მომავლის გზა, მომავლისა, რომელსაც ჩვენ ყველას ვუსურვებთ. ეს გზა გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის, სოციალური სამართლიანობის, გარემოს დაცვისა და მტკიცე მმართველობის გეგმას.

მსოფლიოში ასეთი მომავალი შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვიქნებით ერთად. ეს არ არის მხოლოდ მორალური იმპერატივი. ეს არის ბრძნული და

სწორი გზა - ჩვენი გლობალიზებული მსოფლიო ვერ გაამართლებს, თუკი ის გამორიცხავს მილიონობით ადამიანს მონაწილეობას. საქართველო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას თავის პარტნიორებთან, რათა მივაღწიოთ ამ მიზანს 2015 წლის შემდგომი განვითარების ამბიციური და ყოველმხრივ დღის წესრიგის შემდეგობით.

„მაესტროს“ ყიდვა პატარკაცივილილის ქვრივის სურდა?

რატომ გაიკანონიე



რა ბარიერებზე მიდიან უკრაინელი ოლიგარქები სააკაშვილთან?

მარიამ ნადირაძე

უკრაინული ამბები, განსაკუთრებით იქაური ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ქრილში, ვიქტორბო, საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისთვის. როგორც ირკვევა, ქართველი პოლიტიკოსების რეიტინგები მეგობარ ქვეყანაში არათუ ერთგვაროვანია, შეიძლება ითქვას, მკვეთრად განსხვავდება. ამის შესახებ „პრაიმტიმის“ უკრაინიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნებულმა პოლიტიკურმა ექსპერტმა, მამუკა არემიძემ უამბო:

– მე გახლდით კონგრესზე, რომელსაც ესწრებოდა წარმომადგენლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს ხდებოდა ივანე-ფრანკოვოში. ეს არის დასავლეთ უკრაინის ერთ-ერთი ცენტრი. ხუთდღიანი კონფერენცია იყო და ერთი დღე მიეძღვნა აფხაზეთისა და უკრაინის პარალელებსა და პერსპექტივებს.

– რას ამბობენ უკრაინელები ქართველებისადმი შემდგარი სახელისუფლებო გუნდის შესახებ?

– ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოვისმინე... ეს თემა იყო კულუარული საუბრის საგანი. უნდა ითქვას, რომ ამ ქართველებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი ზღუდადეს აქვს.

– რამ განაპირობა ეს?

– ჯერ ერთი, მისმა ფსიქოპორტრეტმა. უკრაინელების შეფასებით, ის არის განონსნორებული, საქმის მცოდნე პროფესიონალი, რომელიც ყოველგვარ კორუფციულ სქემებში ჩართვის გარეშე აკეთებს თავის საქმეს. ასეთი შთაბეჭდილება აქვთ მასზე შე-

ქმნილი. მისი საქმე არის ახალი პოლიცია, რომელიც ფეხს იკიდებს უკრაინაში. რაც შეეხება მისას, ვერ გეტყვით, რომ უკრაინელები ვერ ხვდებიან, რა პიროვნებაა ის. უბრალოდ, ისინი ასე უდგებიან საკითხს: ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს არის ავანტიურისტი, მაგრამ დღეს უკრაინას სჭირდება ზურგის ფიგურა, რომელიც იქაურ სიტუაციას შეაჯანჯღლარებს. ამაში იგულისხმება ის, რომ იქაური კორუფციის დონე არაფრით განსხვავდება რუსეთის კორუფციის დონისგან და ამას აქვს ტოტალური სახე.

– და იმედი აქვთ, რომ სააკაშვილი ამას მოერევა?

– იმედი აქვთ, რომ სააკაშვილის მეშვეობით მოხდება დასავლური ძალიან სერიოზული ზეწოლა, რომ რეფორმები გატარდეს. დღეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი ყურნალისტი სოციალურ ქსელში წერს, რომ უკრაინელები ვაჟკაცები არიან, რუსებს უარი უთხრეს საპაერო ფრენებზე, ჩვენი მთავრობა კიდევ ეტენება რუსებსო. თუ ვინმე ეტენება რუსეთს და რუსეთის ინტერესებს ატარებს, ეს არის უკრაინის პოლიტიკოსთა გადამწყვეტი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ პოროშენკოს თავგადასვლულ უკრაინელად მოაქვს თავი, მისი ფაბრიკები რუსეთის ტერიტორიაზე დღემდე მუშაობს. წარმოგიდგინათ, მარგველაშვილის ან ლარიბაშვილის წარმოება რომ მუშაობდეს სადაც ვორონეჟში. ძალიან მნიშვნელოვანი განხილვის თემა იყო ყირიმის თემა და უკრაინელებმა დაუშვეს უკვე სასიკვდილო შეცდომა: პრაქტიკულად შემოიტანეს კანონი, რომლის მიხედვითაც ყირიმის სა-

„რაც შეეხება მიუას, ვერ გეტყვით, რომ უკრაინელები ვერ ხვდებიან, რა პიროვნებაა ის“

მაესტრო

ქეთი ხატიაშვილი

ეს სათამაშო პარტია „უცნობმა“ უკვე წააგო, „მაესტრო“ კოტე გოგელიას დარჩება. და სანამ „მაესტროს“ დამფუძნებლები რისკიან პარტიას თამაშობდნენ, გარეთ პოლიტიკოსები შეეცადნენ არა მხოლოდ ფსონების დადებას, არამედ საკუთარი ინტერესების „მოგებას“.

„მაესტროში“ რომ ვითარება დაიძაბებოდა დამფუძნებლებს შორის, ეს ყველაფერი იცოდა, ვინც კი შიდა სამზარეულოში ჩახედულია. კულისებში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ მხოლოდ კოტე გოგელია დებდა სოლიდურ ინვესტიციებს „მაესტროში“, თანაც მოგების გარეშე. ასე რომ, ერთ დღესაც რომ ის გაკოტრების გზ-



ით წავიდოდა, სრულიად ბუნებრივი იყო.

გაკოტრება სამართლებრივი გზაა. ერთხელ ეს მეთოდი უკვე გამოიყენა ეროსი კინმარიშვილმა „რუსთავი 2“-ში სხვა დამფუძნებლების წინააღმდეგ. აქიმიძესა და დვალს წილის გაყიდვა არ სურდათ. და მაშინ, როცა დამფუძნებლებს შორის დაძაბულობა გაჩნდა, კინმარიშვილმა კომპანიის გაკოტრების პროცედურა წამოიწყო.

ახლა, როგორც ჩანს, ეს მეთოდი კოტე გოგელიამ გია გაჩეჩილაძის (უცნობის) წინააღმდეგ გამოიყენა. თუმცა, როგორც „მაესტროში“ აცხადებენ, ეს სრულიად მოსალოდნელი და ბუნებრივია, რადგანაც ინვესტიციებს ტელეკომპანიაში სწორედ და მხოლოდ გოგელია ახორციელებდა.

შესაბამისად, როგორც კი მან გაკოტრების პროცედურა წამოიწყო, „უცნობი“ მაშინვე მიხვდა, რომ თამაშარე მდგომარეობაში რჩებოდა და ამიტომაც სასწრაფოდ გააკეთა განცხადება 10 მილიონის „მაესტროში“ ჩადებასთან დაკავშირებით და მართვის უფლება

მოითხოვა. თუმცა, მას ტელეკომპანიის შიგნითაც არ აქვს ახლა მხარდაჭერა.

თუმცა, მხარდაჭერის გარდა, „უცნობს“ სხვა სერიოზული პრობლემაც გაუჩნდა. მან არ ისურვა ამ 10 მილიონის წარმომავლობის დასახელება. საიდუმლოებითა და ბურუსით მოცულ ამბებზე კი ცალკე პოლიტიკოსები და ცალკე საზოგადოება თავის ვერსიებსა და ეჭვებს აგებენ.

პოლიტიკოსებმა მაშინვე მიაბეს „უცნობის“ 10 მილიონი ხელისუფლებას და განაცხადეს, რომ ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ცდილობს, „მაესტროს“ „უცნობის“ მეშვეობით ხელში ჩაიგდოს და მედია წინასაარჩევნოდ

ვა და წილი დანარჩენი მენილებების სასარგებლოდ დათმო. თუმცა, თავად ნასვლას სხვა პროექტს უკავშირებს და არა იმ რთულ მოლაპარაკებების პროცესს, რაც „მაესტროს“ „რუსთავი 2“-თან აქვს.

„...ჩემს წილს უსასყიდლოდ გადავიცემ თანაბრად „მაესტროს“ პირველ დამფუძნებლებს... დავაარსე ჩემი სატელევიზიო მწარმოებელი სტუდია, „ტვ სახელოსნო მაესტრო“... ვიცი რა, რომ ჩემს ამ განცხადებას შესაძლოა, მოჰყვეს ინტერპრეტაციები, გთხოვთ, ნუ მოძებნით შავ კატას ბნელ ოთახში, მით უმეტეს, როცა ის იქ არ არის...“

ცნობილია, რომ მამუკა ლლონტი წინააღმდეგი იყო „მაესტროს“ სარეკლამო დრო „რუსთავი 2“-ს ეყიდა. არ გამორიცხავენ, რომ მისი ნასვლის მიზეზი სწორედ ეს უთანხმოება იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მთლიანად ყიდულობს „მაესტროს“ სარეკლამო დროს. ალბათ, მკითხველს გაუჩნდება კითხვა – რაში სჭირდება „რუსთავი 2“-ს სხვა ტელეკომპანიის სარეკლამო დრო? საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ტელეკომპანიისთვის რეკლამა მთავარი სასიცოცხლო არტერიაა. ამ გარიგების შემთხვევაში კი „მაესტროს“ მიიღებს გარანტირებულ შემოსავალს მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში და დაცული იქნება არსებული რისკებისგან, მეორე მხრივ კი, „რუსთავი 2“ გააფართოებს თავის სარეკლამო პაკეტს და მომხმარებელს საკუთარი ეთერის ნაცვლად, „მაესტროს“ სარეკლამო დროსაც შესთავაზებს, რაც, ცხადია, მის გაყიდვებზე, ასევე, დადებითად აისახება. ერთადერთი, ვინც ამ გარიგებით შესაძლოა, იზარალოს, ეს ტელეკომპანია „იმედია“, რომელსაც „რუსთავი 2“-ისა და „მაესტროს“ სარეკლამო სივრცის გაერთიანებით კიდევ უფრო მძლავრი კონკურენციის პირობებში მოუწევს სარეკლამო ბაზრის ათვისება.

ის, რომ კულუარებში ასეთი მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს, ცნობილია ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორისთვისაც. „პრაიმტიმის“ საუბრისას გიორგი ბახტაძე არ გამორიცხავს, რომ ორი ტელეკომპანიის სარეკლამო სივრცის გაერთიანება შესაძლოა, „იმედის“ გაყიდვებზე უარყოფითად აისახოს.

რაც შეეხება მამუკა ლლონტს, ის „მაესტროს“ საქმიანობაში აღარ ერევა. მისი განმარტებით, ყადაღის გამო, მან საკუთარი წილის გადაფორმება ჯერ ვერ მოახერხა, თუმცა, მისი ვარაუდით, ამ კვირაში სასამართლო ყადაღის მოხსნის და წილიც გადაფორმდება. რაც შეეხება დამფუძნებლებს შორის დავას, მისი განმარტებით, ის „მაესტროს“ საქმეებში პრინციპულად აღარ ერევა.

რა თაგაში ნამოიწყო კოტე გოგელია

ზარდა უკრაინაში ქართველი რი ქურდების რიცხვი?

„მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ პოროშენკოს თავბადაბულ უკრაინელად მოაქვს თავი, მისი ფაბრიკები რუსეთის ტერიტორიაზე დღემდე მუშაობს“

რა რეიტინგებით სარგებლობენ ქართველები უკრაინის ხელისუფლებაში?

EXCLUSIVE

ზღვარზე დააყენეს საბაჟო. ეს კი ნიშნავს, რომ ნომინალურად აღიარეს ყირიმის დამოუკიდებლობა. მართალია, კანონში ცოტა სხვანაირად წერია, მაგრამ საბაჟო დგას და მორჩა, თან ამ საბაჟოზე თავისუფლად მოძრაობს რუსეთი და კაპიტი არ რჩება უკრაინის ბიუჯეტს. დასახელება ოლიგარქების გვარები, ვინც დაინტერესებულია ამით... ერთი მხრივ, უამრავი უკრაინელი აკლავს თავს რუსეთს, დანარჩენი კი მისი საშუალებით ფულს აკეთებს.

– ქართული სახელისუფლებო გუნდის სხვა წევრებზე რას საუბრობენ უკრაინაში?

– ზღულის გარდა, ყველა დანარჩენი ფასდება, როგორც ავანტიურისტული გუნდი, მაგრამ გუნდი, რომელიც საჭიროა უკრაინისთვის, რადგან აქვს ამერიკის მხარდაჭერა და ფიქრობენ, რომ ასეთი ტიპის გუნდია საჭირო, რომელიც მოშვების საშუალებას არ მისცემს უკრაინის მთავრობას, რომ რეფორმები გაატაროს.

– ადგილობრივი თუ ჩანს ღიად

პოლიტიკურ სცენაზე?

– ადგილობრივი ნაკლებად ჩანს. ის იქ ისეთ ნონიან ფიგურას არ წარმოადგენს, როგორც საქართველოში იყო... იქ მითხრეს და რა თქმა უნდა, ამას ვერ დავამტკიცებ, რომ ქართველი ქურდების რაოდენობამ უკრაინაში ერთი ორად იმატა, იმ ქურდებისამ, რომლებიც კონსოლიდირებული არიან კონკრეტულ ოლიგარქებთან და კონკრეტულ პარტიულ ჯგუფებთან. იჭერენ მხოლოდ მათ, ვინც არავისთანაა მიკედლებული. იჭერენ და დეპორტაციას უკეთებენ საქართველოში. იქ ვინც არის, საერთო ქსელშია ქართულ წარმომადგენლობასთან.

– რა პროგნოზებს აკეთებენ უკრაინელი ექსპერტები ხელისუფლების ქართულ ნაწილზე? სად ხედავენ მათ მომავალს?

– ერთმა უკრაინელმა პოლიტოლოგმა, საქართველოს დიდმა მოყვარულმა და აქაურობის მცოდნემ მითხრა ასეთი რამ: როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ოდესაში ოლიგარქ ხმელნიცკის დაუნგრია კედელი, რომელიც სანაპიროს


კეტავდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მე ვიცი, რომ მანგლისში სააკაშვილის ოლიგარქ დავით ბეჟუაშვილს აქვს სოფლის ცენტრში ტყე შემოღობილი და ერთხელ არ მოსვლია სააკაშვილს თავში აზრად რომ ეს კედელი დაენგრია და ხალხისთვის ტყე მიეცაო. ეს ადამიანი კარგად იცნობდა სააკაშვილის ბუნებას, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, რომ მისი პიარი ახდენს ეფექტს. შესაბამისად, ოდესელების დიდ ნაწილს აქვს დადებითი დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ ზუსტად იმიტომ, რომ მათ მისგან არსებული მდგომარეობის შეცვლის იმედი აქვთ, განსაკუთრებით პორტან მიმართებაში. მე მას ზუსტად ეს კითხვა დავუსვი – რა პერსპექტივა აქვს სააკაშვილს? მან კი მიპასუხა – უკეთეს შემთხვევაში ის იქნება უკრაინის გმირი, უარეს შემთხვევაში კი იქნება მავრი, რომელიც მოვიდა, საქმე გააკეთა და უნდა წავიდეს...

– მორალურის გარდა, მის პოლიტიკურ პერსპექტივებზე რას საუბრობენ?

– არიან ადამიანები, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის რანგში იხილონ, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს უკრაინელების თავმოყვარეობაზე სერიოზული დარტყმა იქნება და თანაც იციან რა სააკაშვილის ავანტიურისტული ხასიათი, ეშინიათ, ომში არ ჩაითრიოს მთელი ქვეყანა. აღარ ვსაუბრობ ოლიგარქებზე, რომლებსაც, უბრალოდ, ეშინიათ მისი ქვეყნის სათავეში მოხვედრის. ისინი თვლიან, რომ სააკაშვილთან ურთიერთობის ორი გზა არსებობს – ან უნდა მოელაპარაკო და ფული მისცე, ან მტრად გაიხადო. მასთან მტრობა კი რთულია, ვინაიდან მის უკან სერიოზული ძალა დგას. შესაბამისად, სააკაშვილის ბრძოლა ოლიგარქებთან შერჩევითია. ეს ყოველთვის ასე იყო, ვილაცასთან მას ხალხის დასანახად სჭირდებოდა ურთიერთობის გამწვავება, ვილაცისგან კი დახმარებას იღებდა.


– თუ დაინტერესდით ადგილობრივი გადმოცემაზე უარის თქმის მიზეზებით?

– ამაზე ყველაზე მწვავე საუბარი გვექონდა. მე იქ შევხვდი ადამიანებს, ვისთან ერთადაც აფხაზეთში ვიყავი – მე, როგორც ჟურნალისტი, ისინი – როგორც მებრძოლები. მათი უმრავლესობა წარმოშობით დასავლეთ უკრაინიდანაა. ისინი დღეს წარმოადგენენ პოლიტიკური ისტებლიშმენტის რადიკალურ ფრთას და საკუთარ თავს უკროპებს ეძახიან. სწორედ მათთან შექონდა ამ თემაზე საუბარი. მათ ეს ფაქტი ასე ახსნეს: იმდენად არის ჩამოკიდებული დასავლეთზე ჩვენი ხელისუფლება, რასაც ეტყვიან, იმას აკეთებს. დასავლეთის კი სჭირდება, რომ უკრაინაში იყოს ეს ხალხი. ამერიკელებს სჭირდებათ, რომ დაცული იყოს რამდენიმე პრინციპი, რის გამოც ამერიკა მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას – პირველ რიგში, დაცული იყოს პროდასავლური კურსი, კონტროლირებადი იყოს ის თანხა, რომელსაც ისინი უკრაინას აძლევენ. დასავლეთი დარწმუნებულია, რომ ქართველების ეს გუნდი ამ საქმეს გააკეთებს.



„ქართველებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი ზღულისაქვს აქვს“

„ადგილობრივი ნაკლებად ჩანს. ის იქ ისეთ ნონიან ფიგურას არ წარმოადგენს, როგორც საქართველოში იყო...“



საქართველოში პოლიტიკის მინისტრის

EXCLUSIVE

შინაგან საქართველოში სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მასშტაბურ პროგრამას ინჟინერ



**„საბოლოო
ჯამში,
დღეს ყველა
თანხმდება,
რომ ნარსულში
ამ პოლიტიკის
არასწორი
განხორციელებით
ჩვენმა ქვეყანამ
მეტი ნაბო,
ვიღრა მოიგო“**

თქვენი უწყების იმიჯსა და მუშაობაზე?
– ჩემი აზრით, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ფუნქციების გაყოფამ შექმნა დამატებითი შესაძლებლობები ორივე მიმართულების შემდგომი განვითარებისთვის და ჩვენ ამ შესაძლებლობას აუცილებლად გამოვიყენებთ.
ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ პროექტებზე, რომელმაც შინაგან საქმე-

თა სამინისტროს შემდგომი რეფორმირება უნდა უზრუნველყოს. დავინერგავთ ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო სისტემას, გავაფართოებთ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის არეალს, კიდევ უფრო ეფექტურს გავხდით საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესს, ბოლომდე მივიყვანოთ საზღვრის მართვის რეფორმას, კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ საპატრულო პოლიციის ფუნქციონირებას და

პოლიციის აკადემიის შესაძლებლობებს. ეს არის იმ მიმართულებების არასრული ჩამონათვალი, რომელშიც ვაპირებთ, ჩავდეთ ჩვენი დრო და ენერჯია.
– არის თუ არა დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისუფალი პოლიტიკური გავლენისგან?
– პოლიცია ემსახურება ყველა ადამიანს, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და მიკერძოების გარეშე. ამის მაგალითი ბევრია და მათი მო-

ყვანა არ გამოიჭირდება. პოლიციის შესახებ კანონში პირდაპირ წერია, რომ პოლიცია უნდა იცავდეს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციას, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ყველა თანაბრად აგებს პასუხს – სქესის, ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად. ეს არის ჩემი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, პოზიცია.
– რამდენად ადეკვატურად მოქმედებს თქვენ მიერ ნახსენები პოლიტიკურად ნეიტრალური პოლიცია შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს? ხომ არ გვაქვს საქმე ორმაგ სტანდარტებთან იმის მიხედვით, ვინ და რა მიზნით მართავს აქციას?
– ჩვენ ვმოქმედებთ კანონის ფარგლებში. სწორედ კანონის თანახმად ახდენენ სამართალდამცველები რეაგირებას ნებისმიერ კონკრეტულ ფაქტსა და შემთხვევაზე. ჩვენ ვიცავთ სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას მანამ, სანამ ის არ სცდება კანონის ჩარჩოებს. ერთი ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის უფლებები.
დღეისთვის ჩვენი მიდგომა ასეთია: მანიფესტაციების დროს მინიმალური ჩარევის გზით შედეგის მიღწევა. თუმცა, პარალელურად, ახლა ვმუშაობთ სპეციალური ბრძანების პროექტზე, რომელიც განსაზღვრავს ამგვარ შემთხვევებში პოლიციის მოქმედების სტანდარტებს. ვფიქრობ, ახალი რეგულაციები, რომლებიც ქართული გამოწვევებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს დაეფუძნება, პასუხს გასცემს ყველა იმ კითხვას, რაც ამ მიმართულებით არსებობს.
– რა არის თქვენი უახლოესი პრიორიტეტი? იგეგმება რაიმე სიახლე, გარდა სტრუქტურული ცვლილებებისა?
– საშუალოვადიან პერსპექტივაში, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ პოლიციის რეფორმა და უკვე წლის ბოლოსთვის საზოგადოებას რიგ პროექტებს შევთავაზებთ ამ კუთხით. ხოლო რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, სულ მალე, ოქტომბრის დასაწყისში, ვინწყებთ მასშტაბურ პროგრამას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში. დღეს ეს ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც გულისხმობს არა მარტო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე კონტროლისა და რეგირების გამკაცრებას, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, სამართალდარღვევათა პრევენციის მიმართულების მაქსიმალურად გაძლიერებას. ამ კუთხით ნოვაციებსაც ვგეგმავთ, რაც არსებულ პრობლემებზე პოზიტიურად უნდა იასახოს. ეს საკმაოდ საინტერესო და მოცულობითი პროექტია, რომელშიც არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა და მხარდაჭერა იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი. ეს პროექტი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, სწორედ ჩვენი საზოგადოების უსაფრთხოებისთვის კეთდება. მე ამას ასეც დავარქმევდი – „კანონი თქვენი უსაფრთხოებისთვის“.
– დაბოლოს, მინდა გკითხოთ... მომავალი წელი არის საარჩევნო წელი და ცხადია, საგრძნობლად აინტერესებს პოლიტიკური ტემპერატურა... ელოდებით გარკვეული სახის გართულებებს, ან ექსცელსებს?
– პოლიცია უნდა უძლებდეს როგორც მაღალ, ისე დაბალ ტემპერატურას (ილიმის) და უნდა იყოს ეფექტური ნებისმიერ პირობებში. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ წინასწარჩვენო პერიოდმა მაქსიმალურად მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩაიაროს. მე ყოველთვის ვიმოქმედებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

**„ჩვენი
ხელისუფლების
პირობებში პრიმიტივის
წინააღმდეგ ბრძოლა არის
უკომპრომისო. დამნაშავე უნდა
აბო პასუხი კანონის წინაშე და, თუ
საჭიროა, მთელი სიმაჟინტიც“**

სკანდალური კულუარები

ირაკლი მამალაძე

ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი დიდი პრემიერისთვის ემზადება. „პრაიმტიმის“ ინფორმაციით, ოდესაში მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ დაიდგება.

მიხეილ სააკაშვილის პირადი მიწვევით მიუზიკლში მთავარ როლებს კვლავ სოფო ნიუარაძე და ბუბა კიკაბიძე შეასრულებენ. სპექტაკლს, ქართველი მომღერლებისა და მსახიობების მონაწილეობით, ფრანგი რეჟისორი რედა ბენტიფორი ალადგებს. როგორც ცნობილია, მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ სპეციალურად 2012 წლის არჩევნების წინ შეიქმნა და მალევე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერ ნარმოდგენად იქცა. სპექტაკლში დაკავებული მსახიობები საარჩევნო პროპაგანდაში ლიად იყვნენ ჩართულები და თბილისის გარდა, ნარმოდგენებს რეგიონებშიც მართავდნენ. მაშინ საზოგადოებას შეკითხვები გაუჩნდა მიუზიკლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, „ვერის უბნის მელოდიები“ სახელმწიფო ბიუჯეტს ერთი მილიონი ლარი დაუჯდა. ამჯერად რა თანხები აქვს გამოყოფილი სააკაშვილს ოდესის ბიუჯეტიდან სპექტაკლის აღსადგენად, ჩვენთვის უცნობია. ამ ეტაპზე მიუზიკლში მონაწილე მსახიობებისგან ცნობილი ხდება პრემიერის სავარაუდო თარიღი. „ვერის უბნის მელოდიები“ ოდესელები ოქტომბრის ბოლოს ნახავენ. „პრაიმტიმის“ წყაროს ინფორმაციით, მიუზიკლის დამდგმელ რეჟისორთან და მსახიობებთან მოლაპარაკებას მიხეილ სააკაშვილი პირადად აწარმოებს, თუმცა ძეზნილი პრეზიდენტი დასის ზოგიერთი წევრის დათანხმებას ამ დრომდე ვერ ახერხებს. ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ოდესის გუბერნატორის მიწვევა მიუღებელი აღმოჩნდა სუბივილიებისთვის და რამდენიმე მსახიობისთვის, რომლებიც მეორეხარისხოვან როლებში არიან დაკავებული. სავარაუდოდ, მათ სხვა მსახიობებით ჩანაცვლდნენ. ის, ვინც როლს ნამდვილად შეინარჩუნებს და, სავარაუდოდ, სააკაშვილისთვის შეუცვლელია, მიუზიკლის პრიმა სოფო ნიუარაძეა. ის კვლავ მოირგებს ვარდოს როლს, სპექტაკლში ისევ გამოჩნდება ბუბა კიკაბიძე მედროე პაულეს აჩრდილის როლში. მის ახალგაზრდობას კი კვლავაც ნოდოკო ტატიშვილი განასახიერებს. უკრაინელ მაცურებელს სტეფანე მღებრიშვილის ნახვის საშუალებაც მიეცემა. ამ დროისთვის სპექტაკლში მონაწილეობაზე უარი თქვეს სუბივილებმა და მსახიობმა კახა კინწურაშვილმა. რატომ არ მიიღეს მიხეილ სააკაშვილის შემოთავაზება და რატომ თქვეს უარი დასის წევრებმა ოდ-



საკაშვილი ოდესაში „ვერის უბნის მელოდიებს“ დგამს

ესაში ნასვლაზე? „პრაიმტიმი“ ამ თემაზე ანსამბლის პირმენეჯერს ხატია ეკიზაშვილს ესაუბრა:

– ქალბატონო ხატია, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ოდესაში „ვერის უბნის მელოდიების“ დამდგმა იგეგმება. მიიღეთ თუ არა მოწვევა ოდესის გუბერნატორისგან?

– კი, ვიცით, რომ სპექტაკლის აღდგენა იგეგმება, მაგრამ ჩვენ არ ვმოხანაილეობთ, შესაბამისად, არც დეტალები ვიცი.

– ჩვენი ინფორმაციით, თქვენ უარი თქვით ამ სპექტაკლში მონაწილეობაზე, რა გახდა ამის მიზეზი?

– არა, ასე არ არის, ამ სპექტაკლში სუბივილების ანსამბლი არ არის დაკავებული, თუმცა რამდენიმე ჩვენი მოცეკვავე, რომლებიც კონტრაქტით არიან აყვანილები, იცეკვებენ. „ვერის უბნის მელოდიებში“ ისინი ადრეც გამოდიოდნენ და ოდესაშიც გეგმავენ ნასვლას. ეს მოცეკვავეები მონაწილეობდნენ ბათუმში, თბილისში, ბაქოში გასტროლზე და ახლაც იცეკვებენ, ოღონდ არა სუბივილებების სახელით. მათთან სპეციალურად გაფორმდა ცალკე კონტრაქტი.

– სუბივილების სახელით რატომ არ მონაწილეობენ?

– ანსამბლი აქ არაფერ შუაშია, მათ

აქვე პირადი ხელშეკრულებები და როგორც ასეთი, სუბივილები ამ მიუზიკლში ჩართული არ იქნება. ჩვენი დასი, როგორც იცით, ამერიკაში გეგმავს გასტროლს და იმ დროისთვის მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს უხერხულობას უქმნის და ისინი დეტალებზე საუბარს გაუარბიან.



ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ვიქნებით.

სუბივილებისგან განსხვავებით, სპექტაკლში რჩებიან დასის სხვა წევრები. „პრაიმტიმი“ რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა. მსახიობები და მომღერლები ინფორმაციას უკრაინული პრემიერის შესახებ დადასტურებენ, თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ. როგორც ჩანს, უკვე

– ანუ დასთანხმდით ამ შემოთავაზებას?

– კი, დავთანხმდით, რა თქმა უნდა. ისეთი მაღალი დონის რეჟისორთან მუშაობაზე, როგორც რედა, უარის თქმა ნამდვილად გამიჭირდებოდა.

– ხომ არ იცით, ვის ეკუთვნის იდეა მიუზიკლის აღდგენისა და ოდესაში დადგენა?

– ვერ გეტყვით, ეს დეტალები ჩემთვის უცნობია.

გიორგი ვარდოსანიძისგან განსხვავებით, ფრანგ რეჟისორთან მუშაობაზე ამ ეტაპზე უარი თქვა მსახიობმა კახა კინწურაშვილმა და ის სპეციალურად ოდესისთვის აღდგენილ „ვერის უბნის მელოდიებში“ მონაწილეობას არ აპირებს.

– არ ვაპირებ ამ მიუზიკლში თამაშს. შესაბამისად, არ ვიცი, რა ხდება და რა პროექტზეა საუბარი. არც ოდესაში ნასვლას ვეგეგმავ.

„პრაიმტიმი“ დასის სხვა წევრებთანაც ცდილობდა დაკავშირებას, თუმცა ამ ეტაპზე ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მილიონიანი პროექტი, რომლის ნახვის სურვილიც სააკაშვილის ნასვლის შემდეგ ქართველ მაცურებელს აღარ გასჩენია, ოდესაში ოქტომბრის ბოლოს განხორციელდება. ჯერჯერობით უცნობია, რა დაუჯდება ოდესის ოლქს სპექტაკლის აღდგენა. ასევე უცნობია, გეგმავს თუ არა მიხეილ სააკაშვილი, 2012 წლის მსგავსად, მსახიობებისა და მომღერლების პოლიტიკურ პროპაგანდაში ჩართვას. ამის შესახებ ინფორმაციას სპექტაკლში დაკავებული მსახიობები არ ფლობენ, თუმცა არც მოვლენების მსგავს განვითარებას გამორიცხავენ.

„სუბივილები ამ მიუზიკლში ჩართული არ იქნება“



მიუზიკლი
მონაწილეობას არც
კინწურაშვილი
თანხმდება

სალომე ზურაბიშვილი: „თუ პოლიტიკა ის არის, რომ ერთმა პარტიამ მეორე პარტიაზე უნდა იჭორაოს, მაშინ მე ამ პოლიტიკაში არ ვარ“



„რუსეთი
ალარ არის
ის რუსეთი,
რომელიც
მზადაა, შენი
ყველაფერი
მიიღოს ან
შეუქლია,
ყველაფერი
მიიღოს“

სალომე ჩადუნელი

სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე, როგორ ხედავს ის პოლიტიკურ პროცესებს, რა მიაჩნია პოლიტიკად და რა გეგმები აქვს. საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტის შვილი ახლა თავად არის დაინტერესებული ემიგრანტების ცხოვრების გაუმჯობესებით და ცდილობს, ხელისუფლებას მათი პრობლემები მიაწვდინოს.

„პრაიმტიმმა“ სალომე ზურაბიშვილთან ინტერვიუ ჩაწერა:
— ქალბატონო სალომე, რატომ წამოხვედით „საქართველოს გზიდან“?

— აქედან წავიდი ხუთი წლის წინ და მე ყოველ შემთხვევაში ასე წარმომიდგენია, არ შეიძლება, რომ იყო პარტიის ლიდერი მაშინ, როცა არ ხარ ქვეყანაში.

— არანაირი კონფლიქტური სიტუაცია არ ყოფილა პარტიამ?
— სიძნელები, ცხადია, იყო, იმიტომ რომ როცა არ გაქვს ის რესურსები, რაც საჭიროა, ძნელია, პარტია ეფექტურად მუშაობდეს. ქვეყნიდან წასვლა იყო ანალიზი იმ სიტუაციისა, რაც იმ პერიოდში არსებობდა. ვთვლიდი, რომ იმ მომენტისთვის პოლიტიკური აქტივობისთვის შესაბამისი დრო არ იყო.

— ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გექნება პოლიტიკური გეგმები, ხელი არ ჩაგიქნევიათ, რა გეგმები გაქვთ?

— გეგმები კი არ მაქვს, უკვე ერთი წელია, პოლიტიკურად ვარ აქტიური. დღევანდელ დღეს გლობალურ მსოფლიოში უკვე ალარ აქცევენ ყურადღებას, სად ხარ და საიდან რას აკეთებ. უკვე ერთი წელია, სერიოზულად და აქტიურად ვარ ჩართული ორმაგი მოქალაქე-

ობის წარდგენისა და წინ წაწევის. მცდელობებმა შედეგი გამოიღო. დაინიშნა ძალიან სერიოზული განხილვა პარლამენტის თავმჯდომარის ეგიდით პარლამენტის შენობაში და მთელი შემადგენლობით, ანუ ყველა უწყება და ყველა პოლიტიკური ძალა ესწრებოდა. ამაზე მეტი მიღწევა ადამიანისთვის, ვინც არაფერი არ არის, არც პოლიტიკური პარტიის ლიდერია და არც რაიმე თანამდებობაზე, ნიშნავს, რომ ის საკითხი, რომელიც წამოგნივთ მე და იმ ადამიანებმა, ვინც საინიციატივო ჯგუფში იყვნენ, არის აქტუალური და საინტერესო. მიმაჩნია, რომ დღეს რომ პროგრამა მქონდეს დასახეური, ეს არის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი. ქვეყანა იცლება მოსახლეობის ყველაზე აქტიური, ენერგიული, პოტენციურად უფრო მეტი შესაძლებლობის მქონე ნაწილისგან. ჩვენ უნდა მოვინახოთ პირიქითა გზა. ამ ადამიანებმა იქ თავიანთი გზა უნდა მონახონ, ცოდნა და გამოცდილება შეიძინონ და თან ჩაერთონ აქაურ ცხოვრებაში. ეს თუ არ არის პოლიტიკა, მაშინ არ ვიცი, რა არის პოლიტიკა. თუ პოლიტიკა ის არის, რომ ერთმა პარტიამ მეორე პარტიაზე უნდა იჭორაოს, მაშინ მე ამ პოლიტიკაში არ ვარ.

— მართლ აპირებთ თქვენი რესურსებით ბრძოლას თუ ვინმესთან გაერთიანდებით მომავალში, რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ერთობაში ხედავთ საკუთარ თავს?

— ორმაგი მოქალაქეობას რომ დაუბრუნდეთ, არ ვარ მარტო. უცებ გამოჩნდნენ ახალგაზრდები, იქაურები, აქაურები, რომლებიც ამ საკითხით არიან დაინტერესებულნი და ყველა შესაძლო ფორმით მონაწილეობენ კამპანიის ორგანიზებაში. ეს არის ახალი პოლიტიკური დაჯგუ-

ფრების მონახვა ამ საკითხის ირგვლივ.

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ სრულიად უცხო ადამიანებისგან, ახალგაზრდებისგან აპირებთ ახალი მოძრაობის ჩამოყალიბებას.

— ორი რაღაც არ მინდა გავიგონო არასდროს, ეს არის სახეები და მეორე — გაერთიანებები. სახეები იმიტომ, რომ სახეებმა არ გაამართლეს და თუ რაიმე რჩება ჯანსაღი ამ ქვეყანაში, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სახეების ძებნა არ არის სწორი. არ შეიძლება ეძებდე სახეებს და ამავე დროს გინდოდეს, პოლიტიკური ქმედებების ფორმები შეიცვალოს და გადავიდეთ უფრო სწორ, უფრო სუფთა, უფრო ღია პოლიტიკაში. ეს ორივე რამ თანხვედრაში არ მოდის, ძველი სახეები ისევე მოქმედებენ, როგორც ალარ გვინდა. თუ გვინდა შევეცვალოთ, უნდა მოვინახოთ ის ადამიანები, რომლებიც ამ ცვლილების მატარებლები იქნებიან.

— ახუ თქვენ ახალგაზრდებთან, ახალ სახეებთან ერთად აპირებთ ახალი მოძრაობის დაწყებას, თუ პოლიტიკური ძალის გაერთიანების?

— დღევანდელ პოლიტიკურ ძალებში ყველა ერთადაა შეყრილი, ყველა უკვე ჩართულია პოლიტიკაში, ან უმრავლესობაში ან უმცირესობაში. მე ვერ ვხედავ, რა სიახლეს მოუტანენ ისინი ქართულ პოლიტიკას... ვილაცასთან ერთად უფრო მეტი შანსი მექნებოდა, რომ რომელიმე საფარძელი მომეპოვებინა, მაგრამ ეს არ არის თვითმიზანი. თვითმიზანია, რომ რაღაც შეიცვალოს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ის დინამიკა და ენერჯია შემოვიტანოთ, რაც ქვეყანას სჭირდება.

— ამას გეგმავთ 2016 წლის არჩევნებამდე? ემზადებით?

— მე ვერ ვგეგმავ ვერაფერს, ვთვლი, რომ ეს არის მისაღწევი, გეგმები ასე თეორიულად არ მაქვს. ღრმად მზამს, რომ, როცა სწორ გზაზე ხარ, ის გზა იხსნება. თუ არ იხსნება, ის გზა არ არის ან ის დრო არ არის, ან შენთვის არ არის ეს რაღაც, და მაშინ უნდა გადახედო შენს ცხოვრებას. მე ყოველთვის მზად ვარ, გადავხედო, ნავიდე, რაღაც ვაგაკეთო და სხვა ფორმით ვცადო. ახლა ვცდი სხვა ფორმით. ის ძველი პოლიტიკური პარტია როგორც იყო ამ პირობებში, როცა შენ არც ფინანსები გაქვს არც კომისიები, მე მგონი, ამოწურა თავისი თავი, ახლა სხვა ფორმით უნდა ვცადოთ, სხვა ფორმით და სხვაანაირად.

— საინტერესოა თქვენი შეხედულებები დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაზე, არსებობს ასეთი მოსაზრებები, რომ ნაციონალები ძალიან მალე დაკარგავენ მთავარი ოპოზიციური ძალის ნიშანს, თქვენ თუ ხედავთ ვინმეს, ვისაც შეუძლია ისინი ჩანაცვლოს და გახდეს მთავარი ოპოზიციური ძალა?

— არა, მე მგონია, რომ დიდნილად ნაცებმა დაიკავეს ეს ოპოზიციური ნიშანი. მმართველ გუნდს აწყობდა ასე. პირველი პერიოდი, არ ვიცი, შეგნებულა თუ შეუგნებულად, კომფორტული იყო მათთვის, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა დისკრედიტებული იყო. ასეთ პირობებში ყოველთვის ადვილია: მმართველ გუნდს ვინც აკრიტიკებს, იმას კრიტიკის უფლება არ აქვს და ეს ხალხმა კარგად იცის.

ამის მიუხედავად ნაცებმა გააგრძელეს კრიტიკა, თუმცა აკრიტიკებდნენ იმას, რასაც თვითონ უარესად აკეთებდნენ. ერთი პერიოდი, პირველი 2-3 წელი მმართველი ძალისთვის ეს კომფორტული იყო, მერე ყველას მოებზრდა და ეს ნა-

კლებად მუშაობს.

ამ დროს ნაციონალებმა დაიწყეს უფრო აქტიური და ქმედითი მოქმედებები, რაც არც ისე კომფორტული არ არის, მაგრამ მე მგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვეღარ აღდგება, როგორც ძლიერი და ერთადერთი ოპოზიციური ძალა და, მე მგონი, ეს ძალიან კარგია ქვეყნისთვის. არა მგონია, რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ დაიკავეს მთავარი ოპოზიციური ძალის ნიშანი და ვერც სახელისუფლებო ძალა იქნება ერთპარტიული უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია, ყველაფერი გადაწყვიტოს სხვის გარეშე. თუ მართლა ამისკენ მივდივართ და გამოჩნდებიან პარტიები, ბევრად უფრო გამაღივი პოლიტიკური სპექტრი გვექნება, ისე რომ დომინირებული არ იქნება არც უმრავლესობა და არც უმცირესობა...

— დამეთანხმდებით, რომ რუსული ძალების ფრონტის ხაზი დღეს მაინც ოპოზიციისაა და შეგიძლიათ, გვიხარეთ, ვისზე დიდებს რუსეთი ფსონს ქართულ ოპოზიციას? მით უმეტეს, საუბარია იმაზე, რომ მედიამ ჩადო დიდი ფული არჩევნებამდე. შესაბამისად, ეს ფული პოლიტიკაშიც ჩაიდება?

— ან ვილაცის ინტერესია, რომ ეს თემა გააგრძელოს და ამ თემით იმოქმედოს და არ გამოვირცხვებ, რომ ვილაცის ინტერესში იყოს, რომ ეს ძიმი წამოსწიოს.

ვინც საქართველოს ამ საფრთხისგან „დაიცავს“, იმათ ინტერესში ნამდვილად ჯდება, წარმოადგინოს, რომ ეს საფრთხე არის რეალური და აქტუალური. მე მგონი, საკმაოდ სტაბილურია საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც, ასე თუ ისე, მომხრეა რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირების. ვეკითხებოდი, გურიაში რა სიტუაციაა და ეკონომიკური სიტუაციის გამო ხომ არ არის რუსეთთან ურთიერთობის სურვილი-მეთქი, და რას ლაპარაკობო, დღეს გურიაში თხილია, რაც მთავარი, და დღეს თხილი რუსეთში არ გადისო. იცვლება ჩვენი ეკონომიკა. რუსეთი ალარ არის ის რუსეთი, რომელიც მზად არის, შენი ყველაფერი მიიღოს, ან შეუძლია, ყველაფერი მიიღოს და პერსპექტივები რუსეთთან ერთად ბევრად ნაკლებია დღეს თვითონ რუსეთის შიდა მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ყოველდღიურად იკეტება და უკვე სტალინისტური მიმართულებით მიდის.

— საინტერესოა თქვენი პროგნოზები 2016 წლის არჩევნებისთვის, გამარჯვება დამარცხებისთვის...

— მე მგონია, ვერაინ მიაღწევს 30%-ს, ვერც ერთი ცალკე ძალა და მე ვთვლი, რომ ეს კარგია და რომ იქნება, მეტი რეალური პოლიტიკური ძალა შევიდეს პარლამენტში, ვიდრე დღეს არის.



„ნაციონალური მოძრაობა“
ველარ აღდგება,
როგორც კლიარი
და ერთადერთი
ოპოზიციური ძალა
და, მე მგონი, ეს
ძალიან კარგია“



ამბულატორიული ცენტრი

სამედიცინო კორპორაცია ევექსი



„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ახალი
ამბულატორიული ცენტრი გლდანში!

28, 29 და 30 სექტემბერს

ისარგებლეთ უმღებრი სპეციალისტების მომსახურებებითა და კვლევებით

სრულიად უფასოდ

- პირადი ექიმი;
- გინეკოლოგი;
- ენდოკრინოლოგი;
- ოფთალმოლოგი;
- ბავშვთა ნევროლოგი;
- კარდიოლოგი;
- ზოგადი ქირურგი;
- დერმატოლოგი;
- ალერგოლოგი;
- ონკოლოგი;
- რევმატოლოგი;
- ნევროლოგი;
- სისხლის საერთო ანალიზი;
- ელექტროკარდიოგრაფის გადაღება.



წარმოებს წინასწარი ჩანერა: ☎ 2 55 05 05 🏠 გლდანის | მ/რ

Fly With us!
იფრინეთ ჩვენთან ერთად!

ახალი მიმართულებები
ავიაკომპანია
ჯორჯიან ეარვეისისგან:

- პეტიტურები** – ყოველ სამშაბათს და
პარასკევს – 145 ევროდან
- სამარა** – ყოველ კვირა დღეს – 135 ევროდან
- ოღესა** – 1 ივლისიდან – ყოველ
ოთხშაბათს 120 ევროდან
- ერევანი** – ყოველდღე – 55 ევროდან
- როსტოვი** – ყოველ სამშაბათს და
პარასკევს – 124 ევროდან



Georgian Airways
ჯორჯიან ეარვეისი

my View ნიკო მჭედლიძე

სოფიკო ქიაურელისა და გიორგი შენგელაიას ოჯახში გაიზარდა... როდესაც მისი მისახვედრი არ არის რატომ ნანობს ყველაზე მეტად იმას, რომ დიდი დრო ვერ დაუთმო შემოქმედებას. მის სახელსწრში იკრიბებოდა ნაღები ხელოვანი ახალი თაობა და იქ იქმნებოდა შედეგები. უყვარდა სამჯერ ან მეტჯერ... ყველაზე ხანგრძლივი ბოლო ქორწინება აღმოჩნდა. 20 წელია ეკასთან სიყვარული არ გამწვანებიაო, მითხრა ჩემმა რესპონდენტმა. რეცეპტი, იმისთვის, რომ სიყვარული არ განელდეს და ქალის ფენომენი, რომლის ამოცნობა კაცს არ შეუძლია, რა სჭირდება ორივე სქესს ბედნიერებისთვის... მოკლედ, დღეს მხატვარ ნიკუშა შენგელაიას ცხოვრების გზას გაუყვებით.



ებას ცხოვრებისეული გამოცდილება და განათლება სჯობს. უფრო ძლიერი, უფრო მყარი და უფრო საჭიროა.

- ქალის პატივისცემა?
- ქალის პატივისცემა სულ იყო თბილისში, განსაკუთრებით ჩვენ დროს. ისეთი ისტორია ჰქონდა ჩვენს ქვეყანას, დღემდე რომ მოვედით, დიდი წილი ქალების დამსახურებაა. მამაკაცებს ბრძოლა უწევდათ, ქალების ზურგზე გადაიარა ერის გამოზრდამ. ასეთ ერში განსაკუთრებულია ქალის პატივისცემა.
- ქალის გამო გიჩხუბიათ?
- კი. ერთხელ შევესწარი სურათს, კაცი ურყამდა ქალს, გავათრიე ის კაცი იქიდან. მომიბრუნდა ქალი და ჩხუბი დამიწყო, ჩემს ქმარს თავი დანებო. ასე რომ, ახლა ვფრთხილობ, გამოდის, ვერ უნდა ჰქონოთ, დახმარება ხომ არ უნდა (იცინის).

ალზრდის მთავარი კრიტერიუმები

- ნიკუშა, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მინდა ვისაუბროთ და იმ გამოცდილებით დავეიცოთ, რომელიც მშობლებისგან, ოჯახიდან მიიღეთ...

- ძალიან მეგობრული ურთიერთობა მქონდა დედასთანაც და მამასთანაც. ახალგაზრდები იყვნენ ჩემი მშობლები და ჭკუის სწავლების მეთოდები არ გამოუყენებიათ ალზრდის დროს. ცოცხალი ურთიერთობა გვქონდა, ემოციური, მეგობრული. პირველ რიგში, ცდილობდნენ ადამიანი ვყოფილიყავი. რისგან შედეგა ადამიანი? პირველ რიგში ბუნებრივი თვისებებისგან. დაუშვებელია ჩემმა მშობლებმა, ჩემმა ბებია-ბაბუებმა ვინმეზე მაღლა დააყენონ თავი. ამასვე მასწავლიდნენ მეც. მასწავლიდნენ რომ მაქსიმალური მოვთხოვო ჯერ საკუთარ თავს და მერე სხვას, რომ ფუჭად არ დამეკარგა დრო, საქმე მეკეთებინა და რაც მთავარია, სიკეთე მეკეთებინა. უმთავრესი, სიყვარული ვისწავლე მათგან. ეს არის თვისებები, რომლითაც განვსხვავდებით ადამიანები სხვა ცოცხალი არსებებისგან. თუმცა სხვა ცოცხალ არსებებსაც აქვთ აქ ჩამოთვლილი თვისებები, მეტ-ნაკლებად, მაგრამ ინსტიქტის დონეზე, ბიოლოგიის დონეზე... აი, ამ ზნეობრივ პრინცი-

პებს მიღვივებდნენ ოჯახში.

- მაგრამ, იმ ასაკში ვერ აცნობიერებ, რატომ ითხოვენ ამ ყველაფერს შენგან... იყო, პერიოდი, როცა მშობლები თქვენი მტრები გახლან?

- მტერი არა, მაგრამ კონფლიქტი მქონდა. ბავშვობაში მართლაც ვერ აცნობიერებ რატომ გაიძულებენ რაღაცის კეთებას. ბავშვს რა უნდა? ბავშვის ცხოვრება შედეგა გართობისგან და სამყაროს აღქმისგან, შეხებისგან. თუმცა, ვფიქრობ, რომ ბავშვობის მოვლენები ყველაზე მძაფრია. ახლა, როცა ასაკში შევედი, სამოცს ვუახლოვდები, ყველაზე მძაფრი მოვლენები სწორედ ბავშვობას უკავშირდება.

- განსაკუთრებული დარიგება გასხედებით მშობლებისგან?

- მთავარი იყო არ დამეკარგა ფუჭად დრო, მაღლობა მეთქვა უფლისთვის, რომ გამაჩინა და დრო მომცა იმისთვის, საკუთარი თავის რეალიზაცია მომეხდინა... და იმ გზაზე რომელსაც გავდივარ, მეტი სიკეთე მეკეთებინა.

- მშობლებიდან ვის ჰგავხართ ხასიათით?

- ორივეს, ხასიათით, ფიზიკურად, ხმის ტემბრით... გენეტიკა შენგან დამოუკიდებლად მუშაობს.

მეზობლის ბავშვის საოცნებო სათამაშო

- სოციალური ფონი, ფინანსური მდგომარეობა როგორი იყო ოჯახში?

- მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელშიც მატერიალური ფასეულობები არ არსებობდა. არსებობდა შეფასების კრიტერიუმები: ნიჭი, იუმორი, ცოდნა. მატერიალური საჭიროება მინიმალური იყო. როცა ოჯახის ოთხი წევრი მუშაობდა, აბსოლუტურად საკმარისი იყო იმისთვის, რომ საჭმელიც გეჭამა, ექიმთანაც წასულიყავი... საბჭოთა კავშირის დროს კომუნალური გადასახადები მინიმალური იყო, სანავიცი კაპიტები ღირდა და საჭმელიც.

- და მეზობლის ბავშვის სათამაშოზე არ დაგრჩენიათ თვალის...

- ბავშვს სხვის სათამაშოზე მინერჩება თვალის (იღიმება). მასსოვს, ჩემს მეზობელს უყიდეს დიდი მატარებელი, რომელსაც თავისი ლიანდაგი ჰქონდა და ძალიან მომეწონა. მე არ მქონდა და მასთან მივდიოდი ხოლმე სათამაშოდ... მაშინ ასეთი სოციალური განსხვავებები ოჯახებს შორის არ იყო. მუშა იყო, ხელოვანი თუ მეცნიერი, ერთ სოციალურ გარემოში ცხოვრობდნენ, მცირედი განსხვავებით. განსხვავება ის იყო, რომ მეცნიერისა თუ ხელოვანის ოჯახს პატივს სცემდნენ, უყვარდათ...

- ამ პატივისცემის გამო სკოლაში პოპულარული ბავშვი იყავით, ალბათ.

- სკოლაში პოპულარული იმის გამო ვიყავი, რომ ძალიან ცელქი გახლდით.

- თქვენი უსაქციელობის გამო მშობლები დაუბარებიათ სკოლაში?

- კი. ერთხელ პაპაჩემი წაიყვანე და ისეთი პიჯაკი ჩაიცვა, 60 კილო ორდენები ჰქონდა ზედ მიბნეული. მეორედ აღარ მოიყვანო, მითხრეს. მიშა ძალიან ხუმარა იყო, ბავშვმა თუ არ იცელქა, დააშავა, ის რა ბავშვიაო, უთქვამს. მართალი ბრძანდებოდა, დაეთანხმა თურმე დირექტორიც (იცინის).

ქუჩის აკადემია

- ყველა მამაკაცის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა ის ქუჩაში გადის თავის დასამკვიდრებლად. რა მოგცათ ქუჩამ გამოცდილების თვალსაზრისით?


- ჩვენ ქუჩაში ვერთობოდით, ქუჩაში ვცხოვრობდით. იყო ორი ალტერნატივა, ქუჩა და სახლი, სხვა გასართობი არ გვქონდა. სად იყო ამდენი რესტორანი, დაბადების დღეებს სახლებში აღვნიშნავდით... თავისი სტრუქტურა ჰქონდა თბილისს, რომელიც მოიშალა ურბანისტულად. ეს ქალაქის ხასიათს გამოხატავდა. მთავარი თბილისში ურთიერთობა იყო და არქიტექტურაც ისე ვითარდებოდა, რომ ამ ურთიერთ-

ბებისთვის ხელი შეეწყო. კორპუსობანა, დაყოფობანა და მატერიალიზმი მკლავს. აქ, ჩვენთან, ქურთების უბანი იყო, იქით მენაღე იჯდა, აქეთ პურის საცხობი იყო, ყველა ერთმანეთს იცნობდა. იქით, უფროსი თაობის ძველი ბიჭები იდგნენ. ყველა უბნულს თავისი ხასიათი ჰქონდა...

- რას სწავლობს ქუჩიდან?

- ბევრ რამეს, ვაჟკაცობას, საქციელს, ეს, რა თქმა უნდა, არ არის პირდაპირი განათლება, მაგრამ ზოგჯერ დაზუსტულ განათლ-

„სიყვარული რომ არ განელდეს, უნდა გიყვარდეს, ეს არის მთელი ფილოსოფია“



„ბევრი არასწორი რამ გამოიკეთებია, მაგრამ ყველა გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ასა უნდა ყოფილიყო“

„უპიტხაჰად ჩნდება ბრძნობა“

EXCLUSIVE

„პატეხი ვაჟრენტო, მაბრამ პარბად ვაჟრენტო“

„ერთხელ შევესწარი სურათს, კაცი ურტყამდა ქალს, გავათრიე ის კაცი იქიდან. მომიბრუნდა ქალი და ჩხუბი დამიწყო, ჩემს ქმარს თავი დაანებეო“

„კაცს ქალი პირველად ყოველთვის ფიზიკურად მოსწონს. არავინ მოგატყუოთ, რომ მთავარი მისთვის შინაგანი სამყაროა“

ვიდრე ნერვების შლა რიგ საკითხებზე.
- პირველი სამსახური, პირველი პონორარი...
- 15 წლის ვიყავი, როცა არქეოლოგებთან ვმუშაობდი, უინვალში გათხრებზე. ყოველ ზაფხულს ვმუშაობდი 3-3 თვით. საკმაოდ დიდი პონორარი მქონდა, 200 მანეთი. ჩემი მოვალეობა იყო მთებში ისტორიული ნანგრევების მოძიება, არქიტექტორული აზომვა და ჩახატვა.
- გასსოვთ, რაში გამოიყენეთ პირველი ხელფასი?
- არ მახსოვს, ალბათ, ძმაკაცებთან ერთად ვიქეიფე. ოჯახში ჩემი ფული არ სჭირდებოდათ. მაშინ დაოჯახებული არ ვიყავი.
„ქალის ფენომენს კაცი ვერასდროს ამოიცნობს“
- რა ასაკში დაოჯახდით?
- 20 წლის ვიყავი პირველი ოჯახი რომ შევქმენი.

- იყო, ეს შეგნებული ნაბიჯი?
- როგორ გითხრათ, სიყვარული იყო. მაგ ასაკში გათვლებზე ზედმეტია ლაპარაკი, ალბათ, ამიტომაც დამთავრდა მალე, სამ წელიწადში...
- მიზეზი?
- თავიდან ხომ იცით, იყო აღტკინება, რომელიც მალე გადის... მერე მოსკოვში ვსწავლობდი ორივე. მე სამხრეთის ყვავილივით ძნელი გადასანერგი ვარ. მივიღე გადაწყვეტილება და დავბრუნდი საქართველოში, სამხატვრო აკადემიაში. იას უნდა დავმთავრებინა იქ სწავლა და...
- ამ გადასახედიდან ფიქრობთ, რომ სწორად მოიქეციით?
- ბევრი არასწორი რამ გამიკეთებია, მაგრამ ყველა გადასახედიდან ფიქრობ, რომ ასე უნდა ყოფილიყო.
- ამან ტკივილი დატოვა?
- ტკივილი ყველა ურთიერთობის დასრულებას მოყვება. ტკივილის ნამაღლი დროა.
- უკან დაბრუნებაზე გიფიქრიათ?
- არა. არასდროს არ მინდა უკან დაბრუნება... დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ შევქმენი მეორე ოჯახი. ამ ქორწინებიდან ნატო შემეძინა. ის ურთიერთობაც სამ წელიწადში დამთავრდა. რაც შეეხება ჩემს ეკას, უკვე ოცი წელია ერთად ვართ.
- როგორ გაცნაობთ ერთმანეთი?
- ჩემს სახელოსნოში მომიყვანა მეგობარმა. მაშინ თბილისში არაფერი ხდებოდა, გათბობაც არ იყო ქალაქში. ჩემი სახელოსნო დულდა შემოქმედებითაც და პირდაპირი გაგებითაც, შეშის ღუმელი მედგა. იქ იკრიბებოდნენ ჩემი მეგობრები: პოეტები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. ნახევრად ბოჰემური და ნახევრად შემოქმედებითი ურთიერთობა გვექონდა. მოდიოდნენ: ირაკლი

ჩარკვიანი, ილუშკა სუბიშვილი, დათო ევგენიძე. დღე და ღამე აქ ვიყავით. იქ მოიყვანეს ეკაც. ერთმანეთი დავეინახეთ და... უკითხავად ჩნდება გრძნობა.
- რა იყო მთავარი, რამაც მასში მოგხიბლათ?
- მშვენიერება, სილამაზე. კაცს ქალი პირველად ყოველთვის ფიზიკურად მოსწონს. არავინ მოგატყუოთ, რომ მთავარი მისთვის შინაგანი სამყაროა. უბრალოდ, მე გამიმართლა და ეკას ის თვისებები აღმოაჩნდა, რომელიც მე ასე მიყვარს მასში. პასუხისმგებლობა აქვს, კეთილი, მეგობრული და სასწაული დედაა.
- ამასობაში ამოიცანით ქალის ფენომენი?
- ქალის ფენომენს კაცი ვერასდროს ამოიცნობს, ისევე ქალი თუ ჩანვდება ქალს (იცინის).
- მთავარი ღირებულებები მაინც ხომ იცით, რა სჭირდება ქალს ბედნიერებისთვის?
- კარგი მამაკაცი გვერდით.
- როგორია კარგი მამაკაცი?
- ვაჟკაცური, მზრუნველი, მოსიყვარულე...
- მამაკაცს რა სჭირდება ბედნიერებისთვის, ვაჟკაცური, მზრუნველი და მოსიყვარულე ქალი?
- (იცინის). არა, ვაჟკაცური და ძალიან ჭკვიანი ქალი არ დამანახო. ქალი გონიერი უნდა იყოს... კაცს კიდევ საკუთარი თავის რეალიზაცია სჭირდება.
- ქალს არა?
- ქალსაც, მაგრამ კაცს გამძაფრებულად. კაცს ბევრად უფრო აბსტრაქტული ტვინი აქვს, ვიდრე ქალს, ეს ბიოლოგიურად დამტკიცებულია. ქალი უფრო მინიერია, მთავარი პასუხისმგებლობა აქვს. კაცები ვაფრენთ, მაგრამ კარგად ვაფრენთ. გადახედეთ მეცნიერებს, სულ კაცები არიან.

- არსებობს რეცეპტი იმისთვის, რომ სიყვარული არ განელდეს?
- არა. სიყვარული რომ არ განელდეს, უნდა გიყვარდეს (იღიმება), ეს არის მთელი ფილოსოფია. მნიშვნელობა აქვს რა ასაკში გიყვარს. ეკასთან სიყვარული 20 წელია არ გამნელებია.
- ცხოვრების მთავარი შეცდომა თავად რა გამოცდილება გავუზიარეთ შეილებს?
- მეგობრული ურთიერთობა გექონდა და გვაქვს დღემდე. სწორედ იმ პრინციპებით ვხელმძღვანელობდი ალზრდის პროცესში, როგორც ჩემი მშობლები, იყავი ადამიანი, არ შეარცხვინო შენი წინაპრები, საკუთარ თავთან იყავი მართალი, უნდა დამალო შეცდომები, პირველმა ალიარე რა შეგეძალა და მის გამოსწორებაზე იფიქრე.
- მოგისმინეს?
- ზოგჯერ გისმენენ, ზოგჯერ არა. მთავარია, რომ ბუნებით კეთილი ადამიანები არიან, მეგობრული...
- დასასრულ, შეცდომებზეც გკითხავთ, რას ნანობთ, ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?
- ჩემი შემოქმედებისთვის ნაკლები დრო დავხარჯე. ამას ვნანობ. საზოგადოებრივ საკითხებში ვიყავი ჩართული, თუმცა ამაზეც პასუხისმგებლობა მქონდა ალბათ. დავკარგე დრო. თუმცა ეს ყველაფერი გროვდება, ვფიქრობ, აუცილებლად დაუბრუნდება ჩემს საქმეს.



„ვაჟკაცური და კალიან ჭკვიანი ქალი არ დამანახო“

თამარ შვანიასთან



„კალიან სინთერისო, რომ გვეძნება ადაპტირებული უზნები უმე პირებისთვის“



„პრაქტიკა საარჩევნო პროცედურებისა და არჩევნების მიმართ უფრო მოდერნიზებული მიდგომები მოიტანა“

გა 2016 წლის არჩევნებს სენსიტივობა

სის არასებობის გამო, მაქსიმალურად ვერ დავიკავებთ ასეთ საკითხებზე აქტიურობას, რადგანაც ვითარება არ გართულებს.

შარშან თვითმმართველობის არჩევნებამდე კანონმდებლობის განხილვა მიმდინარეობდა და ერთ-ერთმა არასამთავრობო მარკირების ამოღების საკითხი დააყენა. თუმცა, პოლიტიკური კონსენსუსის არარსებობის გამო, ცხადი იყო, კანონმდებლებს გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდებოდათ. საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს დამატებითი პროცედურაა. მაგრამ თუკი ეს უკავშირდება ნდობას, გვირგვინა, იყოს, ვიდრე ამოვიღოთ და შემდეგ უნდობლობის განწყობა შეიქმნას.

– რას იტყვით საარჩევნო სიებზე? ეს თემა, მარკირების მსგავსად, მუდმივად დღის წესრიგში დგას. ამ არჩევნებზეც შეიძლება გააქტიურდეს თუ პრობლემები აღარ იქნება?

– არ იქნება... ეს, ალბათ, უფრო დამოკიდებულებების, აღქმების და ისევე ჩვენს მეხსიერებაში ჩარჩენილი საკითხებია. 2012 წლის არჩევნები რომ ტარდებოდა, მაშინ სპეციალური კომისია შეიქმნა, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული. კიდევ პოლიტიკური პარტიებისთვის სიებზე სამუშაოებისთვის ერთი მილიონი ლარი იქნა გამოყოფილი, მათ რეალური პრობლემები უნდა მოეძებნათ. სერიოზული პრობლემები არ მოსულა. ახლა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფოს სერვისების განვითარების სააგენტომ დიდი სამუშაო ჩაატარა. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, 2013-14 წლების საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებში არც ერთი პატარა საჩივარი ან პრეტენზია სი-

ებთან დაკავშირებით არ ყოფილა, არავის უთქვამს, რომ სიები გაყალბებულია.

ამის გარდა, შარშან ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს დაგუწურეთ სპეციალური პროგრამა და სიებთან ერთად გავატანეთ, თუმცა, არც ერთი პარტია არ მოსულა და არ უთქვამს, რომ სიებში რაიმე პრობლემა ნახა.

იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, მილიონ 900 ათას ამომრჩეველს „აიდი“ ბარათი აქვს. დაახლოებით 300 ათასს – ბიომეტრიული პასპორტი. უკვე ორ მილიონზე მეტი ამომრჩეველია იდენტიფიცირებული ბიომეტრიული პარამეტრებით. აიდი-ზაციის პროცესი, შეიძლება ითქვას, სიებთან დაკავშირებით უსაფუძვლო ეჭვებს მთლიანად მოხსნის.

– რაც შეეხება თქვენთან დაკავშირებულ ბრალდებებს...

– ბრალდებები აუცილებლად იქნება და ამისთვის მზად ვარ. ზოგი ნაციონალურების სასარგებლოდ მუშაობას მბრალდებს, ზოგიც – „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. არიან ისეთებიც, ვინც ბურჯანაძის ინტერესების გაზიარება დამაბრალა... მეღიშება ხოლმე, როგორც ჩანს, საქართველოში ძნელად სჯერათ, რომ ვიღაც შეიძლება არ იყოს ვილაცისტი.

– ითქვა, რომ თქვენ გრანტები მხოლოდ ნაციონალურების სასარგებლოდ გაცემით...

– დაეინყოთ იქიდან, რომ გრანტებს ცესკო საერთოდ არ გასცემს. მას სხვაგვარად ცენტრი გასცემს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს კონტროლქვეშ საქმიანობს, მაგრამ დამოუკიდებელი ორგანოა. მეორეც, გრანტების გაცემაში ჩართულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ასე რომ, გრანტებს თვითონ ცენტრიც კი არ გასცემს პირდაპირ. გრანტების კომისიაში არიან: გაეროს, ეუთოს წარმომადგენლები, ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, NDI, IRI, IFES, NIMD გადაწყვეტილებასაც პროექტების შერჩევაზე ისინი იღებენ. არ ვიცი, სხვა ნდობის ფაქტორი... ასეთი ბრალდებები იქნება. ამოიღეს მხოლოდ იმ დაახლოებით 10 ორგანიზაციის სახელი, რომელიც მათი შეფასებით ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას უჭერს მხარს, დანარჩენი დანარჩენი 20-30 რატომ არ არის ამოღებული? საერთოდ, ასეთ დავაში არ შევდივართ. მით უფრო, როცა საქმე კერძო პოლიტიკურ ინტერესებთან გვაქვს.

– ყველა თქვენი წინამორბედი პოლიტიკოსთან იყო დაკავშირებული. მათ კარიერაც კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას დაუკავშირეს შემდგომში. ამიტომაც ბევრმა ჩათვალა, რომ ისინი მართლაც ასრულებდნენ პოლიტიკურ დავებებს... თქვენ, მგონი, პირველი ქალი ხართ...

ტიკურ გავლენებს განიცდიდა? აპირებთ პოლიტიკაში წასვლას?

– არა, პირველი ქალი არ ვარ. 2003 წელს ნანა დევდარიანი იყო ძალიან ცოტა ხნით, მაგრამ ყველაზე რთული არჩევნების დროს. როცა მე გავხდი ცესკოს თავმჯდომარე, თქვეს კიდევ: იმ ქალს რა ბედი ენია და ნეტა ამას რა ეშველება... რაც შეეხება პოლიტიკურ წნეხს, ბოლო ორი არჩევნები ისე ჩავატარე, რომ არანაირი წნეხი არ ყოფილა. მე, ალბათ, გამოჩინდები ვიქნები, ახლაც ვეცდები, რომ პოლიტიკაში წასვლას არ ვაპირებ. მიხდა ქვეყანაში ოდესმე ვინმემ დაიჯეროს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ პოლიტიკური მიზნები და აქვთ მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოს განვითარების გეგმა...

– ანუ თქვენი ფაქტორიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცესკოს განვითარების ახალი ეტაპი, რადგანაც თქვენ პოლიტიკურად ნეიტრალური ხართ. როგორ ფიქრობთ, კომისიის წევრებიც აპოლიტიკურები უნდა იყვნენ?

– საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას რამდენიმე პარამეტრი აქვს, პირველი რიგში ეს არის საკანონმდებლო და ფინანსური დამოუკიდებლობა. ნელს მართლაც გადავიდით განვითარების სხვა ეტაპზე. 2015 წელს პირველად არ მოგვიანია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ბიუჯეტზე მუშაობა. ის პარლამენტში დამოუკიდებლად იქნება დამტკიცებული. დამოუკიდებლობის ხარისხი ხელფასებზეც არის დამოკიდებული.

ერთი პატარა ტკივილი რაც მაქვს, არის ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები, რომლებიც არიან დანიშნულები, მათი განხილვა პოლი-

ტიკურ პარტიებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ. ეს გარკვეულ რისკებს შეიცავს. თუმცა, ასეთი ფაქტი ვერ არ მომხდარა. საბოლოო ჯამში, აქ მთავარია მათი საქმიანობა და პროფესიონალიზმი.

– თქვენ არჩევნების დღეს არჩევანს როგორ აკეთებთ?

– სხვათა შორის, 2010 წელს ადგილობრივი არჩევნების დროს (მაშინ ცესკოს თავმჯდომარე არ ვიყავი) სამი სხვადასხვა ბიულეტენი იყო: პროპორციული, მაჟორიტარული და მერის. მიხდა თვითმმართველობა წარმომადგენლობითი ყოფილიყო, ამიტომაც სამივეში სხვადასხვა შემოვსაზე. რაც შეეხება ბოლო არჩევნებს (როცა უკვე მე ვიყავი ცესკოს თავმჯდომარე), არ მიხდა ფარული გათვლა, მაგრამ შარშან ვერ ნავედი არჩევნებში. მიხდა გითხრათ, რომ კანადის მთავარ საარჩევნო მოხელეს, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის მიღება ეკრძალება და ეს სიმბოლურია. აჩვენებს იმას, რომ ის არავის არ ემხრობა. შეიძლება იყოს სიმბოლური, რომ მე ჩემი პოზიცია არ დავაფიქსირო.

– აპირებთ, ეს ტრადიცია აქაც დაამკვიდროთ?

– ცუდი არ იქნება...

– თქვენ სწორედ ის ადამიანი ხართ, ვინც ამომრჩევლის არჩევანს იცავს, გრძობთ, რომ ალტერნატიული ხარისხით სათანადო უფლებამოსილებით?

– 3700-მდე უზანზე 48 ათასი ადამიანი, მათი გაკონტროლება ძალიან რთულია. ჩვენი მთავარი საყრდენი საოლქო საარჩევნო კომისიებია... მაქსიმალურად ვცდილობთ, რაც შეიძლება დამოუკიდებელი, ნეიტრალური და პროფესიული კადრები გვაყავდეს, მათი პროფესიონალიზმი გადამწყვეტია. სისტემა ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ დამოუკიდებლობის ხარისხი იყოს მაღალი, სახელმწიფოებრივი მიდგომა კი – უპარტიო. ეს უნდა შევძლოთ და ამის ამბიცია ნამდვილად მაქვს. გადაცდომბა არჩევნებში არავის ევატივია.

– როგორი წარმოგიდგენიათ თანამედროვე საარჩევნო სისტემა 10 წლის შემდეგ? თქვენ რა როლი გეძნებათ ამ სისტემის ჩამოყალიბებაში და რა სისტემაა, თქვენი აზრით, საქართველოსთვის უფრო მისაღები?

– ნებისმიერი სისტემა მისაღებია ქვეყნისთვის, მისი კონტექსტიდან გამომდინარე. როგორი იქნება 10 წლის შემდეგ კონტექსტი, ახლა რთულია თქმა, რადგანაც ქვეყანა სწრაფად ვითარდება და იცვლება. არ ვიცი, 10 წლის შემდეგ რა იქნება, მაგრამ ხუთი წელი გავსაზღვრული გვაქვს და ვიცი, რომ ინსტიტუციურად ცესკო იქნება ძლიერი, საარჩევნო გარემო იქნება უკეთესი, ამომრჩეველი იქნება უფრო განათლებული და საარჩევნო ოპერაციები გახდება უფრო დახვეწილი...

„მე, ალბათ, გამონაკლისი ვიქნები, ახლაც გიტყვით, რომ პოლიტიკაში წასვლას არ ვაპირებ“



საარჩევნო ციკლში სულ უფრო აქტიური ხდება საარჩევნო კოალიციების შექმნა. თუ სოსო ცისკარიშვილი ბურჯანაძე-ინაშვილს ამბიციებისა და სხვა სახის ინტერესების უკან ჩამოტოვებასა და არჩევნებზე ერთიანი კოალიციით გამოსვლას ურჩევს, ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ პროდასავლურ ფრონტზე კოალიციას ალასანიას და რესპუბლიკელები შეკრავენ. ის თითქმის დარწმუნებულია, რომ კოალიციას დავით უსუფაშვილის პოლიტიკური ჯგუფი გამოეყოფა. მისი თქმით, ნაციონალები ცალკე გავლენ და ისინი კოალიციას არაფერს არ გააფორმებენ. მისი შეფასებით, პროდასავლელი ძალები პარლამენტში ითანამშრომლებენ და შეეცდებიან, აღმასრულებელი ხელისუფლება დააკომპლექტონ.

ადრე საუბრები იყო ნაციონალების ალასანიასთან გაერთიანებაზე, თუმცა, როგორც მათი კომენტარებიდან ჩანს, ამ ეტაპზე უკვე არაფერი გამოვა.

ირაკლი ალასანიამ, ადრე თუ ბუნდოვან განმარტებებს აკეთებდა ამ თემაზე, ახლა მკაფიოდ განაცხადა, რომ პარტია დამოუკიდებლად ავა საარჩევნო რინგზე.

– „ნაცმოდრაობას“ ჩვენს კონკურენტად არ ვთვლით და არც ჩვენი წინააღმდეგობის ობიექტად გვყავს გამოცხადებული. ჩვენ ხელისუფლების ოპოზიცია ვართ, მაგრამ დღეს ისევე არ მოგვწონს სააკაშვილისდროინდელი ძალადობრივი რეჟიმი, როგორც ეს 2012 წლამდე იყო. ჩვენ არ მოგვწონდა მისი მართვის სტილი – ძალადობრივი და

უსამართლო. ამიტომ ნავედით ოპოზიციაში. იგივე შევატყვევთ ივანიშვილს, რომელიც აბსოლუტურად იმავე მეთოდებით მართავს ქვეყანას. იმედი გქონდა, რომ 2012 წლის მერე სპეცრაზმი პოლიტიკური მიზნებისთვის არ იქნებოდა გამოყენებული. დღეს ვხედავთ, რომ ისევ ხდება მოქალაქეების პირადი ცხოვრების ქეჭვა თუ მათი მოსმენა. რაც შეეხება იმას, რომ მე პოლიტიკურ ოპონენტებს მტრად არ აღვიქვამ, ეს ასეა. მე არც „ნაცმოდრაობას“ მივიჩნევ მტრად და არც „ოცნებას“. „ოცნებაში“ დღესაც არიან ადამიანები, ვისთანაც ახლაც ვაგრძელებ მეგობრობას. კიდევ ერთხელ მინდა თქვენს მკითხველს ხაზგასმით ვუთხრა, რომ 2016 წლის არჩევნებზე „დემოკრატები“ გავდივართ მარტო. ერთადერთ კოალიციას ვაკეთებთ – კოალიციას ჩვენს მოქალაქეებთან“.

ამ თემას რამდენიმე დღის წინ გიგი უგულავაც შეეხო. მისი განმარტებით:

– ჩვენ ვერ შევთანხმდებით წარსულზე, ისინი მუდმივად ისაუბრებენ 9-წლიან მმართველობაზე, მე ყოველთვის წამოვამახებ იმ 2 წელს, რაც მათ ივანიშვილის მთავრობაში გაატარეს. აზრი არ აქვს იმას, რომ წარსულზე ვილაპარაკოთ, რადგან მოსახლეობას უნდა საუბარი მომავალზე.

ნაციონალები აცხადებენ, რომ ისინი არ ითანამშრომლებენ პრორუსულ ძალებთან. თუმცა, ინტერაქტიულ ჯგუფში ისეთი პრორუსული ძალაა წარმოდგენილი, როგორც ნინო ბურჯანაძეა.

ბურჯანაძე პუტინს სტუმრობს



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პარლამენტის ზედა პალატის მონევით სანკტ-პეტერბურგში იმყოფება.

პარტიის პრესამსახურის ინფორმაციით, ბურჯანაძე შეხვედრები გამართა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს პირებთან. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რუსეთის მხრიდან არის მზაობა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის ნორმალიზებისა.

„გაჯიუტებით, დიალოგის შეწყვეტით პრობლემები არ გვარდება. ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი გზები იმისთვის, რომ ეს პრობლემები მოგვარდეს და მე ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის. ვპირდები ჩემს ხალხს, რომ ძალიან სერიოზულ გარდატეხას შევიტან რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და აუცილებლად დავიწყებ იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეულია“, – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

მირიან ბოქლიშვილი

სანუმ ჯეირანოვას თვითმკვლელობამდე მიყვანის გახმაურებული საქმე შესაძლოა, მალე გახსნილად გამოცხადდეს. როგორც პროკურატურის კულუარებში ამბობენ, ბადაშვილის უწყებამ უკვე გამოიკვლია კონკრეტულ პირთა წრე და შესაძლოა, მალე ამ საქმეზე რამდენიმე ადგილობრივ ბრალი წაუყენონ. ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერჯერობით არ დასტურდება და პროკურატურაში მხოლოდ იმას განმარტავენ, რომ „საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და როგორც კი კონკრეტული დასკვნა დაიდება, ამის შესახებ საზოგადოება საჯაროდ შეიტყობს“.

ჩვენი წყარო კი ირწმუნება, რომ ასეთი დასკვნა თითქმის უკვე მზად არის და საქმეც მალე გაიხსნება. ამბობენ იმასაც, რომ ეს საგარეჯოს შუალედურ არჩევნებამდე მოხდება და ჯეირანოვას საქმით პროკურატურა შეეცდება, გარკვეულწილად წყალი დაასხას მმართველი გუნდის მაფორიტარობის კანდიდატს, თამარ ხიდაშელის რეიტინგზე, რომელიც ამ დროის მონაცემებით, არცთუ ისე სახარბილოდ გამოიყურება.

ბადაშვილის უწყებას საქმის დროული დასრულებისკენ თავად თამარ ხიდაშელმა მოუწოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხანუმ ჯეირანოვას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეში პროკურატურის მუშაობა ვერაირ კრიტიკას ვერ უძლებსო.

„ამ საქმის გამოძიება, მათ შორის, პარლამენტის ტრიბუნლიდან უნდა მოვიტხოვოთ ძალიან სმაძალა და ძალიან დაჟინებით. პროკურატურას უნდა მოვთხოვოთ უფრო მეტი ეფექტურობა, უფრო მეტი გონიერება, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობასთან გვაქვს საქმე“, – აღნიშნა თამარ ხიდაშელმა კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე.

მკითხველს შევახსენებ, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმულანოში 30 წლის ხანუმ ჯეირანოვამ თავი 2014 წლის 18 სექტემბერს მოიკლა. გარდაცვლილის ოჯახი ამ დრომდე უმედეგოდ ითხოვს იმ ოთხი პირის დასჯას, ვინც ხანუმ ჯეირანოვა ქმრის ლალატში დაადანაშაულა, დაიჭირა, სოფელში ჩამოატარა და სცემა.

ამ საქმემ ბევრს ირანის ერთ-ერთ სოფელში მომხდარ რეალურ ისტორიაზე დაყრდნობით გადაღებული ცნობილი ფილმი – „სორიას ჩაქოლვა“ გაახსენა, როდესაც ახალგაზრდა სორიას სოფლის თავებმა ქმრის ლალატი დააბრალეს და საჯაროდ ქვებით ჩაქოლეს. „თითოეული ქვით, რომელსაც ისვრით, თქვენი ღირსება ამალდებდა“, – მოუწოდებდა მოლა სოფლის ცენტრში ქვებომარჯვებულ მამაკაცებს, რომლებიც მზად იყვნენ, უდანაშაულო ქალი, რაც შეიძლება მალე, ჩაექოლათ.

სანუმ ჯეირანოვას სოფელში ჩამოტარება და მისთვის თუნდაც თითო სილის განა, სხვა არაფერია, თუ არა „ღირსების ამალების“ ზემოქმედებით ალქმა.

სანუმ ჯეირანოვას გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე „პრაიმტიმი“ უფლებადამცველ ნინო დანელიასთან ერთად შეეცადა, გაერკვია, რა დაბრკოლებებს შეიძლება წასწყდომოდა გამოძიება? რატომ დუმს ადგილობრივი მოსახლეობა? არსებობს თუ არა საქართველოში რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხე და სად არის გამოსავალი, რომ რელიგიის სახელით (იქნება ეს ისლამი თუ მართლმადიდებლობა) ადამიანებს არ გაუხსნორდნენ?

ნინო დანელია, უფლებადამცველი:

– ხანუმ ჯეირანოვას საქმე ძალიან საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უპროცედენტოც კი არის, იმ კუთხით, რომ პირადად მე არ მსმენია აქამდე საჯაროდ, მთელი სოფლის დასახლებად ჩაქოლონ ქალი, რომელსაც ქმრის ლალატი დააბრალეს. ეს ხდება სხვა ქვეყნებში, იქ, სადაც საზოგადოება ცდილობს, საკუთარი ცხოვრება რელიგიური ფუნდამენტური წესების მიხედვით მოახყოს. თუმცა, მეორე მხრივ, მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი ხანუმის შემთხვევა არ არის გამონაკლისი.



სოფლის მიერ დალატში მხილებული ქალის საჯარო შეურაცხყოფისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეს საგამოძიებო ორგანო მალე დაასრულებს

ზოგადად, ფუნდამენტალიზმი ძალიან ჰგავს ერთმანეთს რელიგიის მიუხედავად. მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმიც, ასევე, ძალიან დიდ პრობლემას უქმნის ქალებს სწორედ იმის გამო, რომ ჩვენს საზოგადოებაში ქალის ფუნქცია და როლი ნორმატიულია – ის უნდა იყო დაქვემდებარებული და არავითარ შემთხვევაში მეუღლის თანასწორი. თუ თვალს გადავავლებთ ბოლო პერიოდის სტატისტიკას, ნახავთ, რომ ძალიან ხშირია სწორედ ღირსების სახელით ჩადენილი მკვლევობები. თუკი ქალი გადაწყვეტს, რომ წინ აღუდგეს ძალადობას, ან ცოლად არ გაჰყვეს ადამიანს, რომელთანაც მანამდე რაიმე ტიპის სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა, ეს მამიწვე ხდება დასჯადი. ვფიქრობ, ქალთა მიმართ ძალადობა

არის ჩვენი კულტურული და სტერეოტიპული მენტალიტეტის შედეგი. რატომღაც ქალი მიიჩნევა მოხმარების საგნად და საზოგადოების მეორეხარისხოვან წევრად. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად მიიჩნევა, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქალს ფიზიკურად უნდა გაუსწორდე. ძალიან პრობლემატურია, ასევე, ადრეული ქორწინებების თემა, რაც უფრო დამახასიათებელია საქართველოს მუსლიმანური საზოგადოებისთვის. გოგონებს ათხოვებენ ისე, რომ მათ წარმოგვანაც არ აქვთ, როგორ შეიძლება იყოს ოჯახური ცხოვრება, ისინი კარგავენ განათლების, შემდგომი განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზების უნარს. სამწუხაროდ, პრობლემა ბევრია, მაგრამ, როგორც წესი, ეს არ აღიქმება საზო-

ოვას საქმე გახსნილია?!

EXCLUSIVE



„ტიტოეული ქვით, როგელსაც ისვრით, თქვენი ღირსება ამაღლდება“



„გოგონებს ათხოვებან ისა, რომ მათ წარმოებანაც არ აქვთ, როგორი შეიქლება იყოს ოჯახური ცხოვრება, ისინი კარგავენ განათლების, შემდგომი განვითარებისა და სპორტული თავის რეალიზების უნარს. სამწუხაროდ, პრობლემა ბევრია, მაგრამ, როგორც წესი, ეს არ აღიქმება საზოგადოების პრობლემად“

ლი გიყვარს, მას უნდა მოეცე, როგორც პარტნიორს და არა როგორც მოსამსახურეს.

– სოფლებსა და ქალაქებში ერთნაირი სიმწვევით დგას პრობლემა, თუ რეგიონებში გაცილებით რთულად არის საქმე?

– რეგიონში ეს არის უფრო სერიოზული პრობლემა, ვიდრე ქალაქში. სოფლად ადამიანები უფრო კოლექტიურად ცხოვრობენ, სადაც ძალიან დიდ ანგარიშს უწევენ იმას, რას იტყვის თემი, მეზობელი, სანათესაო. ეს პრობლემა არის ქალაქშიც, თუმცა არა ისეთივე მასშტაბით, რადგან დიდ ქალაქებში ინდივიდი უფრო მეტად თავისუფალია და საერთოერთო წრეს ირჩევს არა ნათესავების, ან სამეზობლოს, არამედ ინტერესების მიხედვით. ანუ დიდ ქალაქებში ცოტა უფრო გახსნილია საზოგადოება. ცნობილია, რომ სოფელში თემი ყოველთვის თრგუნავს პროვინციას.

– რა შეიძლება გაკეთდეს?

– ყველაზე მნიშვნელოვანია განათლება. სკოლაში ბავშვებს უნდა ვასწავლოთ სამოქალაქო ღირებულებები. ღირებულებები, რომელიც არ არის განპირობებული არც რელიგიით და არც რაიმე ისტორიული ტრადიციით. ეს უნდა იყოს ორიენტირებული ერთი კონკრეტული ადამიანის სამოქალაქო უფლებებზე. როცა ადამიანს ეცოდინება, რომ მას შეუძლია, გაიღოს რაღაც თავისი საზოგადოებისთვის, და ის გაცილებით პროგრესულ და ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბდება. მე მაგალითად, რამდენიმე წელი ვცხოვრობდი ამერიკაში, სადაც სკოლაში იყო ასეთი კამპანია: ბავშვები უარს ამბობდნენ დღეში თითო ბოთლ კოკა-კოლაზე და ამ ფულს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის აგროვებდნენ. ამიტომაც, თუ ჩვენც სამოქალაქო ტიპის განათლებას ჩამოვყალიბებთ, მგონია, რომ ზემოხსენებული პრობლემები ნაკლები იქნება. თუ მათემატიკის სავარჯიშოში არ იქნება – გიორგი სანდროს რამდენ ავტომატს ნაართმევს და რამდენი დარჩება გიორგის, ვფიქრობ, გაცილებით უკეთესი თაობა გაიზრდება.

– სკოლებში სამოქალაქო განათლების შეტანაც ასე მარტივი საქმე არ არის... მართლმადიდებლური ეკლესია ამის წინააღმდეგ გამოდის და გარკვეულ საფრთხევებს ხედავს...

– ეკლესიასა და, ზოგადად, რელიგიურ ჯგუფებს ძალიან ეშინიათ სეკულარული, თავისუფალი ადამიანების, რომლებიც ვერ ხვდებიან მათი გავლენის ქვეშ. სამოქალაქო განათლება ადამიანებს ასწავლიდა იმას, რომ ყველა რელიგია არის თანასწორი, ყველა ადამიანს აქვს ალმსარებლობის თავისუფლება და არავის საქმე არ არის, მე ვიქნები კრიმინალი, იელოვას მოწმე, მუსლიმანი თუ მართლმადიდებელი ქრისტიანი. ეს არის ჩემი პირადი საქმე. ვის უწიებ სანთელს და ვის ფურქებს, ეს ძალიან პრივატულია. როდესაც ადამიანები ამას გაცნობიერებენ, ძალიან ძნელი იქნება რელიგიური ღირებულებით ადამიანების მართვა. რთული იქნება ქრისტეს სახელით ადამიანების ქუჩაში გამოყვანა და დაუცველ ჯგუფებზე ძალადობა. ჩემი აზრით, ეს პირდაპირ კავშირშია გავლენებისთვის ბრძოლასთან და მთავარი მიზეზი, რის გამოც, სამღველოების ნაწილს არ სურს სამოქალაქო განათლების სკოლებში შეტანა, არის ის, რომ ისინი დაკარგავენ გავლენას ბავშვებსა და ოჯახებზე.

გადოების პრობლემად.
– რა უნდა მოიმოქმედოს საზოგადოებამ? თუნდაც ხან-უხანაო ანოვას შემთხვევაში ვნახეთ, რომ საზოგადოება გარკვეულწილად გულმემატკივრობს მოძალადეებს და არა მსხვერპლს... შესაძლოა, ეს მათი ღირსების საკითხი იყოს?
– კი, ასეა. ქართველი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, არამხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალებიც, მიიჩნევენ, რომ თუ ქალი სცემს, ეს არის თვითონ ქალის ბრალი. ამის არგუმენტად მოჰყავთ, რომ თითქოს ის ისე არ იქცეოდა, როგორც წესია. მაგალითად, ზომაზე მეტად იცინოდა, ეცვა ზომაზე მეტად მოკლე იუბკა და ა.შ. ისმის კითხვა – რატომ ადანაშაულებს ქალთა უმრავლესობა ისე ქალს? საქმე ისაა, რომ ისინი მთელი ცხოვრება თამაშობენ მამაკაცების მიერ შემოთავაზებული წესებით. მათ სჭირდებათ მამაკაცებისთვის მუდმივი დადასტურება, რომ ეთანხმებიან ყველაფერში. ქალი, რომელიც წინ აღუდგება ამ საერთო თამაშის წესებს, მამიწვე ხდება მისი დემონიზაცია, რადგან მიიჩნევა, რომ ეს არის ნორმიდან გადახვევა. იმიტომ, რომ კონკრეტულმა ქალმა ხელი არ შეუშალა იმ წესრიგს, რომელიც მათ დაანესეს, აუცილებელი ხდება მისი მოკვეთა, ან იზოლირება. ასე რომ არ მოიქცნენ, ამ საზოგადოებაში არსებული ძალიან ბევრი პრობლემა ამოვა ზედაპირზე, გაირკვევა, რომ წყვილებს არა აქვთ ჯანმრთელი სექსუალური ურთიერთობა. ასევე, ზრდიან ბავშვებს, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა. ასეთი დამოკიდებულება აგებულია მხოლოდ წესებზე და არა სიყვარულზე. 21-ე საუკუნეში, მგონი, აღარ უნდა ვდაობდეთ, რომ, თუკი ქა-

ვანებელი წესებით. მათ სჭირდებათ მამაკაცებისთვის მუდმივი დადასტურება, რომ ეთანხმებიან ყველაფერში. ქალი, რომელიც წინ აღუდგება ამ საერთო თამაშის წესებს, მამიწვე ხდება მისი დემონიზაცია, რადგან მიიჩნევა, რომ ეს არის ნორმიდან გადახვევა. იმიტომ, რომ კონკრეტულმა ქალმა ხელი არ შეუშალა იმ წესრიგს, რომელიც მათ დაანესეს, აუცილებელი ხდება მისი მოკვეთა, ან იზოლირება. ასე რომ არ მოიქცნენ, ამ საზოგადოებაში არსებული ძალიან ბევრი პრობლემა ამოვა ზედაპირზე, გაირკვევა, რომ წყვილებს არა აქვთ ჯანმრთელი სექსუალური ურთიერთობა. ასევე, ზრდიან ბავშვებს, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა. ასეთი დამოკიდებულება აგებულია მხოლოდ წესებზე და არა სიყვარულზე. 21-ე საუკუნეში, მგონი, აღარ უნდა ვდაობდეთ, რომ, თუკი ქა-


ნიმე დანელია: „ეს არ არის გამონაკლისი. ზოგადად, ფუნდამენტალიზმი ქალიან ჰბავს ერთმანეთს, რელიგიის მიუხედავად. ჩვენს საზოგადოებაში ქალის ფუნქცია და როლი ნორმატიულია – ის უნდა იყოს დაქვემდებარებული და არავითარ შემთხვევაში თანასწორი“



paparazzi



ანრი ჯოსიაძე



paparazzi



სოფო ტორიშვილი



**ნიკა გრიგოლიამ
ჯვარი ათენში
დაინერა**



იუმორისტი ნიკა გრიგოლია მეორე ქორწინებაში იმყოფება. როგორც უკვე იცით პირველი ქორწინებიდან ნიკას ნიკოლოზი ჰყავს. ია უძილაურთან იუმორისტს რვანლიანი თანაცხოვრება აკავშირებდა. მსახიობი და ახლა უკვე ტელეწამყვანი მესამე წელია მეორე ქორწინებაში იმყოფება ბათუმელ მარიამ ფალავასთან. წვილმა წელს ათენში დაინერეს ჯვარი.

ნიკა გრიგოლია:
- რა უნდა გითხრა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, დავისცენეთ და თან ჯვარი დავინერეთ. ეს იყო და ეს.

ბაზარი

პანტა თედიაშვილ





ნინო შერმადინი

paparazzi

★ ფილმი: თინა თუთისანი




მიშა მესხი და მიშა გომიაშვილი

თამარ ჩერგოლიშვილი და გიგა ბოკერია



ნინი შერმადინი საქართველოში ამერიკელ რეპერთან ერთად პრუნდება



მომღერალი, ნინი შერმადინი რამდენიმე წელიწადი საქართველოდან შორს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და აქტიურად თანამშრომლობს ნიუ-იორკის სხვადასხვა კლუბებთან და ბარებთან. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ დღეებში ნინი საქართველოში ჩამოდის. სამშობლოში დაბრუნების მიზეზი ახალი დუეტი, რომელიც მან ამერიკელ რეპერთან ერთად ჩაწერა. „თბილისში პროდიუსერ ჩევ ლონჩერთან და რეპერ დეივ ლონჩერთან ერთად ჩამოვალ. მე და დეივმა ჩაწერეთ ერთობლივი სიმღერა Dissapointed“. - ამბობს მომღერალი. გადაიღებს თუ არა სინგლზე კლიპს მომღერალი სწორედ საქართველოში, მალე გახდება ცნობილი.

კლიპის პრეზენტაცია



24 სექტემბერს, შარდენე კლუბში „მინისტერიუმი“ პაატა თედიაშვილის კლიპის პრემიერა გაიმართა. ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა პაატამ უდროოდ წასულ ხელოვანებს მიუძღვნა. რევაზ ლალიძის უკვდავი მუსიკის არანჟირება მერაბ მამულაშვილმა გააკეთა.

პაატა თედიაშვილი:
- სიმღერა „ჩემ ბალნარში“ უდროოდ წასულ ხელოვანებს მიუძღვნა. ეს ის ადამიანები არიან, ვინც მარადიულად უნდა გვახსოვდნენ, ჩვენც და სოციალური ქსელის თაობაზე. შარდენე ჩემი რეჟისორი, დამი დარჩია მოკლეს. ამან კიდევ უფრო დააჩქარა იდეა, რაც მანამდეც მქონდა და შეიქმნა კლიპი ჩემი რეჟისორობით.
- როცა სიმღერის შინაარსის შესახებ შევიტყვე, ვიფიქრე, რომ აუცილებლად იქნებოდა მათი სახეები კლიპში...
- ეს იაფფასიანი ტრიუკი იქნებოდა ჩემი მხრიდან. მათ არ სჭირდებათ ფოტოები, ისინი ჩვენ ყველას გვახსოვს. კლიპში გამოვიყენე კარი, რომელიც ორ სამყაროს შორის კავშირის სიმბოლოა. ახალგაზრდა ხელოვანები მოდიან მომავლიდან იმისთვის, რომ პატივი მიაგონ გარდაცვლილ ახალგაზრდა ხელოვანებს. კლიპში მონაწილეობენ მოდელები: მაქსი მაჭარაშვილი, ქეთი ბაქრაძე, მუსიკოსები, მოცეკვავეები... ექსტრემალურ პირობებში, 45 გრადუს სიცხეში, მინდორში გვექონდა გადაღებები და მაღლობა მინდა გადავუხადო ამ ადამიანებს, რომ ეს ყველაფერი არ გააპროტესტეს.



კაკა ახვილავა

სტუდენტური ცხოვრება



ადმინისტრაცია: „უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყარო (90%) სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია“



my View სალომე ჩადუნელი

სტუდენტების საერთო საცხოვრებელი ბაგებში, რომელიც 1975 წლიდან დღემდე უკეთესობისკენ თითქმის არაფერი შეცვლილა, იმ აზნაურს ჰგავს სახლში რომ სტუმარს ეპატიუება, თუმცა იცის დასაჯდომი სკამიც კი არ აქვს. ბნელი, ნესტიანი დერეფანი, აყრილი პარკეტი და დახეთქილი კედლები, ერთი ოთახი, მინიმალური ავეჯითა და „რემონტი“, თუმცა შეუზღუდავი ელექტროენერჯითა და წყლით: ესაა გარემო, რომელშიც სტუდენტებს წლების განმავლობაში უწევთ ცხოვრება. სტუდენტური ქალაქის ადმინისტრაცია პრობლემებზე ღიად საუბრობს, არ მალავს, რომ შენობა ძალიან ძველია და რემონტს საჭიროებს, საცხოვრებელ სივრცეებს, სველ წერტილებს გვათვალისწინებს და ოთახებშიც შევყავართ.

საერთო საცხოვრებელი რამდენიმე წლის წინ ხუთი კორპუსისგან შედგებოდა და უფრო მეტი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა. გარდა თსუ-ისა, აქ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიც ცხოვრობდნენ, თუმცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჯერ ორი 15 სართულიანი ბინა ჩამოართვა და დევნილებს გადასცა, ხოლო 2011 წელს მესამე ოთხსართულიანი შენობიდან სტუდენტები გამოასახლა და დევნილებს დაუთმო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვეღარ შეძლო ყველა სტუდენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ადგილები შეამცირა და სტუდენტულ ქალაქში ცხოვრების შესაძლებლობა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მისცა.

თსუ-ს ადმინისტრაციის ცნობით, საერთო საცხოვრებელი კორპუსები ამ ეტაპზე არ არის თსუ საკუთრება, იგი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზეა. როდის მოხდება მისი გადმოცემა, უნივერსიტეტისთვის ცნობილი არ არის.

მათივე ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფინანსებს საერთო საცხოვრებლის მოვლა-პატრონობას და კომუნალურ გადასახადებს, ასევე აუცილებელ შესაკეთებელ-სარემონტო სამუშაოებს.

„რაც შეეხება კაპიტალურ რემონტს, ეს მხოლოდ საერთო საცხოვრებელი კორპუსების თსუ-ს ბალანსზე გადმოსვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი“, - გვპასუხობენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში.

ოთახში მაქსიმუმ 2 სტუდენტი ცხოვრობს, თითოეული 30 ლარს იხდის, მესამეც შეიძლება თუ, რა თქმა უნდა, სხვა სტუდენტები მოისურვებენ. დედამამიშვილები შელავათით სარგებლობენ 60 ლარის ნაცვლად 50-ს იხდიან. ადმინისტრაცია გამოანაკლისსაც უშვებს და შეიძლება ერთ ოთახში მცხოვრებ თსუ-ისა და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტი დები ან და-ძმა შეგხვდეთ. თუ გინდა სტუდენტულ ქალაქში მცხოვრები გახდე ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განცხადებით უნდა მიმართო, დიდ რიგში უნდა ჩაენერო, თუ გაგიმართლა და ადგილი განთავისუფლდა, დაგირეკვენ. ფორუმებზე სტუდენტები ნაცნობობით ადგილის მოენახეც საუბრობენ.

„ჩალიჩი და ნაცნობობა ჭრისო, თუ თვითმმართველობის წევრი იქნები და მერე ადმინისტრაციაში იმუშავე, გვერდითა



სტუდენტები: „ჩალიჩი და ნაცნობობა ჭრისო, თუ თვითმმართველობის წევრი იქნები და მერე ადმინისტრაციაში იმუშავე, გვერდითა ოთახის მიშენების უფლებასაც მოგცემენო“



პრეზა ქართულად



სტუდენტები:
„გარემო ფასის შესაბამისია, უფრო ფასის გამო გიღირს, რომ აქ გაჩერდე“

ცოტნე ჯანელიძე:
„ლექტორებს ხელფასი აქვთ და შეუძლიათ თავი ირჩინონ ნაქირავე ბინაშიც და სტუდენტებს ხელფასი არ აქვთ, მათ არ შეუძლიათ თავის რჩენა“

ტეტის ბიუჯეტის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკური შემოსავლები. თსუ-ს 2015 წლის ბიუჯეტი 87 მილიონ ლარზე მეტია, - განმარტავენ ადმინისტრაციაში.

საერთო საცხოვრებელში უსაფრთხოებასა და მშვიდობიან ცხოვრებაზე კორპუსის დაცვა ზრუნავს, კორპუსში საშვის გარეშე ვერ გადაადგილდებიან. ინერენ შესვლისა და გამოსვლის დროებს, შეგიძლიათ მეგობარიც დაპატიჟოთ და ლამეც გაათევიანოთ, მშობლები თვეში 3 დღე გენვევიან და დარჩენის შანსებიც აქვთ.

ამჯამად საერთო საცხოვრებელში სამასამდე სტუდენტი და 50-მდე თანამშრომელი ცხოვრობს. სტუდენტები მოდიან თუმცა, როგორც ადმინისტრაციაში აცხადებენ აღარ მიდიან, ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, უსასრულოდ გრძელდება. ადგილები იშვიათად ცარიელდება, ყოველწლიურად კი განცხადებას 300-მდე სტუდენტი წერს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) გადაწყვეტილებით, მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე თსუ სტუდენტებისთვის აშენდება ორი საერთო საცხოვრებელი.

„უნივერსიტეტს ამ კორპუსების ასაშენებლად შიდა რესურსი არ გააჩნია. შესაძლოა, საერთო საცხოვრებლების მშენებლობა დაფინანსდეს. ბოლო პერიოდში რამდენიმე კომპანია დაინტერესდა საერთო საცხოვრებლის პროექტით. მათ უკვე გამართეს პრეზენტაციები“, - გვეუბნებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში.

რთულია ზუსტად ითქვას როდის დაემსგავნება ევროპულ კამპუსებს თსუ-ს საერთო საცხოვრებელი, ან როდის შეძლებთ ცხოვრების უფლების მოპოვებას. თუმცა, სტუდენტების თქმით, მეგობრული და თბილი გარემო, გასართობი საღამოები და შეკრებები, რომელსაც თავად უწევენ ორგანიზებას, გადამწყვეტი იმ უნივერსიტეტად და დანგრევის პირას მისულ გარემოს, რომელმაც 300 სტუდენტი ერთ ოჯახად აქცია.

ოთახის მიშენების უფლებასაც მოგცემენო“, - წერენ სტუდენტები. აღნიშნულს მეორე კორპუსში მცხოვრები სტუდენტი მარიამიკ გვიდასტურებს და გვიმხელს, რომ დიდხანს არ უცდია, ნაცნობი ჰყავდა და ოთახის მიღება ადვილად შეძლო.

„აქ გამართლებაზეა, შეიძლება ოთახი უკეთესი შეგხვდეს, გააჩნია, შენს წინ მცხოვრებმა როგორ მოუარა და თუ გააკეთა რამე. ოთახში შესულებს მაგიდა, შეიძლება კარადა და საწოლებიც დახვდეს ან არაფერი. თუ რაიმე ნივთი გჭირდება, ადმინისტრაციას მიმართავ და არსებობის შემთხვევაში მოგცემენ. ელექტროენერჯისა და წყლის გადასახადს არ იხდიან, უნივერსიტეტი იხდის საკუთარი ბიუჯეტიდან. ოთახის გალამაზების უფლებასაც გაძლევენ, ინტერნეტი შენ თვითონ

უნდა გაიყვანო, შეგიძლია სტუდენტური პაკეტით ისარგებლო და თვეში მხოლოდ 17 ლარი გადაიხადო. აბანო და ტუალეტი საერთოა, საერთოა სამრეცხაოც, სამზარეულო აივანზე აქვთ მოწყობილი, ზამთარში რთულია, მაგრამ ყველაფერს შეჩვევა უნდაო ამბობენ.

გარდა სტუდენტებისა ბინებში, ოჯახებთან ერთად, უნივერსიტეტის თანამშრომლებიც ცხოვრობენ. 50 ოთახი აქვთ დაკავებული, რაც სახლის მაძიებელი 100 სტუდენტის ტოლია. 50 ლარს იხდიან, რეგიონებიდან არიან, უკვე წლებია საერთო საცხოვრებელი საკუთარ სახლად აქციეს, გარემონტეს და ზოგიერთმა ორი ოთახიც კი გააერთიანა.

სტუდენტები ამ ფაქტის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ და აღნიშნავენ, რომ უკეთესი იქნება

ეს ადგილები სტუდენტებს გამოეყენებინათ.

ცოტნე ჯანელიძე, სტუდენტი:

- პრობლემა რა არის იცით? ლექტორებს ხელფასი აქვთ და შეუძლიათ თავი ნაქირავე ბინაშიც ირჩინონ და სტუდენტებს, ხელფასი არ აქვთ, მათ არ შეუძლიათ თავის რჩენა. ორივე კორპუსში დაახლოებით 50 ოთახი თანამშრომლებზეა. ზოგს ორი ოთახი აქვს გაერთიანებული, ზოგს ერთი, მაგრამ კაპიტალური რემონტით. ყველაფერს თავისი ხარჯებით აკეთებენ.

თსუ-ის ადმინისტრაციის ცნობით უნივერსიტეტის თანამშრომლები, რომლებიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, სოციალურად დაუცველი, მცირე შემოსავლიანი ოჯახები არიან.

სტუდენტები არ მალავენ, რომ

ოთახები ძალიან ძველი და გასარემონტებელია, თუმცა აღნიშნავენ, რომ 30 ლარის ფარგლებში უკეთესი პირობების მოთხოვნის საჭიროებას ვერ ხედავენ.

„გარემო ფასის შესაბამისია, უფრო ფასის გამო გიღირს, რომ აქ გაჩერდეს ადამიანი“, - აღნიშნავენ სტუდენტები.

სტუდენტების ადმინისტრაციის ცნობით, გარემონტებას საკმაოდ დიდი თანხები ესაჭიროება, რაც უნივერსიტეტისთვის ამ ეტაპზე შეუძლებელია.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყარო (90%) სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია. თსუ-ს შემადგენლობაში მყოფი 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, უნივერსი-

EXCLUSIVE

ცოტნე ჯანელიძე

მსოფლიო კინოს პარსკვლა

მირიან ბოქლიძე

ქართული ტურისტული კომპანიების მიერ „გადაგდებული“ კლიენტი არაერთი გვინახავს... ბოლო გახმაურებული შემთხვევა კომპანია „ოლტურს“ უკავშირდება, რომელმაც ანტალიაში წასული ქართველი ტურისტები თურქეთის აეროპორტში დატოვა და რამდენიმე დღის განმავლობაში დაბრუნებას ვერ ახერხებდა, მათ შორის იყვნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც. მიზეზი ის გახლავთ, რომ ტუროპერატორმა, დაპირებისამებრ, ავიაკომპანია „აირზენას“ ტურისტების გამოსამგზავრებლად თანხა არ გადაუხადა. პრობლემა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩარევის შემდეგ მოგვარდა და ხელისუფლებამ თურქეთის აეროპორტში ჩარჩენილი ტურისტები ჩართული რეისით საკუთარი ხარჯით ჩამოიყვანა. „ოლტურს“ მიმართ კი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ეს კიდევ არაფერია იმ ინფორმაციასთან შედარებით, რომელიც „პრაიმტიმისთვის“ გახდა ცნობილი და რომელმაც შესაძლოა, არა ერთ რომელიმე კომპანიას, არამედ ქვეყნის ტურისტულ იმიჯსაც კი სერიოზული ზიანი მიაყენოს. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, ერთ-ერთმა ქართულმა ტურისტულმა კომპანიამ საქართველოში ჩამოსული მსოფლიო კინოს ვარსკვლავი ნასტასია კინსკი „გადაადგო“.

ნასტასია კინსკი საქართველოში ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა და მას



„ასაფრენად გაგზავნილი თვითფრინავი გააჩერეს და ნასტასია კინსკიმ მხოლოდ ამის უმედეგ მოახერხა ქვეყნის დატოვება. მანამდე კარგა ხანი, აეროპორტში, გაურკვეველ ვითარებაში, საკმაოდ განერვიულებული მიმოდიოდა“

თიბისი ბანკის მხარდაჭერით „არტვილა გარიყულაში“ თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი - Fest i Nova 2015 G-15 გაიხსნა

თიბისი ბანკის მხარდაჭერით, „არტვილა გარიყულაში“, ძმებ ზდანევიჩების სახელობის მე-7 საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი - Fest i Nova 2015 G-15 გაიხსნა. ფესტივალი, წელს, დაარსებიდან მე-15, საიუბილეო თარიღს აღნიშნავს.

Fest i Nova 2015 G-15 შარშანდელის მსგავსად, წელსაც კონცეპტუალური პავილიონების თემას აგრძელებს. წლევანდელმა ფესტივალმა, ქართველებთან ერთად, მსოფლიოს ათი ქვეყნიდან ჩამოსული ხელოვნები და თანამედროვე ხელოვნების ქართულ-უცხოური ინსტიტუციები გააერთიანა. Fest i Nova 2015 G-15-ის ფარგლებში პირველად გაიხსნა აზერბაიჯანის, ლიტვისა და უკრაინის პავილიონებიც.

წელს, თიბისი ბანკმა, პროექტის - #წერექართულად ფარგლებში Fest i Nova 2015-ზე ინტერაქტიული არტობიექ-



ტი წარმოადგინა - დაფა, რომელზეც ქართველ და უცხოელ დამთვალიერებლებს მოძრავი ქართული ანბანის ასოებით საკუთარი ემოციების წე-

რილობით გამოხატვა შეუძლიათ.

„უკვე მესამე წელია, თიბისი ბანკი Fest i Nova-ს ერთგული მხარდამჭერია.

გასული წლის მსგავსად, წელსაც შეიქმნა თიბისი ბანკის არტობიექტი, რომელიც ჩვენ მიერ დაწყებულ პოპულარულ პროექტს, #წერექართულად

ედღვნებოდა. გვიხარია, რომ ჩვენმა არტობიექტმა ქართველ და უცხოელ დამთვალიერებელში მოწონება დაიმსახურა. მათ საკუთარი შთაბეჭდილებები მოძრავი ქართული ანბანის საშუალებით გაგვიზიარეს“, - აცხადებს თამარ კირვალიძე, თიბისი ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედია კომუნიკაციების დირექტორი.

ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი Fest i Nova 2009 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანი თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია, ხელოვნებისთვის საერთაშორისო პლატფორმის შექმნა, დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობების გაღვივებაა.

Fest i Nova G-15 დამთვალიერებელს ერთი თვის განმავლობაში ელოდება. ფესტივალი 19 ოქტომბერს დაიხურება.



საქართველოში ჩამოსული ნასტასია კინსკი ტურისტულმა კომპანიამ „ბადააბდო“?



მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური ჯილდოც გადასცეს. თავად კინსკიც კმაყოფილი ჩანდა ქართული სტუმართმოყვარეობით და ჩვენი ქვეყნის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა, თუმცა ეს კეთილგანწყობა, სავარაუდოდ, მხოლოდ თბილისის აეროპორტამდე მიჰყვებოდა, რადგან ტურისტული კომპანიის მიერ გამოყოფილმა მძღოლმა მსახიობი ადგილზე დაგვიანებით მიიყვანა, მას დაპირებისამებრ არც აეროპორტში დახვედრა ტუროპერატორი.

პიროვნება, რომელმაც ამის შესახებ გვიამბო, თბილისის აეროპორტის თანამშრომელია. ის პირადად შეესწრო, როგორ ცდილობდა პანიკურ მდგომარეობამდე მისული ნასტასია კინსკი ტურისტულ კომპანიასთან დაკავშირებას და იმის გარკვევას, რატომ არ დახვდა არავინ აეროპორტში.

„მსახიობს ბიზნესკლასის ბილეთები ჰქონდა, თუმცა როდესაც ის აეროპორტში მოვიდა, რეგისტრაცია უკვე დასრულებული იყო. ამბობდა, რომ მას აქ ტურისტული კომპანიის წარმომადგენლები უნდა დახვედროდნენ, თუმცა ადგილზე არავინ ყოფილა. თუ არ ვცდები, შემდეგ ვილაპირებთან დაკავშირება მოახერხა, ჩვენი თანამშრომლები დაეხმარნენ. თუ არ ვცდები, იმ ღონისძიების ორგანიზატორებს დაუკავშირდნენ, სადაც მსახიობი იყო მიწვეული. როგორც ჩანს, არც ისინი ელოდნენ ასეთ რამეს, სასწრაფოდ დაფაცურდნენ. არ ვიცი, ვინ ჩარიეს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ პრაქტიკულად ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი გაჩერეს და ნასტასია კინსკიმ მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა ქვეყნის დატოვება. მანამდე კარგა ხანი აეროპორტში გაურკვეველ ვითარებაში, საკმაოდ განერვიულებული მიმოდიოდა“, – გვიყვება აეროპორტის თანამშრომელი, თუმცა რომელმაც ტურისტულმა კომპანიამ შეუქმნა პრობლემები საქართველოში ჩამოსულ მსოფლიო დონის ვარსკვლავს, ვერ აკონკრეტებს.

„პრამიტამი“ ინფორმაციის გადამწმენის მიზნით, ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორებს დაუკავშირდა. ფესტივალის დირექტორმა, გიორგი გოგიბერიძემ დაგვიდასტურა – ტურისტული კომპანიის წარმომადგენლები ნასტასია კინსკის აეროპორტში მართლაც უნდა დახვედროდნენ, რომ გაეცილებინათ, თუმცა მსახიობის აეროპორტში დროულად მისვლა ვერ მოხერხდა და რეისზე რეგისტრაციაც უკვე დასრულებული იყო. ტუროპერატორმა კი ჩათვალა, რომ კინსკი აღნიშნული რეისით აღარ მიფრინავდა და აეროპორტი დატოვა. გოგიბერიძემ არ დააკონკრეტა, რომელი ტურისტული კომპანია ემსახურებოდა მსოფლიო ვარსკვლავს, თუმცა აღნიშნა, რომ ამ საკითხში ტუროპერატორის დადანაშაულება უსამართლობაა.

გიორგი გოგიბერიძე, ფესტივალის დირექტორი:

– საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა თავად კინოფესტივალმა. მას ძალიან დადებითი გამოხმაურება ჰქონდა. ნასტასია კინსკი გახლდათ საპატიო სტუმარი, რომელსაც გადავეცით პრიზი კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის. არანაირი პრობლემა არ შექმნილა. უბრალოდ, ავტომობილმა ვერ მიიყვანა თავის დროზე, რადგან თბილისში საცობები იყო. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ქალაქში იყო გაჩერებული მანქანა. როგორც ასეთი, ტურისტული კომპანია მას არ ემსახურებოდა. ჩამოსვლისას ჩვენ დაგვხვდით აეროპორტში, დავაბინავეთ. თვითონ ისურვა, რომ უშუალოდ ჩვენთან ჰქონოდა კავშირი.

– თუმცა, როგორც ცნობილი-

ია, თვითმფრინავი დაგვიანებით გაფრინდა იმის გამო, რომ ნასტასია კინსკიმ რეგისტრაცია ვერ გაიარა...

– კი ბატონო, გიდასტურებთ, რომ ფრენა ნამდვილად დაგვიანდა.

„ბათუმის სასტუმროდან ქალბატონი კინსკი გვიან გამოვიდა, პრაქტიკულად საათ-ნახევარი დაგვიანდა. პრობლემა წარმოიქმნა იმაში, რომ დაგვიანდა“

კომპანიის წარმომადგენლები უნდა დახვედროდნენ, რომლებიც ქვეყნიდან გააცილებდნენ? რატომ არ დახვდა არავინ აეროპორტში?

– იმიტომ რომ თვითმფრინავი უკვე გაფრენის რეჟიმში იყო, რეგისტრაცია დამთავრებული იყო და ჩათვალეს, რომ აღარ მიდიოდა. მოემზადნენ მეორე რეჟიმისთვის, რაც გულისხმობდა იმას, რომ კვლავ სასტუმროში წაეყვანათ. ახუ ტურისტული წავიდა იმ დროს, როდესაც თვითმფრინავი წესით უკვე გაფრენილი უნდა ყოფილიყო და რეგისტრაციაც დასრულებული გახლდათ.

– რომელი ტურისტული კომპანია იყო?

– მე ვერ გეტყვით ამ კომპანიის სახელს. საკმაოდ მცირე კომპანიაა, მისი ბრალეულობა არაფერია. უბრალოდ, თავის დროზე ვერ მოხერხდა აეროპორტში მისვლა.

გიორგი გოგიბერიძისგან განსხვავებით, კინოფესტივალის ფინანსური დირექტორი ამბობს, რომ ტურისტულ კომპანიასთან კავშირი საერთოდ არ ჰქონიათ და ნასტასია კინსკის გაცილება თავად ავიაკომპანიის პრერეგატივა გახლდათ.

ვინაიდან მსახიობს ჰქონდა ბიზნესკლასის ბილეთები. აეროპორტში შექმნილ პრობლემებს კი იმით ხსენის, რომ მსახიობმა თავად დააგვიანა სასტუმროდან გამოსვლა, რასაც თბილისის გზებზე არსებული საცობებიც დაემატა.

ზვიად ელიზანი, კინოფესტივალის ფინანსური დირექტორი:

– საქართველოდან გამგზავ-

ვრების დროს პრობლემები არ შექმნილა. ეს ფესტივალის ტარდებოდა ბათუმში. ბათუმის სასტუმროდან ქალბატონი კინსკი გვიან გამოვიდა, პრაქტიკულად საათ-ნახევარი დაგვიანდა. პრობლემა წარმოიქმნა იმაში, რომ დაგვიანდა.

– ტურისტულ კომპანიას არ უნდა გაეცილებინა აეროპორტიდან?

– მას ჰქონდა ბიზნესკლასის ბილეთები, რასაც აქვს შესაბამისი პრივილეგიები. აქედან ვინც წაიყვანა, ეს იყო ტაქსის კომპანია. ჩვენ ვცდილობდით, რომ დროულად ჩასულიყო, მინიმუმ, ერთი საათით ადრე, რომ პრობლემები არ შექმნილიყო, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, სასტუმროდან გამოსვლა გვიან მოხდა.

– თბილისის აეროპორტში მსახიობს ვინ უნდა დახვედროდა?

– ვინც უნდა დახვედროდა, დახვდა კიდეც. მართალია, დაგვიანებით შეიყვანეს, მაგრამ პრობლემა მოგვარდა. მას ჰქონდა ბიზნესკლასის ბილეთი და შესაბამისად, ავიაკომპანიის წარმომადგენლები უნდა დახვედროდნენ და დახვდნენ კიდეც.



ზვიად ელიზანი



„ჩამოსვლისას ჩვენ დავხვდით აეროპორტში, დავაბინავეთ. თვითონ ისურვა, რომ უშუალოდ ჩვენთან ჰქონოდა კავშირი“

ჩოგბურთი ფინა

მადა კლდიაშვილი

12 წლამდე ასაკის, ცოტნე ძიმისტარაშვილი ევროპაში პირველია, 14 წლამდელებში კი ის სამეულში შედის. მის ანგარიშზე, წელს, რამდენიმე ევროპული ტურნირის მოგება და საქართველოს ჩემპიონობა დევს. მის ოჯახმა ამ დროისთვის უკვე საკუთარი ფინანსები ამოწურა და თუკი სპონსორს ვერ მონახავენ, ან დახმარებას სახელმწიფოსგან მაინც ვერ მიიღებენ, შესაძლოა, ერთ-ერთი საუკეთესო და ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელი საქართველომ დაკარგოს.

12 წლის ცოტნე ძიმისტარაშვილი თავისი ასაკის შესაბამის ტურნირებში, მსოფლიოში ყველგან ფავორიტად ითვლება. წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო ბაქოში, შემდეგ იყო ესტონეთი და ლიტვა, სადაც ერთეულთა თანრიგთან ერთად, წყვილთა თანრიგშიც იმარჯვა. ის ძალიან პერსპექტიულად ითვლება, მაგრამ ახლა სხვა ეტაპზე უნდა გადავიდეს. საქართველოში მას კონკურენტები აღარ ჰყავს, იმისთვის, რომ გაიზარდოს, აუცილებლად უნდა წავიდეს სხვა ქვეყანაში, სადაც თავის პროფესიულ ზრდას გააგრძელებს.

როგორც მისი მამა, ირაკლი ძიმისტარაშვილი ამბობს, ოჯახმა, ცოტნეს ტურნირებში მონაწილეობის მიღებისთვის წელს უკვე 50 ათასი ევრო დახარჯა, ახლა კი მათ ყველანაირი რესურსი ამოწურეს, რაც იმას



„მალა მიზნებისთვის იბრძოლოს, ეს უკვე ფინანსებთან არის დაკავშირებული“

„იბედი მაქვს, რომ მნიშვნელოვნად დაგვეხმარებიან და მონაწილეობას მიიღებენ ცოტნეს განვითარებაში“

ნიშნავს, რომ თუკი ახალგაზრდა და თანაც ძალიან მომგებიანი გარეგნობის მქონე ბიჭი მხარდაჭერას ვერ მიიღებს, მისი სახით, საქართველო ძალი-

შედეგი მივიღოთ, ნიჭიერი, დამჯერი და მშრომელი უნდა იყო. ჩოგბურთში მთავარი ფინანსებია. ბავშვზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეუძლია ითამაშოს,

ერთ-ერთ ფავორიტად. ძალიან მოსწონთ და მიიჩნევენ, რომ ის პერსპექტიულია. აქ აღარავინ არის ისეთი, ვისთანაც უნდა ითამაშოს. თუ ყოველდღე არ

თბილისში პრობლემა არ არის, მაგრამ წლის განმავლობაში, თუ 15-20 ტურნირი არ ითამაშე, ვერ მოუმატე, აზრი არ აქვს.

- რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ყოველდღიური ვარჯიში?

- ვარჯიშისთვის, დაახლოებით, თვეში 1500 ევროა საჭირო. ფრანგული კომპანია გამოჩნდა, რომელიც ცოტნეს ჩოგნებით ასპონსორებს, იქიდან უგზავნიან. ესაც შეღავათია. ახალი კორტები რომ გაიხსნა, ახლა ფედერაცია აძლევს უფასო სავარჯიშო კორტს ცოტნეს. ისე, კორტის დაქირავება, ერთი საათი 25 ლარი ჯდება და სავარჯიშოდ, ყოველდღე, სამი საათია საჭირო. უკვე წელს, 50 ათასი ევრო დავხარჯე და მომავალ წელს, ამდენი მაინც მჭირდება ტურნირებზე, რომ შემდეგ ეტაპზე გადავიდეთ. მისი თამაშის სტილიდან გამომდინარე, აგრესიულ მოთამაშედ ითვლება. ამ ასაკში, ამბობენ, რომ აგრესიული მოთამაშეები წარმატებას ვერ აღწევენ, მაგრამ ცოტნეს უკვე აქვს წარმატებები. ყველგან გვეუბნებიან, რომ მან დიდი ჩოგბურთი უნდა ითამაშოს, ყველაფერი აქვს ამისთვის, ახლა, უბრალოდ, ერთადერთი, ფინანსები გვჭირდება. მეც, ჩემით, უკვე აღარ შემიძლია, აღარ მყოფნის.

„ყველგან გვეუბნებიან, რომ მან დიდი ჩოგბურთი უნდა ითამაშოს, ყველაფერი აქვს ამისთვის, ახლა, უბრალოდ, ერთადერთი, ფინანსები გვჭირდება. მეც, ჩემით, უკვე აღარ შემიძლია, აღარ მყოფნის“

ან ნიჭიერ და იმედისმომცემ ჩოგბურთელს დაკარგავს. ცოტნეს მწვრთნელი ლეგენდარული ვლადიმერ გაბრიჩიძეა, რომელიც ახლა ცოტნეს მომზადებაში ხელფასს არ იღებს, რაც ამ სახეობაში თითქმის არ ხდება. ვოვა გაბრიჩიძის თქმით, ცოტნეს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ დიდი ჩოგბურთი ითამაშოს, თუმცა მთავარი ფინანსებია.

ვლადიმერ გაბრიჩიძე, მწვრთნელი:

„ძალიან კარგი და ნიჭიერი ბავშვია. ის მიალწვეს წარმატებას, თუ იმუშავებს. შეუძლია ეს. დამჯერი და კარგი ბიჭია, რასაც ეტყვი, იმას აკეთებს. იმისთვის, რომ

ასეთი სულ 4-5 გვეყავს, ცოტნე ერთ-ერთი მათგანია. ცოტნეზე ფსონის დადება ღირს. ამ სპორტში ერთადერთი პრობლემა და მთავარი, ფინანსებია. თუ ნიჭიერი ბავშვი ვერ მიდის სადღაც, ქულებს ვერ მიიღებს, ვერ მოიგებს, ვერ გახდება ჩოგბურთელი. ცოტნეს აქვს თავისი გეგმა. თუ ფინანსების ამბავი მოუგვარდება, მას შეუძლია დიდი ჩოგბურთის თამაში“.

უცხოურ ტურნირებზე, იმის გამო, რომ ოჯახს მწვრთნელის დაფინანსების საშუალება არ აქვს, ცოტნეს მწვრთნელობას მისი მამა, ირაკლი ძიმისტარაშვილი ითავსებს. პატარა ჩოგბურთელის მამა უწყებიდან უწყებაში აპირებს მისვლას, რომ ცოტნემ ჩოგბურთის თამაში გააგრძელოს.

ირაკლი ძიმისტარაშვილი, ცოტნე ძიმისტარაშვილის მამა:

„მსოფლიოში, ნებისმიერ ტურნირზე, ცოტნე ითვლება

ითამაშა, სისტემატურად, აზრი ეკარგება გაგრძელებას, ასეთი უცნაური სპორტია. ეს ყველაფერი ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჩოგბურთის ფედერაცია გვეხმარება, როგორც შეუძლია. მომავალ წელს, ვიცით, რომ რაღაც თანხა უნდა გამოუყონ, ათას ლარზეა საუბარი, მაგრამ ეს ძალიან მწირი იქნება. ტურნირს ვერ ეყოფა.

„ენახოთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება პასუხს იქიდან, მისი განვითარებისთვის, ამაზე დამოკიდებული ითამაშებს თუ არა დიდ ჩოგბურთს ცოტნე“

- სპორტის სამინისტროსთან გქონდათ საუბარი?


- ჯერჯერობით, არ მივსულვარ სპორტის სამინისტროში. შემდეგ კვირაში ვაპირებ მისვლას, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდშიც. ვნახოთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება პასუხს იქიდან, მისი განვითარებისთვის, ამაზე დამოკიდებული ითამაშებს თუ არა დიდ ჩოგბურთს ცოტნე.

- დახარჯული თანხის საპირსონედ, ცოტნეს მოგებებს არ აქვს არანაირი შემოსავალი?

„მსოფლიოში, ნებისმიერ ტურნირზე, ცოტნე ითვლება ერთ-ერთ ფავორიტად. ძალიან მოსწონთ და მიიჩნევენ, რომ ის პერსპექტიულია“



„ყველა ტურნირს სულმოუთქმელად ველოდები და ყველას მოგება კალიან სასიხარულოა ჩემთვის“



„მთელი კალით ურტყამს ბურთს და გადაწყვეტ მომენტებში თავის თავზე იღებს თამაშს. ან თვითონ უნდა მოიგოს, ან თვითონ უნდა წააგოს, რაც, ვფიქრობ, სწორია“

- ამ ეტაპზე არაფერი, სანამ 17 წლის არ გახდება, ეს გამოირიცხება.
- ნახალისება მაინც თუ ხდება მისი?
- გუნდურ ევროპის ჩემპიონატზე დადიან. წელს იყო 12 წლამდე და 14 წლამდე ევროპის გუნდირ ჩემპიონატზე. ჩოგბურთის ფედერაცია გვეხმარება ისე, როგორც შეუძლია, მომავალი წელი როგორი იქნება, ჯერ არ ვიცი, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ მნიშვნელოვნად დაგვეხმარებიან და მონაწილეობას მიიღებენ ცოტნეს განვითარებაში. მათგან ამის მზადყოფნა არის. მათაც უნდა ჰქონდეთ ამისთვის ბიუჯეტი. მხ-

„ახლა, კალიან გვჭირდება დახმარება. ერთადერთი გამოსავალი გვაქვს, კალიან მიღებული პრაქტიკაა სასწრაფო ბორბლებზე, მისაბმელიანი მანქანა, ვინცა რომ გვათხოვოს, ან გვაჩუქოს, რომ ვიაროთ ტურნირიდან ტურნირზე“

12 წლის ცოტნე ძიმისტარაშვილს მხარდაჭერა ესაჭიროება EXCLUSIVE

ოლოდ ცოტნე ხომ არ არის, სხვებიც არიან.
- ხელმისაწვდომია ჩოგბურთი საქართველოში?
- არაპროფესიულ დონეზე ეს არანაირ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, უბრალოდ, უნდა იარო სპორტზე. თუ ბავშვი პერსპექტიულია და შეუძლია, მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს, ეს უკვე ფინანსებთან არის დაკავშირებული. ევროპაში ბევრი კლუბია, რომელიც აფინანსებს ასეთ ბავშვებს. ჩვენთან ასეთი სისტემა არ არსებობს.
- მწვრთნელის ხარჯების გაღებაც თქვენ გინევთ?
- რა თქმა უნდა, მწვრთნელი ხომ ისე არ იმუშავებს. ახლა მას ვლადიმერ გაბრიჩიძე ავარჯიშებს და ის ჩვენგან ანაზღაურებას არ იღებს. როგორც წესი, ასე არ ხდება. უცხოეთში, მე მიწვევს მწვრთნელობის შეთავსება. 12 და 14 წლამდეტა ტურნირებში, კვება და სასტუმრო მოთამაშისა და მისი მწვრთნელისთვის უფასოა, ამის შემდეგ კი ოჯახი, ან სპონსორი იხდის. შესაბამისად, ახლა, ძალიან გვჭირდება დახმარება. ერთადერთი გამოსავალი გვაქვს, ძალიან მიღებული პრაქტიკაა სახლები ბორბლებზე, მისაბმელიანი მანქანა, ვინმემ რომ გვათხოვოს, ან გვაჩუქოს, რომ ვიაროთ ტურნირიდან ტურნირზე.

„ჩოგბურთში მთავარი ფინანსებია. ბავშვზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეუძლია ითამაშოს, ასეთი სულ 4-5 გვყავს, ცოტნე ერთ-ერთი მათგანია. ცოტნეზე ფსონის დადება ღირს“


ცოტნეს განრიგი დატვირთულია, მას თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს. როცა საქართველოშია, სკოლაშიც დადის, დღეში ორჯერ ვარჯიშობს. თუ თავისუფალი დრო გამოუჩნდა, მეცადინეობს. როგორც მამა ამბობს, ცოტნეს ძალიან საინტერესო გარეგნობა აქვს და ეს სპონსორებისთვის მომგებიანი იქნება. რაც შეეხება მის განწყობას თამაშების წინ, ირაკლი ძიმისტარაშვილი ამბობს, რომ საჭიროა ტურნირებში ხშირი მონაწილეობა, რადგან შესაძლოა, სხვაგვარად, შენზე სუსტ მოწინააღმდეგესთან წააგო.

ირაკლი ძიმისტარაშვილი:
„ცოტნე აგრესიული მოთამაშეა და ეს მისი ძლიერი მხარეა. მთელი ძალით ურტყამს ბურთს და გადაწყვეტ მომენტებში თავის თავზე იღებს თამაშს. ან თვითონ უნდა მოიგოს, ან თვითონ უნდა წააგოს, რაც, ვფიქრობ, სწორია.“
თავად ცოტნე იმედიანად არის განწყობილი და სჯერა, რომ საყვარელი სპორტის თამაშს ისევე გააგრძელებს. მისთვის, ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა ესტონეთში შედგა, სადაც მათი ქვეყნის პირველი ნომერი დაამარცხა, ბაქოში კი რუს მონინააღმდეგეს ძალიან დაძაბულ

ბრძოლაში სძლია.
საყვარელი ჩოგანიც ჰყავს და ის ჯოკოვიჩია. 12 წლის ცოტნე ძიმისტარაშვილის ოცნება ავსტრალიის ღია პირველობის მოგებაა.
ცოტნე ძიმისტარაშვილი:
„ხელს ყველგან მიწყობენ, სკოლაშიც. ბევრი მეგობარი მყავს, ტურნირებშიც შემძინა. ფანებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, არ მყავს. საყვარელი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩია. ჩოგბურთის დიდ სლემია ავსტრალიის ღია პირველობა, რომლის მოგებაც ჩემი ოცნებაა, თუმცა ყველა ტურნირს სულმოუთქმელად ველოდები და ყველას მოგება ძალიან სასიხარულოა ჩემთვის. წარმატებას რომ მიაღწიო, ბევრი უნდა ივარჯიშო. ჩემი რეჟიმი სულ ვარჯიშია. ადრე უფრო კარგად ვვარჯიშობდი, ახლა ბავშვები აღარ დადიან ჩოგბურთზე.“
დღეს ძიმისტარაშვილების ოჯახში ასეთი მდგომარეობაა, თუკი ოჯახი სპონსორს ვერ იპოვის, ცოტნეს ჩოგბურთისთვის თავის დანებება მოუწევს. იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველოში დაინტერესდებიან ადამიანები ამ ნიჭიერი ბავშვის მომავლით და საქართველოს, მისი სახით, უნიჭიერს ჩოგბურთელს შეუნარჩუნებენ.



ვლადიმერ გაბრიჩიძე



ფოტო: თინა თუთისანი

გადახდა ახლა შესანიშნავია – გაიფიქრადე ყოველდღიურობა „თიბისი ბანკთან“ ერთად

გიორგი ურუშაძე

კომერციისა და ხელოვნების სინთეზი ახლა უკვე ჩვენს სიამოვნებაზე იზრუნებს. ოთხი მხატვარი და ოთხი განსხვავებული ხელნერა, ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან ერთად, გადახდის ინოვაციური ფორმის გენიალურობასაც გვიდასტურებს. ქართველ მხატვრებთან ერთად შექმნილი ექსკლუზიური უკონტაქტო სტიკერი გადახდის პროცესს უფრო მარტივსა და მოქნილს ხდის. უკონტაქტო სტიკერით გადახდა ყველაზე მარტივია, რადგან ტერმინალში მისი მოთავსება საჭირო არ არის – მხოლოდ მიახლოებაც საკმარისია. ასე რომ, პროცესი ნამდვილად მშვენიერი ხდება.

„პრაიმტიმი“ პროექტის მონაწილე მხატვრებს დაუკავშირდა და საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა.

ახალგაზრდა მხატვარი თუთუ კილაძე პროექტის ერთ-ერთი მონაწილეა. მისი განსხვავებული სტილი „თიბისი“ ბანკისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ მისი ნამუშევარი უკონტაქტო სტიკერსაც დაამშვენებს.

თუთუ კილაძე: „ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო პროექტია. ბუნებრივია, ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანია ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობა,



როგორც ახალგაზრდა მხატვრისთვის. ამ ყველაფრის შედეგად ხალხი უკეთ გაიცნობს მხატვრებს. ვფიქრობ, ძალიან სწორი და კარგი ხერხია არჩეული მხატვრების პოპულარიზაციისთვის. პროექტმა საშუალება მომცა ჩემი ნამუშევრები ასეთი ფორმით ფართო აუდიტორიისათვის გამეცნო და ეს ამბავი ძალიან მხარს მჭერს. ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო თიბისი ბანკს“.

ასე რომ, ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევარი – „ლისი“ თბილ და მხიარულ ტონებს შეიტანს უკონტაქტო სტიკერის მომხმარებელთა საქმიან ყოველდღიურობაში.

შემდეგმა მონაწილე ლევან ამაშუკელმა უკონტაქტო სტიკერისთვის ნახატი თავად შეარჩია – ხასხასა ფერებით და შავი იუმორით. მისი აზრით, პროექტი ახალგაზრდა მხატვრებისთვის სტიმულისა და ინსპირაციის წყარო იქნება.

ლევან ამაშუკელი: „ძალიან კარგი ინიციატივაა და ვფიქრობ, რომ ასეთი ნამონყებები დიდად და-

ეხმარება თანამედროვე ქართველ ხელოვანებს საკუთარი არტის პოპულარიზაციაში. ჩემს ადგილას შეიძლება ბევრი სხვა ყოფილიყო, მაგრამ გამიმართლა, რაც ძალიან კარგია. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი არტი პოპია, მიმაჩნია, რომ მეტ პოპულარიზაციას მოახდენს დიჯიტალ მიმართულების ხელოვნების და გარკვეული ბიძგი და მოტივაცია იქნება ახალგაზრდა დიჯიტალ არტისტებისთვის“.

ის უცნაური პერსონაჟების ავტორია: გოგონა ფრთებითა და მექანიკური ძრავით, საბეჭდი მანქანა, ძველი ყავის ფინჯანი და ასე შემდეგ. დიას, პროექტის შემდეგი მონაწილე მაია სუმბაძეა. მისი აზრით, ბანკისა და მხატვრების ამგვარი თანამშრომლობა, ქვეყნის პოზიტიური კულტურული ფონის დახვეწას შეუწყობს ხელს.

მაია სუმბაძე: „ვფიქრობ, ძალიან კარგი ინიციატივაა. ხელოვნების როლის გაზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აუცილებელია. მხატვრისა და დიზაინერის საქმიანობა დღეს უკვე აუცილებელი მოთხოვნაა სხვადასხვა სფეროში. ამგვარი თანამშრომლობა ქვეყნის პოზიტიური კულტურული ფონის დახვეწას შეუწყობს ხელს“.

დაბოლოს, მხატვარი იური ბერიშვილი, რომელიც ფერსა და გრძობებზე



ნადირობს და თავისი ნახატებით ნამდვილ ამბებს გვიყვება, პროექტის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილეა.

იური ბერიშვილი: „პროექტი იმდენად საინტერესოა, რამდენადაც ორიგინალური. დღეს ჩვენი თანამედროვე მხატვრობაა ნარმოდგენილი სტიკერებზე და ეს ორმაგად მნიშვნელოვანია. როცა კლიენტი მიდის ბანკში და ბანკი ერთდროულად სთავაზობს თანამედროვე მხატ-

ექსპერიმენტულ პროექტს „თიბისი ბანკი“ საერთაშორისო საგადაამხდლო სისტემა „ვიზასთან“ ერთად ახორციელებს.


„შევეცადეთ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტილისა და ხასიათის ნამუშევრები აგვეჩიჩიო, რათა მომხმარებელს შეეძლოს, საკუთარი გემოვნების შესაბამისი დიზაინი მოირგოს. გვინდა, რომ უფრო მეტ ადამიანს მიეცეს საშუალება, გაეცნოს თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებს,



ვრობასთან შეხებასა და კომფორტულ მომსახურებას, ეს შესანიშნავია. ასეთ დროს, კლიენტი ძალაუნებურად ინტერესდება და ყურადღებას აქცევს ნახატს, რომლის საშუალებითაც იხდის ფულს და ის აქვს ტელეფონზე დანებებული, უყურებს და ესთეტიკურ განწყობაზე აყენებს, ინტერესდება ავტორით, რადგანაც იცის, რომ ეს ავტორი შემთხვევით არაა არჩეული ბანკის მიერ, ის ხარისხისა და სახელის გამოა არჩეული“.

ატაროს ეს ნამუშევრები ყველაზე მოსახერხებელი ფორმით და მიიღოს სიამოვნება გადახდის პროცესში. ჩვენი ბარათებით გადახდა უკვე შესანიშნავია“, – აცხადებს „თიბისი ბანკის“ საგარეო ურთიერთობებისა და მედიაკომუნიკაციების დირექტორი, თამარ კირვალიძე.

გაიფერადეთ ყოველდღიურობა ქართველი მხატვრების ნამუშევრებით, გახადეთ გადახდის პროცესი თქვენთვის სასიამოვნო!



რატომ აუიშვლებენ პატიმარ ქალებს?

მირიან ბოქოლიშვილი

პატიმარი ქალები ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ღირსების შემლახავ დამოკიდებულებაზე საუბრობენ... საქმე ეხება ე.წ. სრულ შემონმებას, რა დროსაც მსჯავრდადებულებს მთლიანად აშვილებენ. ეს პროცედურა სასჯელაღსრულების დანესებულებებში უკვე დიდი ხანია მოქმედებს, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ამის გაპროტესტებას ბევრი ვერ ბედავს. არსებობს მხოლოდ მცირე გამოწვევები, თუმცა ისინი გამოიწვევების გაპროტესტების შემდეგ ადმინისტრაციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობენ. მათი ინფორმაციით, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა პატიმარი ნანა ფარჩუკაშვილი, რომელმაც ღიად გააპროტესტა ე.წ. „შიშველი ჩხრეკა“ და ამ პროცედურის გაუქმების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსაც კი მიმართა. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, სწორედ ამას მოჰყვა პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობა. ფარჩუკაშვილის საქმეზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ, მანამდე კი გეტყვით, რომ ნორმა, რომელსაც ეს ქალბატონი საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს შემოიღეს და როგორც ჩანს, აქტიურად იყენებს სასჯელაღსრულების უწყებები მოქმედი ხელმძღვანელობაც. საუბარია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 30 მაისის #97 ბრძანებაზე, რომლის მიხედვითაც ყველა ბრალდებული და მსჯავრდადებული სასჯელაღსრულების დანესებულებაში შესვლის ან გამოსვლის დროს ექვემდებარება სრულ შემონმებას, რაც გულისხმობს პატიმრების სრულად გაშვილებას და, ხშირ შემთხვევაში, ბუქნების გაკეთებას. არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მინისტრის ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც კრძალავს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავ მოპყრობას. სწორედ ამიტომ მსჯავრდადებულ ფარჩუკაშვილის საკონსტიტუციო სარჩელს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებენ.

ამ ოპტიმიზმს არ იზიარებს ციხის ადმინისტრაცია, რომელიც, სარჩელის ავტორის თქმით, მასზე ზეწოლას ახორციელებს. აქედან გამომდინარე, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ სად-ის #5 დანესებულების მსჯავრდადებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებას პროკურატურისგან მოითხოვს. #5 დანესებულების მსჯავრდადებულმა ნანა ფარჩუკაშვილმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დახმარებით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი აგვისტოში შეიტანა. როგორც ფარჩუკაშვილი აღნიშნავს, „საკონსტიტუციო სარჩელის მომზადებისა და მის მიერ ხელმოწერის დადასტურების შემდეგ, სად-ის #5 დანესებულების ადმინისტრაციამ რამდენიმე დღით დააყოვნა სასამართლო რწმუნებულების დამოწმება, რითაც ხელი შეემალა სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში დროულად შეტანას“.

მსჯავრდადებულის განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, მის მიმართ სად-ის #5 დანესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ხორციელდებოდა ზეწოლა, რომელიც



„ოთახიდან გამოსვლის შემდეგ 10-12 თანამშრომელმა ალყაში მოაქცია... მსჯავრდადებულს მკვრივი, ბლაგვი საბნის ბეჭეოვით დაზიანებები აქვს მიყენებული“

მიზნად ისახავდა, მსჯავრდადებულს გადაეფიქრებინა სასამართლოსთვის მიმართვა. მისგან ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ითხოვდნენ, უარი ეთქვა საკონსტიტუციო სარჩელის შეტანაზე.

მსჯავრდადებული ნანა ფარჩუკაშვილი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ სად-ის #5 დანესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი მას დაემუქრა, რომ ძვირად დაუჯდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა.

„მის მიერ შეტანილი სარჩელი, რომელიც მსჯავრდადებულთა სრული შემონმების ღირსების შემლახველ პროცედურას ეხებოდა, სად-ის #5 დანესებულების ადმინისტრაციამ რამდენიმე დღით დააყოვნა, რითაც მსჯავრდადებულს ხელი შეემალა სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანაში. ასევე, ახსნა-განმარტებაში მსჯავრდადებული საუბრობს სად-ის #5 დანესებუ-

ლების თანამშრომლის, ლუდმილა ბარტაყვას მუქარაზე, რომელიც მსჯავრდადებულს ემუქრებოდა, რომ სკანირების აპარატის შექმნა არა მარტო სამინისტროს, არამედ მასაც ძვირი დაუჯდებოდა. ახსნა-განმარტებაში მსჯავრდადებული, ასევე, საუბრობს, 14 აგვისტოს ადვოკატთან შეხვედრაზე, რომლის დასრულების შემდეგაც ფარჩუკაშვილი გასაჩხრეკ ოთახში ჩაიყვანეს. ოთახიდან გამოსვლის შემდეგ კი 10-12 თანამშრომელმა ალყაში მოაქცია. მსჯავრდადებულის თქმით, თანამშრომელთა შორის იყვნენ #5 დანესებულების დირექტორის მოადგილე ზაზა ადანი და ნიკოლოზ გოგინაშვილი, – ამბობს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი თამარ ავალიანი.

თავად ნანა ფარჩუკაშვილის განმარტებით, ის დღემდე უშედეგოდ ითხოვს იმ ვიდეოჩანანერს, რომელზეც დაფიქსირებულია 14 აგვისტოს მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტი.

სასჯელაღსრულების სამინისტროს, რომ მსჯავრდადებულთა შემონმება მოხდეს მხოლოდ სკანირების აპარატის გზით, რათა თავიდან იყოს აცილებული მსჯავრდადებულთა ღირსების შემლახავი შემონმება.

ხორციელდება თუ არა ზენოლა პატიმარ ქალზე, რომელმაც „შიშველი ჩხრეკის“ პროცედურა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა? რას ამბობენ სასჯ-

ბას, რადგან ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა. მეორე მხრივ, სამინისტრო კატეგორიულია თავის პოზიციაში და მზადაა, ნებისმიერ კითხვას გასცეს პასუხი, რადგან ერთი მსჯავრდადებულის უსაფუძვლო პრეტენზიები ვერ გახდება რეჟიმის შესუსტების საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდადებულ ნ.ფ.-ს მიერ გამოთქმულ პრეტენზიებსა და საჩივრებზე არსებობს გენერალური ინსპექციის 4 დასკვნა, რომლის მიხედვითაც არც ერთი ფაქტი არ დასტურდება, სამინისტრო მზადაა, კიდევ ერთხელ შეისწავლოს მსჯავრდადებულის ბოლო საჩივრის საფუძველიანობა და ფიზიკალურ დააკვირდეს არა მხოლოდ ამ, არამედ ნებისმიერი მსჯავრდადებულის პრეტენზიების საფუძველიანობის შესწავლას.

ბოლოს მსჯავრდადებულმა ნ.ფ.-მ გენერალურ ინსპექციას 18 სექტემბერს მიმართა. მსჯავრდადებული ამ შემთხვევაშიც ე.წ. სრული შემონმების მეტოქეებს აპროტესტებს და დადგენილი ნესების შესრულებაზე უარს აცხადებს. რაც შეეხება შიშველობას, მსჯავრდადებულს პროტესტის ამ ორმას არ მიმართავს, – აცხადებენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში.

გაგრძელდება თუ არა მსჯავრდადებულ ქალთა გაშვილება, ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც საკონსტიტუციო სასამართლო თავის ვერდიქტს დადებს, მანამდე კი, არ არის გამოცხადებული, პატიმრის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე გამოძიება პროკურატურამ დაიწყო. როგორც უკვე ვთხარით, ბადაშვილის უწყებამ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ საჩივრით მიმართა.

სასჯელაღსრულების სამინისტრო: „ერთი მსჯავრდადებულის უსაფუძვლო პრეტენზიები ვერ ბახდება რეჟიმის შესუსტების საფუძველი“



17 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა მთავარ პროკურატურას და მოითხოვა სად-ის #5 დანესებულების თანამშრომელთა მხრიდან, სავარაუდოდ, განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება. არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, მიმართავენ



მაგდა კლდიაშვილი

„სმაილა“ - ასე ეძახდნენ 21 წლის ვასილ ყულჯანიშვილს თავის ბატალიონში. ახალგაზრდა ქართველი ჯარისკაცი, ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესრულებისას, სამოქმედო არეალში პატრულირებისას, მემორანდუმის მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად, 22 სექტემბერს დაიღუპა და მის სახეზე ის ღიმილი ჩაქრა, რომელიც შეუმჩნეველი არავისთვის რჩებოდა. „ღიმილის ბიჭს“ „პრაიმტაიმთან“ მისი მეგობრები, ახლობლები და ჯარისკაცები იხსენებენ.

ვასილ ყულჯანიშვილი საკონტრაქტო სამხედრო სამსახური 22 ოქტომბერს უნდა დაესრულებინა და ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო. როგორც მისი მეგობრები ყველანაირად, ის და თავისი ძმა დათო, დედამ მარტომ გაზარდა, რადგან მამამ ოჯახი მიატოვა.

21 წლის გმირს სიცოცხლეში ღიმილის ბიჭს ეძახდნენ, მოციხარე სახე ჰქონდა, კეთილი და თბილი იყო. თემურ რუბენია „პრაიმტაიმთან“ ყვება, რომ ვასილს უნდოდა რაღაცისთვის მიეღწია და ჩათვალა, რომ ჯარი მისთვის, ამის საუკეთესო საშუალება იყო.

თემურ რუბენია, მეგობარი:

„ყოველთვის უნდოდა, რაღაცისთვის მიეღწია. ჯარი იყო მისთვის იმის საშუალება, რომ თავი გამოეხატა. ჩვენ ვიყავით მისი ავღანეთში წასვლის წინააღმდეგი, მაგრამ მანაც თავისი გაიტანა. ამაყი იყო, უპირველესად, თავისი ერის, ქვეყნის წინაშე. რთული ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა, მარტო იზრდებოდნენ ძმები, დედასთან ერთად. რთული ახლა ამასზე ლაპარაკი. ძალიან მხიარული ბავშვი იყო. მთელი ცხოვრება ვიცნობ, სულ ვხუმრობდით, სიმაღლეში პატარა იყო და იარაღს ვერ დაიჭერ ხელში-მეთქი. იმდენს მიაღწია, რომ კომანდოს ბატალიონში წინა ხაზზე წავიდა. მიზანდასახული იყო, ჩვენზე უმცროსმა, ასე ცოტა ხანში, ამდენი მოახერხა და ვალი მოხადა ერის წინაშე. ხალხს დაანახა, რომ ძალიან პატარას, ყველაზე დიდი გული აქვს და შეუძლია, შეცვალოს ადამიანების ცნობიერება. გავიარეთ ყველამ, რომ ჩვენც შეგვიძლია რა-

ღაცის მიღწევა.

ჩემი ძმა ვასოს ნათლია იყო. მე და ვასოს ერთნაირი მუსიკალური გემოვნება გვქონდა და თითქმის ერთნაირ ვიდეოებს ვაქვეყნებდით „ფეისბუქზე“. ერთი კვირით ადრე გვქონდა საუბარი, 22 ოქტომბერს ჩამოდიოდა, ერთი თვე იყო დარჩენილი“.

თემურ რუბენიას თქმით, ვასილი შეყვარებული იყო და ჩამოსვლის შემდეგ დაოჯახებდაც აპირებდა.

თემურ რუბენია:

„მისი ძმაც ახლა ასრულებს საავადმედო სამსახურს. ერთად ასრულებდნენ და დიდი გეგმები ჰქონდა. ჩამოსვლის შემდეგ, თავისი ცხოვრების შეცვლას გეგმავდა. ალბათ, დაოჯახებდაც აპირებდა. ძალიან გულჩათრობილი ბავშვი იყო, მაგრამ სხვებთან მუდამ მხიარული, არასდროს აჩვენებდა სხვას თავის გულსტკივილს. „ფეისბუქზე“ თავის სურათებსაც ჰქონდა და ამბობდა, რომ აქ, ავღანეთში, არაფერი ხდებოდა. წარმოიდგინეთ, ავღანეთში რომ ხარ, პირველ ხაზზე, როგორ შეიძლება არაფერი ხდებოდეს. იშვიათია ასეთი რამ, ყოველთვის ცდილობდა პოზიტიურად ეფიქრა. აქ ვსხედვართ, არაფერი ხდებოდა“.

თემურ რუბენია როგორც ამბობს, გარდაცვალების დღეს, თავს ცუდად გრძნობდა და ხელმძღვანელებისთვის უთხოვია, უკან დაეღებინა ჩამკეტადო.

თემურ რუბენია:

„როგორც წესი, სულ წინ იდგა, „სვიპერად“, ამონებდნენ რაღაცებს. უკან დადგა და ამიტომაც შეენირა ამ ყველაფერს. მეგობარი დაზღვია. ალბათ, ამიტომ იყო ცუდად, ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა“.

გიორგი ბოსოშვილი ვასილ ყულჯანიშვილის ბავშვობის მეგობარია. სამხედრო სამსახურშიც ერთად მსახურობდნენ. როგორც ბოსოშვილი იხსენებს, მის ბავშვობის მეგობარს „სმაილა“ ისე შეარქვეს, რომ ძველმა მეგობრებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, სწორედ ამიტომ, ერთხელ, როდესაც ჰკითხეს, იცნობდა თუ არა „სმაილას“, ბოსოშვილმა უპასუხა, რომ ასეთს არავის იცნობდა.

გიორგი ბოსოშვილი, მეგობარი:

„ვასო ჩემი ბავშვობის ძმაკაცია



ვასილ ყულჯანიშვილი - ღიმილის ბიჭს ბოლო სურვილი ავღანეთში ჯარისკაცება შეუსრულეს

საკონტრაქტო ჯარში იყო, მერე აიკვირებოდა თვითონ, საზღვარგარეთ უნდა წავიდეო, ავღანეთში წავიდა, არავის დაუძახლებია, თვითონ იყო მონადინებული. ცხოვრების აწყობა უნდოდა და ასე დაემართა. 21 წლის ბიჭს გეგმების მეტი რა ექნებოდა. შეყვარებული ჰყავდა, ცოლს მოიყვანდა. ჯარში მსახურობდა და გააგრძელებდა კიდევ. ოქტომბერში ბრუნდებოდა და ასეთი ამბავი შეემთხვა“.

დავით რუბენია ვასილ ყულჯანიშვილის ნათლიაა. როგორც თავად ყვება, ერთად გაიზარდნენ და ადამიანი არ არსებობს მათ უბანში, რომ ვასოზე ცუდი თქვას და ცუდად გაიხსენოს. დავით რუბენია იმასაც იხსენებს, რომ 15 სექტემბერს, სოციალურ ქსელში ვასილ ყულჯანიშვილმა პოსტი გამოაქვეყნა, სადაც ის წერდა, დავით რუბენია ნადრევი იყო, რადგან საფლავის ქვის სურათიც არ ჰქონდა.

მეგობრების თქმით, ვასოს ფოტოს გადაღება არ უყვარდა, ამიტომ, მისთვის, თავის დაწერილი პოსტისა არ იყო, საფლავის ქვის სურათი გაჭირვებით ამოარჩიეს.

ვასილ ყულჯანიშვილის შეყვარებულს სალომე ჰქვია და როგორც ოჯახის ახლობლებისგან გავიგეთ, ვასოს ჩამოსვლის შემდეგ, დაქორწინებას აპირებდნენ. დავით რუბენია ამბობს, რომ შეყვარებული ვასო რომანტიკოსი იყო,

დავით რუბენია:

„შეყვარებული ვასო რომანტიკოსი იყო. ტირილიც ყოფილა და სიხარულიც, ჩვენთან ერთად განიცდიდა ყველაფერს. ასეთი თბილი ადამიანი, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს“...

გიორგი ყორღანაშვილი ავღანეთში ვასილ ყულჯანიშვილთან ერთად მსახურობდა. პირველი კლასის რიგითი იხსენებს, რომ ოცეულში ყველაზე პატარა ბიჭი, ყველაზე მხიარული ადამიანი იყო და ის ყველას უყვარდა.

დავით ყორღანაშვილის მონაყოლიდან ირკვევა, რომ გარდაცვლილის ბოლო სურვილი, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების ქომაგობა იყო, რომელსაც თავად ვასო ველარ მოესწრო.

გიორგი ყორღანაშვილი, ჯარისკაცი:

„მისი ბოლო სურვილი ავღანეთში ავასრულეთ, ვასოს პატივსაცემად, როგორც შექძელით. ვეთხოვრებ, მორაგბეებს უგულუმეტეობით და გვერდზე დაუდევით, დიდი მოტივაცია იქნება და იქნებ გაიმარჯვონო. ყველაფერი ჩადგეს ჩვენმა მორაგბეებმა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, მანაც დავმარცხდით. ვასო 2 წელი მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში, მასთან ერთად ავღანეთში, ბოლო 5 თვეს ხანგაზრდა გავატარე. გამორჩეული იყო, უსამართლობას ვერ იტანდა. ყოველთვის თავისი გაჰქონდა. ბოლომდე იბრძოლა, სანამ არ დაეცა და იბრძოლა იმისთვის, რომ სხვა ბიჭები გადაერჩინა. იარაღს ისე ხმარობდა, როგორც ჩვენ თითქმის. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პრობლემა შექმნილიყო. სიმაღლითაც პატარა იყო და ოცეულშიც ყველაზე პატარა იყო, მაგრამ 26 მაისს, ბატალიონის მეთაურისგან მადლობის სიგელი მიიღო. ფოტოების გადაღება არ უყვარდა, რამდენიმე ფოტოა, სადაც სხვათაგან ერთად არის გადაღებული. ოჯახს ედგა გვერდზე და მისთვის ოჯახი პირველი იყო“.





ამ ოჯახებისთვის რომან ფიფიას სახელი და გვარი ყოველთვის განსაკუთრებულ მოვლენასთან იქნება დაკავშირებული. ადამიანებს ყოველთვის ახსოვთ ისინი, ვინც მათ ცხოვრების ყველაზე მძიმე და რთულ წუთებში ეხმარებიან ხოლმე. ეს განსაკუთრებულად ამაღლებული წუთებია, რომელიც მთელი ცხოვრება მიგყვება.

რომან ფიფია 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარა. დახმარების სურვილი სტიქიიდან მეორე დღესვე გამოთქვა და 5 ოჯახს ბინები შეუძინა.

ახლა ამ ბინებში რემონტი მიმდინარეობს. სახლები დაზარალებულებს ამ დღეებში ჩაჰბარდება.

რომან ფიფიამ მაგალითი სხვებსაც მისცა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დაზარალებულების დახმარება სხვებმაც გამოთქვეს.

ბიზნესმენმა ყველაზე რთული ოჯახების დახმარება გადაწყვიტა. დაზარალებულებს, რომლებსაც ის დაეხმარა, იურიდიული სახის პრობლემებიც ჰქონდათ.

ლამა აბაშიძე ახლა ვიცე-მერია. მაშინ ვაკე-საბურთალოს გამგებელი გახლდათ და ამ პროცესებში უშუალოდ იყო ჩართული. ამ ოჯახების მდგომარეობის სირთულეზე მან „პრაიმტიმთან“ განმარტება გააკეთა:

– არის ისეთი ოჯახები, რომლებსაც ქონება საკუთრებაში გაფორმებული არ ჰქონდათ... ჩვენ ხელს ვუწყობდით მათ, რომ ქონების ლეგალიზება მოეხდინათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ეს ოჯახები დარჩნენ, ასე ვთქვათ, უკანონო მდგომარეობაში. ამიტომაც, ეს ხალხი გარეთ რომ არ დარჩენილიყო, ბატონმა ფიფიამ გამოთქვა

„ეს ოჯახები დარჩნენ, ასე ვთქვათ, უკანონო მდგომარეობაში. ამიტომაც, ეს ხალხი გარეთ რომ არ დარჩენილიყო, ბატონმა ფიფიამ გამოთქვა“

„გლობალური ალიანსის“ ხელშეწყობით დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

კონფერენცია, სახელწოდებით: სამკურნალო საშუალებების ხარისხი – ძირითადი კომპონენტი მკურნალობის ერთიანი ხარისხისთვის, მიზნად ისახავდა ჯანდაცვის სფეროში საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობას.

სამინისტრო ამ მიზნით უახლოეს მომავალში გეგმავს „წამლის კანონში“ და სხვა რეგულაციებში შესწორებების შეტანას, რათა წამლის რეგისტრაცია და ლიცენზირება ევროპული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდეს და შედეგად მომხმარებელამდგ გარანტირებულად მხოლოდ ხარისხიანი და იმავდროულად ხელმისაწვდომი მედიკამენტები მივიღო.

კონფერენცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „გლობალური ალიანსის“ (GAHSC) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა.



ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, რომელმაც კონფერენცია გახსნა, აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა იმ ხანგრძლივი სამუშაო ციკლის ერთ-ერთი რგოლია, რომლის საბოლოო ამოცანაა, უახლოეს პერიოდში საქართველოში დაინერგოს ისეთი რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან და ხელმისაწვდომ მედიკამენტებს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე.

მინისტრმა, ასევე, აღნიშნა, რომ ხარისხის კონტროლის კომპონენტი, სამწუხაროდ, აქამდე ჯანდაცვის სისტემაში არ იყო ან საკმაოდ სუსტად იყო წარმოდგენილი. „ასეთი სისტემ-



ის შექმნა მხოლოდ გამართული და მძლავრი ჯანდაცვის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ. იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენთან მალე მოხდება, რადგანაც წამლის ხარისხი არის არა ერთადერთი, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხარისხიან ჯანდაცვაში.

საქართველოში ჯანდაცვის დანახარჯებიდან მედიკამენტებზე მოდის ძალიან მაღალი წილი. ზოგი კვლევის მიხედვით ეს 40 პროცენტია, ხოლო ზოგით – 50 პროცენტზე მეტიც კი, მაშინ როცა ეს რიცხვი 25%-ზე მეტი არ უნდა იყოს. ამას განაპირობებს ორი მთავარი ფაქტორი: საკუთრივ მედიკამენტებზე მაღალი ფასი და მეორე, საქართველოსთვის მართლაც დამოკლეს მახვილად იქცა ვითარება, როდესაც წარმოდგენილად ბევრი მედიკამენტი იწერება ხოლმე დანიშნულებაში.

მაგალითად, ბავშვს, რომელსაც ვირუსული ინფექცია აქვს, ენიშნება შვიდი, რვა, ათი ან თორმეტი სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტი, როდესაც რეალურად ან არც ერთ არ სჭირდება, ან სჭირდება ერთი – სიცხის დამწვევი.

ეს ორი მიმართულება ჯანდაცვის სისტემის თითქმის ნახევარს შეადგენს. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ვმართოთ? მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, ხელი მიუწვდებოდეს მედიკამენტებზე. მედიკამენტები არ უნდა ღირდეს ისეთი ძვირი, როგორც დღეს ღირს. მათ უნდა შეეძლოს საჭიროებების დაკმაყოფილება. ჯანდაცვის სამინისტროს საბოლოო სტრატეგიაა, უზრუნველყოს ქვეყანაში ისეთი რეგულაციების დანერგვა და მათ შესრულებაზე მკაფიო ზედამხედველობა, რომლებიც ქვეყანაში ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მე-

დიკამენტების არსებობას უზრუნველყოფს“.



„გლობალური ალიანსის“ პრეზიდენტის, ჟან-ელი მალკინის თქმით, საქართველოში ფარმაცევტული ბაზრის მდგომარეობა გაუმჯობესებას ითხოვს. „ჩემთვის ცნობილია, რომ სახელმწიფო, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტრო, ამ საკითხზე ინტენსიურად მუშაობს. „გლობალური ალიანსი“ ყოველმხრივ გვერდში უდგას სამინისტროს ფარმაცევტული რეგულაციების გაუმჯობესების საკითხში და ჩვენი შესაბამისი მიმართულების ექსპერტების აქტიური მონაწილეობით ვუწვევთ სათანადო კონსულტაციას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წამლის ხარისხი კრიტიკული კომპონენტია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი კომპონენტი, რომლის გაუმჯობესებამაც მთლიანად სისტემის გაჯანსაღება უნდა გამოინვიოს. მარტივია, – რომც გვეკონდეს ხარისხიანი წამალი, თუ მას სწორად არ დანიშნავს

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, ცხადია, შედეგის ნაცვლად დამატებით გართულებებს მივიღებთ. და ერთიც, ხარისხიანი წამალი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს წამალი აუცილებლად ძვირი უნდა იყოს. თუ კონტროლის პროცედურები სათანადოდ იქნება დაცული, ეს ნიშნავს, რომ ძალიან კარგი წამალი შესაძლოა, ამავედროულად, იაფიც იყოს და ხელმისაწვდომიც“ – განაცხადა მალკინმა.



კაროლინ მასკრეს განცხადებით, საუბარია მედიკამენტებში აქტიური

ნივთიერებების შემცველობაზე, სხვა ასევე უშუალო ინსტრუმენტებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია შემონიშნოს, რამდენად სწორად არის წარმოდგენილი ესა თუ ის მედიკამენტი და არის თუ არა ის ფალსიფიცირებული.

„ამ პროცედურების დანერგვა რთული არ არის, თუკი გამოხატული იქნება სათანადო ნება ქვეყნის მთავრობის მხრიდან“, – აღნიშნა „გლობალური ალიანსის“ ექსპერტმა.

„გლობალური ალიანსის“ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის შემდეგ დამსწრეთა შორის დისკუსია გაიმართა ისეთ თემებზე, როგორცაა: სამკურნალო საშუალებების რეგისტრაცია და დისტრიბუცია; ევროკავშირის სტანდარტების დამკვიდრება რეგისტრაციის, ლიცენზირების, ფარმაცოზედამხედველობის, GMP-ის, ხარისხის კონტროლისა და სხვა მიმართულებებით. ამ თემებზე მუშაობა აუცილებელია იმისთვის, რათა საქართველომ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ასევე, NCDC-ის, „გლობალური ალიანსის“, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროფილური არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალური ალიანსთან“ საქართველოს მთავრობამ აპრობირებული მონაწილეობა მიზანმიმართულად განაგრძობს, რომლის მიზანია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, საკონსულტაციო ჯგუფი კონცენტრირებულია, ქართველ კოლეგებს დახმარება გაუწიოს ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: სტანდარტებისა და ნორმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტების ხარისხიან, უსაფრთხო და ეფექტურ მკურნალობას; ნაციონალური დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროტოკოლების ჩამოყალიბება; სამედიცინო და ფარმაცოლოგიური პროდუქტების თანამედროვე, სამართლიანი და ეფექტური მარეგულირებელი სისტემის მშენებლობა და მათი უსაფრთხოების მონიტორინგი ხარისხის კონტროლის ჩათვლით; მოსახლეობისთვის მედიკამენტებისა და ჯანდაცვის სფეროში ტექნოლოგიების ფართო დიფუზიის ხელშეწყობის უზრუნველყოფა; ჯანდაცვის განვითარების მიზნობრივი პროგრამებისა და რეფორმის მიმართულებების შემუშავება.

ქარი სტიქიით დაზარალებულს



გველსიანების ყოფილი სახლი



ლიპარტალიანების ყოფილი სახლი



სარდარიანების ყოფილი სახლი

„60 კვადრატულია, თუ არ ვცდები. 4-სულიანი ოჯახი ვართ. კმაყოფილი ვართ. წყალდიდობის შემდეგ მშენებლობაზე ვცხოვრობდი, იქ, სადაც ვმუშაობ. მერე ჩემს მამიდასთან ვიყავი. დიდი ხანია, რაც სოციალურად დაუცველის სტატუსით ვსარგებლობთ. ფიზიკურად ვმუშაობ, მამაჩემს ახლა ოპერაცია გაუკეთეს, ისიც ვერ დაგვეხმარება. მერე ხან მამაჩემი ჩადიოდა ობიექტზე, ხან – მე, და ასე ვცხოვრობთ დღესაც. მიმე პირობებში გვიწევს ცხოვრება, გვითხრეს, თვის ბოლოს გადმოგვცემთ გასაღებში. მამაჩემს მუშაობამ წელი გაუკავა, დისკი ამოულეს და რაღაცა სპეციალური ჩაუდგეს.“

სურვილი და ნება, რომ ისინი დაეკმაყოფილებინა. ამ ოჯახებთან შეთანხმებით გადავცეთ მათ სახლები.

პირველი კატეგორიაში, რომელსაც უძრავი ქონება მთლიანად დაუზიანდა, 52 ოჯახია, აქედან 42 უკვე დაკმაყოფილებულია. დანარჩენებზე მიდის საბუთების მონესრიგება და ისინიც დაკმაყოფილებიან...

რომან ფიფიასადმი მადლობას დაზარალებულებიც გამოთქვამენ. ისინი მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ.

ნინო გველსიანი, დაზარალებული:

– ბინები, რომელიც უნდა გადმოგვეცეს, 15 ოქტომბერს უნდა ჩაბარდეს. ის ზემო ფონიჭალაში, ეკლესიასთან მდებარეობს. ბინა ნანახი მაქვს, ჯერ რემონტი მიმდინარეობს. 8-სულიანი ოჯახი ვართ. მე, ორი ვაჟი, თავიანთი ცოლ-შვილებით. გვეუბნებიან, რომ არის 60-იანი და 50-კვადრატულიანი ფართი. გამოდის, რომ ორ ბინას გვთავაზობენ.

წყალდიდობის შედეგად ყველაფერი დაკარგეთ, წყალმა ყველაფერი წაიღო, რაც გვეცვა, იმის ამარა დავრჩით. ამის შემდეგ სასტუმროში ვიყავით, დიღომში სასტუმრო „აისბერგში“, ახლა კი საბურთალოს ვართ ბინაში, რის საფასურსაც გამგეობა იხდის, და არავითარი პრობლემა არ გვაქვს. ხელს, ალბათ, ორმაბათს მოვანერ.

მე და ჩემი ბიჭები ვმუშაობთ, რძლები – არა. სხვადასხვა კომპანიებში პროდუქტი, ტანსაცმელი იყო თუ ტექნიკა, ისეთი რაღაცები შემოიტანეს და გადმოგვცეს...

300 კვადრატული მიწა და 120 კვადრატამდე სახლი მქონდა, რომელიც დაკარგე. ქონება დაყოფილი მქონდა, ნახევარზე ერთი ბიჭი ცხოვრობდა, ნახევარზე – მეორე. სოციალურად დაუცველის სტატუსი ამჟამად არ გვაქვს. ორი წელია, რაც ჩემს ბიჭს მოეხსნა, რადგან „თბილსერვის ჯგუფში“ მუშაობს, იქ რაღაც ხელფასები მოემატა და ამის გამო მოუხსნეს სოციალური. მე „თბილსერვის ჯგუფში“ ვმუშაობ, მერიის სამსახურში, ორი წელია, რაც ვმუშაობ. ადრე მალაზია მქონდა, ვვაჭრობდი.

მურმან ლიპარტალიანი, დაზარალებული:

– თვის ბოლოდან იწყებო შესვლა, სხვა არაფერი უთქვამთ, არც ნანახი მაქვს. ზემო ფონიჭალაში მდებარეობს. 60 კვადრატულია, თუ არ ვცდები. 4-სულიანი ოჯახი ვართ. კმაყოფილი ვართ. წყალდიდობის შემდეგ მშენებლობაზე ვცხოვრობდი, იქ, სადაც ვმუშაობ. მერე ჩემს მამიდასთან ვიყავი. დიდი ხანია, რაც სოციალურად დაუცველის სტატუსით ვსარგებლობთ. ფიზიკურად ვმუშაობ, მამაჩემს ახლა ოპერაცია გაუკეთეს, ისიც ვერ დაგვეხმარება. მერე ხან მამაჩემი ჩადიოდა ობიექტზე, ხან – მე, და ასე ვცხოვრობთ დღესაც. მიმე პირობებში გვიწევს ცხოვრება, გვითხრეს, თვის ბოლოს გადმოგვცემთ გასაღებში. მამაჩემს მუშაობამ წელი გაუკავა, დისკი ამოულეს და რაღაცა სპეციალური ჩაუდგეს.

კარლო ლაფერაძე, მერიის ქო-

ნების მართვის სააგენტოს უფროსი:

– ვერეს ხეობაში იყო ოჯახების კატეგორია, რომლებიც არ იყვნენ მესაკუთრეები. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იყვნენ ე.წ. „შექრილის“ სტატუსით და სახელმწიფო ქონებაზე ცხოვრობდნენ, ისე რომ მათ არ ჰქონდათ საკუთრების მონაწილეობა. ასეთ ხალხზე კერძო სექტორმა გამოთქვა სურვილი, რომ დაეხმარებოდა. რამდენიმე კომპანიამ შეიძინა ბინები, რათა შემდგომ ამ ხალხს გადასცენ, ანუ შეუქმნან მათ საცხოვრებელი პირობები და უფრო მეტი, ამ ხალხს მიეცეთ იმის საშუალება, რომ გახდნენ უძრავი ქონების მესაკუთრეები. თუ აქამდე ისეთ ტერიტორიაზე იყვნენ, რომელიც მათი არ იყო და „შექრილის“ სტატუსი ჰქონდათ, დღეს ბიზნესსექტორის დახმარებით მათ გაუჩნდათ ქონება და გახდნენ მესაკუთრეები.

რომან ფიფია იყო ერთ-ერთი, ვინც ბინების შეძენის სურვილით გამოთქვა. ასეთი სულ 12 ოჯახია. დღევანდელი მდგომარეობით არც ერთი არ არის დარჩენილი შეთავაზების გარეშე. ბიზნესსექტორის მხრიდან ყველა ოჯახს გადაეცა კეთილმოწყობილი, პირველადი კეფიტი უზრუნველყოფილი სახლი. არ ვიცი, რამდენად მაქვს იმის უფლება, რომ ვთქვა, რომელმა კომპანიებმა გამოთქვეს ამის სურვილი, ეს მათი გადასაწყვეტია, რამდენად უნდათ ამის განხორციელება. მათი ნების გარეშე მე, ალბათ, არ მაქვს ამის თქმის უფლება.

წყალდიდობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა პირველი კატეგორიის ოჯახთა რაოდენობამ 52 შეადგინა. ყველა ამ ოჯახს შეთავაზება უკვე გაუკეთდა, უმრავლესობასთან ხელშეკრულება გაფორმებულია და ისინი უკვე დაკმაყოფილდნენ. იქ არის რაღაც ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად, 4 შემთხვევაში სამკვიდროს გახსნას ველოდებით, 2 შემთხვევაში საკუთრებები აქვთ გასამიჯნი, ნითელი ხაზები დასადგენი, ეს ხომ ძველი უბანი იყო და რეგისტრაციაა გასაახლებელი. დღევანდელი მდგომარეობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი ადამიანი არ არის საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი. კანონიერი მესაკუთრეების უზრუნველყოფა სახელმწიფომ მოახდინა. ხოლო მათ, ვისაც დოკუმენტაცია არ ჰქონდათ, კერძო სექტორი დაეხმარათ.

გვყავს 2 ოჯახი, რომელიც შემოთავაზებაზე უარს ამბობს. 1 შემთხვევაში არ მოსწონთ შეთავაზებული ბინის ადგილმდებარეობა, მეორე შემთხვევაში კი არ მოსწონთ შეთავაზებული თანხა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს შორის შეთანხმება არ შედგება. ეს, უბრალოდ, ურთიერთობის პროცესია. არიან ადამიანები, რომლებსაც შეთავაზების გაანალიზებისა და გააზრებისთვის დრო სჭირდებათ, ამას ყველა ერთ დროში ვერ ახერხებს. ოჯახებისთვის ფართის მინიჭება სულადობის მიხედვით ხდება.

ასე რომ, არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი ცხოვრების წესით სხვებისთვის მაგალითს წარმოადგენენ, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ სოლიდარულნი და დაეხმარონ სხვებს, მაშინ როცა ეს, უბრალოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება.

„გველსიანები, რომ არის 60-იანი და 50-კვადრატულიანი ფართი. გამოდის, რომ ორ ბინას გვთავაზობენ“

მამადა კლდიაშვილი

10 წლის შემდეგ, მერაბ ჟორდანიანი კვლავ გამოიქვა სურვილი, რომ ევროპული საფეხბურთო საქმიანობის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებულიყო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ეყარა კენჭი. საბოლოოდ, ჟორდანიანი, პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა არც კი დაარეგისტრირა. რა გახდა ამის მიზეზი, რატომ გადაწყვიტა 10 წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნება, როგორ დაიწყო რევაზ არველაძემ სფფ-ში მუშაობა და რას ფიქრობს ლევან კობიაშვილზე, მერაბ ჟორდანიანთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ნაკითხავთ.

- 10 წლის წინ სფფ-ს პრეზიდენტი იყავით. ამხელა პაუზის შემდეგ, რამ განაპირობა თქვენი მხრიდან ისევ პრეზიდენტობის სურვილი?

- ეს კითხვა რომ არ დაგესვათ, მაინც ამით მინდობდა დამეწყოს ჩემი საუბარი. მინდა გითხრათ, რომ, პირველ რიგში, დღევანდელ დღეს, ქართულ ფეხბურთში შექმნილმა სიტუაციამ, ჩემში პასუხისმგებლობის იმდენად დიდი გრძობა გააღვიძა, ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე. ფეხბურთის თავი დავანებოთ, მთავარი მიზეზი, რატომაც მინდობდა, რატომაც ჩამოვიყვი, ამ პროცესებში ჩავრთულიყავი, მინდა ამას ხაზი გავუსვა, მიმელო საბოლოოდ მონაწილეობა თუ არა, ამას ცოტა უფრო მოგვიანებით გადავწყვეტდი. მტკიცეულია, უყურებდე, რამდენიმე თაობის იმ ჩემს უმცროს მეგობრებს, რომლებიც ჩემთან ერთად გაიზარდნენ თბილისის „დინამოში“ და დღეს, ფაქტობრივად, ისე არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულები და იმდენ ნაწილად არიან დაყოფილები, მინდობდა ეს არ მომხდარიყო. თუმცა, დღეს, უნდა ვაღიარო, რომ სამწუხაროდ, უძლეური აღმოვჩნდი, ეს ყველაფერი დამერეგულირებინა. ჩემთვის ძალიან მტკიცეულია, რომ ეს ადამიანები დღეს სხვადასხვა ბანაკში არიან გადანაწილებულები. არა, არა, არამედ უფრო მეტიც, რადგან, იქ არის ერთი ჯგუფი კიდევ, თუ არ ვცდები, „ჩვენი ფეხბურთი“, ისინი დაპირისპირებულ მხარედ ითვლებიან, რომელ მხარესთან თუ ორივესთან, არ ვიცი. ეს იყო მიზეზი და მინდობდა, ამას, რალაცნაირად, ბოლო მოვლებოდა. ყველანი, როგორც თავის დროზე თბილისის „დინამოში“, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, მინდობდა საერთო ენა გამონახულიყო და ერთად ჩამდგარიყვნენ ქართული ფეხბურთის სამსახურში. სხვათა შორის, ამის შესახებ, უფას პრეზიდენტობაც შექმნდა საუბარი, როცა ის თბილისში იყო. ეს მე არავისთვის მითქვამს და მინდა, ეს საუბარი ჩვენ შორის ისევ საუბრად დარჩეს. არ მაქვს უფლება, ვთქვა, რა საუბარი იყო პრემიერსა და უფას პრეზიდენტს შორის. საბოლოოდ, ჩემი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ იმ დაპირისპირებისთვის, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში არსებობს და, სამწუხაროდ, არჩევნების შემდეგაც იარსებებს (რაც ნათლად ჩანს), რამენაირად ხელი

„ვერ დავინახე იმის გზა, თუ როგორ შეიძლება, ეს ყველაფერი ჩამდგარიყო იმ კალაპოტში, რომელიც მე მინდობდა“

შემეშალა. უნდა ვაღიარო, ეს ვერ შევეძელი.

- კონფლიქტის ამონურვაში პლატინის შეთავაზებას გული-სხმობთ, რომელიც ერთ მხარეს პფლ-ის მსგავსი ორგანიზაციის ჩაბარებას სთავაზობდა, ხოლო მეორეს - სფფ-ს?

- კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კარგად ვიცი, თუ რა საუბარი იყო, მაგრამ ამასთან დაკავშირებით, კომენტარს ვერ გავაკეთებ. წინათემას გავაგრძელებ. ჩემი ინტერესი უფრო დათანხმების მიზეზი იქიდან გამომდინარეობს, რომ მინდა ავხსნა მიზეზი, რატომაც მინდობდა მონაწილეობა, უფრო სწორად, რეგისტრაცია გამეწყო, როგორც კანდიდატს და შემდეგ, მივიღებდი თუ არა მონაწილეობას, ცოტა უფრო მოგვიანებით უნდა გადავწყვიტა. შექმნდა შეხვედრები ჩემს მეგობრებთან, ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, რეგიონალური ფედერაციების პრეზიდენტებთან, გუნდების წარმომადგენლებთან, და ამ ინტერვიუდან ვეტყვი, რადგან, ალბათ, ყველას ნახვას ვერ მოვახერხებ და რომ არ გაუკვირდეთ, რატომ გავქერი და არ მივიღე მონაწილეობა, მაღლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის და მინდა მათ ვუთხრა, რომ ჩემი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ აქ, მე ვერ დავინახე იმის გზა, თუ როგორ შეიძლებოდა, ეს ყველაფერი ჩამდგარიყო იმ კალაპოტში, რომელიც მე მინდობდა. სამწუხაროდ, ის სიბინძურე, რაც დავინახე (არ გამოვარჩევ რომელიმე მხარეს), რასაკვირველია, ეს მამუკა კვარაცხელიას არ ეხება, ჩემს მეგობარს, ცალკე ამ პროცესებში რომელ მხარეს წარმოადგენს, არ ვიცი, მაგრამ, იმედი მინდა ვიქო-

ნო, რომ თავის თავს წარმოადგენს, სიბინძურე, რომელიც საარჩევნო კამპანიას ახლავს, ერთი - ფედერაციის მხრიდან და მეორე - სახელმწიფოს მხრიდან, ჩემთვის იმდენად მიუღებელია, რომ ამ პროცესებში მართლა ვერ მივიღებდი მონაწილეობას. რასაც მე ვაპირებდი, როგორც გადმომცეს, იმას მხარი, ერთადერთმა პიროვნებამ დაუჭირა და ეს იყო პრემიერი. როცა მას შეხვდნენ და გადასცეს, რომ რალაცნაირად მომხდარიყო კონსენსუსის მიღწევა, მიიხრეს, რომ მას ამის სანაწილად არაფერი ჰქონდა და პირიქით, ყველას მოუწონდა, რომ დამსხდარიყვნენ და საერთო ენა გამონახულიყო.

- გურიის ფეხბურთის ფედერაციაში განხეთქილება მოხდა. პრეზიდენტმა, კახა ებრაღიმეძემ რევაზ არველაძის კანდიდატურა წარადგინა, დანარჩენებმა კი ერთხმად განაცხადეს, რომ გურია ვალდებული იყო მერაბ ჟორდანიას კანდიდატურა წარედგინა. მათზე ნაწყენი ხომ არ ხართ?

- არა, ნაწყენი არა, გაოგნებული ვარ. ის, რაც გურიაში მოხდა, ცოტა არ იყოს, ანეკდოტს დაემსგავსა. გურიაში, ჩემს კანდიდატად წარადგინა, არ შეიძლება კონკურენტი ჰყავდეს, მიუხედავად მათი დამსახურებისა ქართული ფეხბურთის წინაშე, ერთი მხარე რეზი და მეორე, კიდევ უფრო დიდი დამსახურების მქონე ლევანი. ისინი, გურიაში, არ შეიძლება ჩემი კონკურენტები იყვნენ, გურიის წინაშე, ჩემი გვარის დამსახურება იმდენად დიდია. ეს ყველაზე კარგად კახი კალაძის მამამ, კარლო კალაძემ იცის. არ მინდა, ჩავეძიო, რაც იქ მოხდა და არც მაინტერესებს. ალბათ, არც თქვენ იცით, რომ დაინიშნა აღმასკომში, სადაც ჩემი კანდიდატურა უნდა წარედგინათ. აღმასკომის წევრებიდან, ორს ტელეფონზე ვესაუბრებოდი, ერთი ოზურგეთიდან მოდიოდა, ორი ჩოხატაურიდან, გზაში დაიკარგნენ, უშიშროების წარმომადგენელი იყო თუ თვითონ გუბერნატორი ჩარეული, არ ვიცი, და არც დრო მაქვს ჩასაძიებლად. გაოგნებული ვიყავი. ადრე იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ ქა-



„მტკიცეულია, უყურებდე, რამდენიმე თაობის იმ ჩემს უმცროს მეგობრებს, რომლებიც ჩემთან ერთად გაიზარდნენ თბილისის „დინამოში“, და დღეს, ფაქტობრივად, ისე არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულები და იმდენ ნაწილად არიან დაყოფილები, მინდობდა ეს არ მომხდარიყო“

ლაქებში და რეგიონებში ყველაზე დიდი დამსახურებები ჰქონდათ. სამტრედიის, გამორჩეული პიროვნება იყო კახას მამა, კარლო კალაძე. ლანჩხუთის გურიაში, კიდევ ვიმეორებ, ერთ-ერთი გვარი, რომელსაც გურიის ფეხბურთში ყველაზე დიდი დამსახურება აქვს, ჩემი გვარი იყო. ეს გუნდი ანდრო ჟორდანიას დაარსებულია, მამაჩემი თამაშობდა, მე ვთამაშობდი. ჩემ დროს მოხდა უმაღლეს ლიგაში გადმოსვლა. ოზურგეთში იყო იურა ჩხაიძე, რომელიც ასევე კახის მამის მეგობარია და ასეთ კაცს აყენებენ დღეს შეურაცხყოფას, აძალაბენ, იპარავენ და არ უშვებენ. ვინც ამში მონაწილეობს, მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ესენი იმდენად თავმოყვარე ადამიანები არიან, უნდა თუ რალაცაზე გვექონდა პრეტენზია, რომ ცოცხით აყ-

ენებდნენ შეურაცხყოფას თავმოყვარე კაცს, ცოცხით მიაყენებ შეურაცხყოფას თუ სიტყვით და ასეთ რალაცას გაუკეთებ, ერთი და იგივეა. ასეთი რალაცები არ უნდა ხდებოდეს. არა მგონია, ან ქართულ ფეხბურთის წაადგეს, ან ქვეყანაში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას.

- 10 წელია საქართველოს ფეხბურთში არ ხართ. როგორ ჩაიარა შორიდან ქართული ფეხბურთისთვის ამ ათმა წელმა და რამდენად ადვილია შორიდან ყურება?

- რასაკვირველია, შორიდან ყურება ძნელია, როცა ხედავ, რომ საფეხბურთო ქვეყანა კარგავს საფეხბურთო ქვეყნის სახელს. შევფასოთ 2005 წლიდან, მაშინ, როდესაც მოხდა ის ცნობილი პროცესები, ჩემი რამდენჯერმე დაპატიმრება, რა შედეგი მოგვიტანა ამ ყველაფერმა. არ გამოვდგები ძველი ხელისუფლების საგინებლად და არც იმ ადამიანების შემფასებლად, ვინც ამ პერიოდში ქართულ ფეხბურთში მოღვაწეობდა. ეს გასული პერიოდია. არც ეს ხალხია დღეს ხელისუფლებაში და არ მინდა მათზე ლაპარაკი, ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ქართული ფეხბურთის ბოლო 10 წელს, საშინელება იყო. ეს უკვე შეფასებულია. ვხედავთ, რომ მძიმე მდგომარეობა და უკეთესია, ყველამ ერთად ეძებოს გადაარჩენის გზა. ვიცე-პრემიერმა განაცხადა, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ამში მონაწილეობა. ყველას კარგად ახსოვს, ისე მქონდა დაყენებული საკითხი, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა შეხება ფეხბურთის ფედერაციასთან და ასე დავტოვე კიდევ ფედერაცია. არასდროს დამიშვია, რომ სახელმწიფოს ფულით მიელო მონაწილეობა და ბოლომდე




„საბოლოოდ, ჩემი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ იმ დაპირისპირებისთვის, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში არსებობს და, სამწუხაროდ, არჩევნების შემდეგაც იარსებებს (რაც ნათლად ჩანს), რამენაირად ხელი შემეშალა“

„როგორც გადმომცეს, რეზი არველაძეს დაუნერია, სიტყვა-სიტყვით ასე გადმომცეს, გაპარტახებული „დინამო“ ჩაუბარებია“

როდ, უკლური აღმოვჩნდი

CLUSIVE



მეჩაბ უორღანია: „ისე ამონღა დაყენებულ საკითხი, რომ სსხელმნიფოს არ უნღა ჰქონღღა შეხება ფეხბურთის ფედერაციასტან დღ ასე დავტოვე კიღეც ფედერაცია. არასღროს დამიფვიან, რომ სსხელმნიფოს ფულიტ მიღლო მონანღლიღობა დღ ზოლოღღე ვცდილოზღდი, შემენარჩუნებინა მისი დამოუკიღებღობა“

„ნანყენი არა, ბაობნებულღი ჰარ“

„ერთი მხარე რეზი დღ მღორე, კიღევ უფრო დიღი დამსახურებღის მქონე ლევანი. ისინი, ბურიანღი, არ შეიქღება ჩემი კონკურენტები იყვნენ“

ვცდილოზღდი, შემენარჩუნებინა მისი დამოუკიღებღობა, რამაც ჩემი ციხეში ორჯერ წასვლა მოიღტანა. დღეს, კახას განცხადებღას, რომ ქართული ფეხბურთი იმდენად ცუღდ მდგომარეობაშია, თუ სახელმწიფომ მონანღლიღობა არ მიიღღო, ჭაობიღდან ამოსვლა გაჭირდებღო, იმ კონტექსტში მოვიანზრებღ, რომ თუ სერიოზული სახელმწიფო ორგანო არ გაკეთღდა, რასაკვირველია, გაჭირდებღა დღ ჩვენ ამის შესახებ ვისაუბრებღ. მას ვუთხარღ, რაში ვეთანხმები დღ არ ვეთანხმები იმაში, რომ სახელმწიფომ არჩევნებში იმ ფორმით მიიღღოს მონანღლიღობა, რაც გურიანღი მოხღდა. არ მინღდა, დავიფერო, რომ გურიანღი მომხდარ ფაქტთან, კახას რაიმე შეხებღა აქვს. ეს ჩემთვის მტკივნეულია. ერთ მხარეს დღეს არის ფედერაცია, მეორე მხარეს, მიუხედავად ლევანისა-

დღი ჩემი დიღი პატივისცემისა, არის კახა დღ ამ ფაქტის წინაშე ვდგარღ. - დღეს, სახეზე გვაქვს ის, რომ სფფ-ს კანდიღატის კმა არჩევნებში დღლეგატია, დღლეგატები არიან სფფ-ს თანამშრომლები, ნაკრების მწვრთნელები დღ რეალურ ბერკეტებს ფლობს სფფ. ყოველივე ამან ხომ არ განაპირობღა, რომ სახელმწიფომ ამის წინაღღმდღე შესაბამისი ბერკეტები გამოიყენღა? - არ ვიცი, როგორ გიპასუხოტ. საფსებოტ სწორად არის კითხვა დასმული. სფფ-ს მხრიღდან, ჩვენ გვაქვს არჩევნებისთვის სრული მოუმზადებღობა. სრული უმეცრებღა, წესდების ყოველღღიურად დარღვევა, დღლეგატების არასწორად არჩევა. რვა წლის განმავლობაში, როგორ შეიღღეღბა დღლეგატებს ასახელებღე აქედან დღ სხვადასხვა რეგიონში

არჩევღე პიროვნებღს, რომელიც იმ რეგიონში ნამყოფიც კი არ არის. სრული მოუმზადებღობაა ფედერაციის მხრიღდან, მეორე მხრივე, ამან გამოიწვია, იმან, თუ ეს ისეღდაც ასე იყო, ვერ გავცემოტ პასუხს, აქედან გამომდინარე მოხღდა ეს, თუ ასე იყო გადანყვეტილი. გვაქვს ფაქტი, რაც გურიანღე მოგიყვეოტ დღ ამის გაკეთებღა, ფედერაციის ძალებს აღღმატებოღღა. მივიღღეოტ ის, რაც მინდოღდა, რომ არ მომხდარიყო დღ ჩემი მხოლოდ დღ მხოლოდ კანდიღატად დარღღესტრიბებღა; ამასთან იყო დღაკავშირებღული, რომ დამღღეღებღინა დღ ჩატარებღულიყო სამართლიანი არჩევნები. მიგვეოტოტებღინა ფედერაციისთვის, როგორ დანიშნულიყვნენ დღლეგატები დღ თუ ორივე მხარე დღინახავღა, რომ ყველაფერი ობიექტურად ტარდებღა, როგორც ეს საფეხბურთო სამყაროსთვისაა მისაღღები დღ წესდებღს შეეფერებღა, არ მოხდებოღდა საფეხბურთო სამყაროს გახღღეღვა დღ იმ მდგომარეობამდღე მისვღღა, რაც სახეზეა. დარწმუნებღული ვარ, დღ ღმერთმა არ ქნას, მაგრამ არჩევნების შემდღე უარესი იქნებღა. - თუმცღ, გურიის ფეხბურთის ფედერაციამ კანდიღატად რევაზ არვეღაძე წარადღგინა დღ დღლეგატიც არვეღაძეს უჭერს მხარს, ცოტღ გაუგებარი ხომ არ არის თქვენი ბრალდებღები? - არ ვიცი, ამ ფაქტის შემდღე რღ მოხდღღა. - რამდენად ადვიღღა საერთო ენა გამონახო ადამიანთან, რომელიც 10 წელია ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმღღვანელია, ფეხბურთი კი დღეს

ასეო დღღეშია, რევაზ არვეღაძეზე გეკითხებოტ... მან პირველი ნაბიჯები თქვენთან გადღდა, როგორ მოვიღღა ფედერაციაში? - რეზი ყოველთვის იმდენად ახლობელი იყო, მას გამარჯვების შემთხვევაში წარმატებღა მინღდა ვუსურვო. თუ როგორ დღინყო მისი საფეხბურთო კარიერღ, როგორც გადმომცეს, რეზი არვეღაძეს დღუნერიღ, სიტყვა-სიტყვეოტ ასე გადმომცეს, გაპარტახებღული „ღინამო“ ჩაუბარებღია, შემდღე როგორც მახსოვს, ახალგაზრდულ ნაკრებში მოხღდა მისი გადღსვღღა დღ ახალგაზრდული ნაკრების გაღღის შემდღე, მინვეღა მოხღდა ფედერაციაში. ამის მიზეზი იყო, მისი საფეხბურთო კარიერღა დღ მიღღებული განათლებღა. ასევე ვოტქვოტ, კიღვე ერთხელ დღავადღსტურებღ ჩემ ძალიან ახლო ურთოტობღს, მე მას ყველაფერში ვეთანხმები, უბრალოდ, დღვამატებღ, აღარ მახსოვს, კახი ასათიანს დღ აღღეკო თავართქიღაძეს ვთხოვე, იმდენად, გაპარტახებღული მდგომარეობღ იყო, რომ რეზი რღმენაირად დღმეთანხმებღინა, ჩემი

თხოვნღ გაეთვალისწინებღინა დღ მობრძანებღულიყო. - ლევან კობიღაშვიღზე რას იტყოღოტ? - ლევანს დღღ პატივს ვცემ, როგორც ფეხბურთელს. იგი იმ თბიღისის „ღინამოშია“ გაზრდიღი, რომელსაც მე ვხელმძღვანელოზღდი. მის კარიერღში მონანღლიღობღ მღკეღს მიღღებული. ჩემ დროს მოხღდა მისი გადღსვღღა, ჯერ ვღადიკავკავიის „ალანიაში“, ჩემი მეგობარი იყო მწვრთნელი, ვალერი გაზღევი. მიუხედავად იმ გუნდის თხოვნისა, რომ იქ გავგრძელებღინა კარიერღ, ვოტღღიღი, რომ სადღაც სერიოზულ ქვეყანაში წასულიყო დღ ამამი გარკვეული მონანღლიღობღ მღკეღს მიღღებული. ლევანს, როგორც ფეხბურთელს, როგორც პიროვნებას, დღღ პატივს ვცემ, ძალიან მიყვარს. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, როგორც თავის დროზე ყველაფერს სერიოზულად აკეთებღდა, ასეთივე სერიოზული საფეხბურთო ფუნქციონერი გახდებღა გარკვეული პერიოდის შემდღე.

„სფფ-ს მხრიღდან, ჩვენ გვაქვს არჩევნებისთვის სრული მოუმზადებღობა. სრული უმეცრებღა, წესდების ყოველღღიურად დარღვევა, დღლეგატების არასწორად არჩევა“

დაიჭირა წაი! ჯიფონის კინოფესტივალის რეგისტრაციის დასრულება სულ რამდენიმე დღე რჩება

ლაშა ზარანდია

16 – 19 ოქტომბერს თბილისი ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალს უმასპინძლებს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საბავშვო კინოფესტივალის ჩატარების უფლება ამიერკავკასიაში სწორედ საქართველომ მოიპოვა. თბილისი სტუმრებს 8 ქვეყნიდან ელის.

ფესტივალში ჟიურის წევრის სტატუსით 500 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას. რეგისტრაციის დასრულებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. 13-დან 18 წლამდე მოზარდებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ, 2 ოქტომბრის ჩათვლით, ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ გვერდზე (www.gnfc.ge).

ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალს, საქართველოში ეროვნული კინოცენტრი ატარებს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში. ერთად, კინოფესტივალის პროგრამა გარდა კინოჩვენებებისა ითვალისწინებს დისკუსიებს, რეჟისორებსა და მსახიობებთან შეხვედრებს, ვორკშოპებსა და დამატებით აქტივობებს, ასე რომ, ეს უნიკალური შანსია მოზარდებისთვის, ვინც მოცემულ ასაკობრივ კატეგორიას შეესაბამება.

Prime Time ესაუბრა პროექტის მენეჯერს.

ირმა ჯანფლაია:

- მოგახსენებთ, რომ ჯიფონის კინოფესტივალის საქართველოში 2015 წლის 16-19 ოქტომბერს ჩატარდება. ფესტივალის ჩატარების ადგილია მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე. ფესტივალს ეყოლება 500 მონაწილე, ჟიურის წევრი 13-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები. ღონისძიებები გაეშვება მთელი საქართველოდან მონაწილეობენ. ფესტივალს ეყოლება სტუმრები, ჟიურის წევრი მოზარდები იტალიიდან, ხორვატიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, მაკედონიიდან და სხვა ქვეყნიებიდან.

ფესტივალის დღის სტრუქტურა შემდეგნაირია: 4 დღის განმავლობაში ბავშვები ნახულობენ ჯიფონის კინოფესტივალის ფილმებს. ფილმების ნახვის შემდგომ იმართება დისკუსიები. (ინგლისურ ენაზე) გარდა ფილმების ჩვენებებისა დაგეგმილია სხვადასხვა ვორკშოპები (როგორ იწერება სცენარი, კომპიუტერული თამაშები, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ფოტოგრაფია და კინო, TV რეპორტიჟი, კადრიზა, სუბტიტილების ვორკშოპი, ჩრდილების თეატრის წარმოდგენა და ვორკშოპი, პოსტერების შექმნა – ხატვის ვორკშოპი).

ფესტივალს ეყოლება სპეციალური სტუმრები, რომლებიც შეხვედრებიან ფესტივალის მონაწილე მოზარდებს: „ოსკარზე“ ნომინირებული რეჟისორი ზაზა ურუშაძე, გიორგი ოვაშვილი, ცნობილი ქართველი მსახიობები. მოწვეული სპიკერები ნაკითხავენ ლექციებს სხვადასხვა თემაზე: კინო და ლიტერატურა, კინოპუსიკა. გარდა ზე-



EXCLUSIVE

მით ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ჩატარდება ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება და ჩვენების შემდგომ ფილმების ავტორებთან შეხვედრა. ასევე, შედგება ქართული მხატვრული ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ ჩვენება და შეხვედრა ფილმში მონაწილე ახალგაზრდა მსახიობებთან.



ჩვენ ასევე ვესაუბრეთ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორს, ნანა ჯანელიძეს:

- ეს არის კინოცენტრის მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროექტი. მით უმეტეს, რომ ეს ფესტივალის ეხება ბავშვებს, მონაწილეობას იღებს რვა ქვეყნის წარმომადგენელი, ჯამში 500 ბავშვი. ჯიფონი, ეს არის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის ჩატარების უფლება წელს საქართველომ მოიპოვა. რაც ყველაზე მთავარია, ჯერ

კიდევ არ ამონტრულა რეგისტრაციის ვადა, 13 და 18 წლამდე მოზარდებს შეუძლიათ რეგისტრაცია გაიარონ ჩვენს ვებგვერდზე (www.gnfc.ge). რეგისტრაცია ძალიან მარტივია, მიყვებნ ბუფს და მოთხოვნების შესაბამისად შეავსონ ანკეტა. რეგისტრაციის შედეგად შერჩეულ ახალგაზრდებს საშუალება ექვლევთ მონაწილეობა მიიღონ ჯიფონის ოთხდღიან ფესტივალზე. ეს იქნება ძალიან მდიდარი, საგანმანათლებლო და დატვირთული ოთხი დღე მონაწილე ბავშვებისთვის, რაც, ჩემი აზრით, ძალიან დიდ გამოცდილებას შესძენს, როგორც მონაწილეებს, ასევე ორგანიზატორებს.

ფესტივალის აუცილებლად კარგ შედეგს გამოიღებს, პირველ რიგში, მოზარდები ეზიარებიან მაღალ კინოხელოვნებას. სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები, ვერ დავიკვებებით საბავშვო კინოს წარმოებით. იმედა, ამ მიმართულებითაც იქნება ეს ფესტივალის ერთგვარი იმპულსი. ასევე, მოზარდებს ეყოლებათ ძალიან მაღალი დონის ლექციები, რომლებიც განაწილს მოსმენენ საინტერესო ლექციებს. ოთხი დღის განმავლობაში მათ საშუალება ექვებათ, ერთმანეთს გააცნონ თავიანთი ქვეყნების კულტურა, ისტორია, ეს არის ერთგვარი კულტურულ-საგანმანათლებლო ბაზისი. მე ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში ფესტივალის ძალიან საინტერესოდ ჩაივლის.

საერთაშორისო კინოფესტივალის Giffoni Experience 1971 წელს დაარსდა იტალიის პატარა ქალაქში ჯიფონი ვალე პიანა, დღესდღეობით Giffoni Experience წარმოადგენს უდიდეს ახალგაზრდა კინოფესტივალს, რომელსაც 54 ქვეყნის 3500 მონაწილე ჰყავს. ისინი რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიად არიან დაყოფილები და სპეციალურად მათთვის შერჩეულ ფილმებს უყურებენ. ფილმის ჩვენებას კი ყოველთვის მოსდევს დისკუსია, რომელიც კრიტიკული აზროვნებისა და საჯარო მეტყველების უნარების განვითარებას ემსახურება. Giffoni Experience-ს სტუმრობენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: მერილ სტრიპი, რიჩარდ გირი, ორლანდო ბლუმი, მარკ რუფალო, ელ-აია ვუდი, დენი დე ვიტო, მეგ რაიანი, უაინონა რაიდერი, რომან პოლანსკი, ლეა მიშკა ჩესტინი, ედი რედმაინი, საშა ბარონ კოენი, ჯესიკა ალბა, ჰილარი სვონკი, სიუზან სარანდონი და მრავალი სხვა. ფესტივალის მონაწილეებს აქვთ უნიკალური შანსი შეხვე-



დენ და შეკითხვები დაუსვან კინოვარსკვლავებს.

PrimeTime ესაუბრა იტალიაში ჩატარებული ფესტივალის მონაწილეებს დათო ლოლიშვილს და თინათინ ტაბიძეს.

დათო ლოლიშვილი:

- ეს იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი კინოსამყაროს გაცნობისკენ. ვარსკვლავებთან ურთიერთობა, კინოჩვენებები, უცხოელი თანატოლები და მათი გამოცდილების გაზიარება, ბევრი რამ შემძინა ფესტივალმა. როგორც ვიცით, 2015 წელს, საქართველო მასპინძლობს ჯიფონის ფესტივალს და მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება უდიდესი გამოწვევა, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ იტალიურ მხარეს, რომ შეგვყვება ძალა, ფესტივალს ღირსეულად ვუმასპინძლოთ. მე ფესტივალის ფარგლებში შეხვედრი ცნობილ მსახიობ მარკ რუფალოს და დავუსვი კითხვები კომერციულ და არაკომერციულ კინოზე, საკმაოდ ამომწურავად გამცა პასუხები. საერთო ჯამში, ჯიფონი, როგორც ჩემთვის, ასევე სხვა ბავშვებისთვის უდიდესი გამოცდილება იყო.

თინათინ ტაბიძე:

- ფესტივალის არამხოლოდ ფილმების მოიყვება, იგი, შეიძლება ითქვ-

ას, რომ აბსოლუტურად ყველაფერს ეხებოდა და შესაბამისად, ეს იყო ძალიან დიდი გამოცდილება. აღსანიშნავია შეხვედრები ვარსკვლავებთან, რაც დაუვიწყარია პირადად ჩემთვის. მე ვესაუბრე ორლანდო ბლუმს. ეს იყო პირადი ინტერვიუ, რომელიც დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, ჩვენ საშუალება გვქონდა ნებისმიერი კითხვა დავგვესვა. ბოლოს მან საკუთარ გამოცდილებაზე მოგვიყვია, ეს ნამდვილად დაუვიწყარია.

ჯიფონით საქართველოს მონაწილე მოზარდებს საშუალება ექვლევთ, აქტიურად იყონ ჩართული შემდგომ ფესტივალებზეც. საქართველოში დაგროვილი გამოცდილება მათ ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალზე გამოცხადებულ კონკურსში გამოადგებათ.

ჟიურის წევრთა რეგისტრაცია 2 ოქტომბერს შეწყდება, ასე რომ, იჩქარეთ, ენვეთ ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ გვერდს (www.gnfc.ge) და დარეგისტრირდით. განაცხადის გაკეთება შეუძლიათ 13-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს, ვისაც აინტერესებს კინო, ფლობს ინგლისურ ენას საბაზისო დონეზე და მზად არის ახალი გამოწვევებისთვის.



ლეგენდარული Toyota Corolla და RAV4 ნარკომოდგენელ ფასად

Toyota-ს ოფიციალურმა ნარკომოდგენლობამ საქართველოში, ლეგენდარულ Toyota Corolla-სა და RAV4-ზე დაუფერებელი საემოდგომო ფასდაკლებების აქცია დაიწყო. ამ შესანიშნავი სიახლით სარგებლობა, მომხმარებლებს, რომლებსაც ახალი ავტომობილის შეძენა სურთ, ტოიოტას ორივე ოფიციალურ დილერთან შეუძლიათ.

„მაღალი ხარისხი, გამძლეობა და საიმედოობა - ეს ის კრიტერიუმებია, რომლითაც ავტომობილი შეძენისას ფასდება. სწორედ ამ თვისებების საუკეთესო შეხამებით აიხსნება ტოიოტას მიმართ ასეთი მაღალი ინტერესი, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. ხოლო მიმდინარე აქცია საშუალებას აძლევს ჩვენს მომხმარებლებს მაღალი ხარისხის Toyota-ს ავტომობილი უპრეცედენტოდ დაბალ ფასად შეიძინონ.“ - აცხადებენ „ტოიოტა კავკასიისა და ცენტრალური აზიის“ ოფისში.

„ლეგენდარული სედანი“ - Toyota Corolla მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მომხმარებელთა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. ამის საუკეთესო დადასტურება ამ მოდელის აბსოლუტურად რეკორდული გაყიდვები, რომლებმაც უკვე 40 მილიონს გადააჭარბა და გინესის რეკორდების წიგნში ყველაზე გაყიდვადი მოდელის სტატუსით მოხვდა. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე Toyota Corolla-ს 11 თაობა შეიცვალა და დღევანდელი სახე მიიღო. ბოლო თაობის განახლებული კოროლა - თამამი და უფრო თავდაჯერებულია, ვიდრე ოდესმე. მიმზიდველი დაბალი წინა პანელი და აეროდინამიკური ფორმები ხაზს უსვამს მის ძლიერ მხარეს. Corolla ლეგენდარული, მაგრამ ამავდროულად თანამედროვე და ელევანტური სედანია.

 <p>COROLLA ACTIVE 1.33 L</p> <p>16,300\$ 13,100\$</p>	 <p>RAV4 2WD URBAN 2.0 L</p> <p>24,900\$ 22,550\$</p>
 <p>COROLLA ELEGANCE+ 1.6 L</p> <p>20,100\$ 16,700\$</p>	 <p>RAV4 4WD PRESTIGE 2.0 L</p> <p>32,700\$ 28,960\$</p>

ახალი „Corolla“-ს საქვანთან თავს კომფორტულად და მშვიდად იგრძნობთ ნებისმიერ მოგზაურობაში, რაც განპირობებულია მის ინტერიერში გამოყენებული სპეციალური მასალებით და დახვეწილი სტილით. სალონის სივრცე თანაბრად განაწილებული, რათა უკან მჯდომმა მგზავრმაც თავი კომფორტულად იგრძნოს.

„ქროსოვერების მოყვარულთათვის კი სასიხარულო ამბავი, განახლებული RAV4-ის სამომოდგომო ფასდაკლება იქნება. კომფორტული და უნივერსალური ახალი RAV4 თავისუფლად იტევს 5 მგზავრს და აქვს ტევადი საბარგული. სალონი მრავალდასათავსო განყოფილებებითა და ინტუიციური ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. ისინი არა მხოლოდ რეაგირებენ, არამედ კიდევ დამატებით უზრუნველყოფენ გზაზე, რათა თქვენ წინასწარ განსაზღვრულ პოტენციურ საშიშროებას და იმგზავრთ მქსიმალურად უსაფრთხოდ.“ - აცხადებენ „ტოიოტა კავკასიისა და ცენტრალური აზიის“ ოფისში.

ავტოციის ფარგლებში, Toyota RAV4-სა და Corolla-ზე ორივე ოფიციალურ დილერთან - „ტოიოტა ცენტრ თბილისსა“ და „ტოიოტა ცენტრ თეგეტი-ში“ შემდეგი ფასდაკლებები იმოქმედებს:

Toyota Corolla Active - 16322 \$-ის ნაცვლად 13100 \$
 Toyota Corolla Elegance + - 20102 \$-ის ნაცვლად 16700\$;
 Toyota RAV4 2WD Urban - 24911 \$-ის ნაცვლად 22550\$;
 Toyota RAV4 4WD Prestige - 32681 \$-ის ნაცვლად - 28960 \$.

Toyota-ს სამომოდგომო კამპანია, უნიკალური შანსია მათთვის, ვისაც ტოიოტას ხარისხიანი ავტომობილის ყიდვა საუკეთესო ფასად სურს. **A**

„ვისოლ ჯგუფის“ დახმარებით წიგნები სიარულს იწყებენ - დაელოდე, ის შენთანაა მოვსა

„ვისოლ ჯგუფის“ დახმარებით წიგნები სიარულს იწყებენ - დაელოდე, ის შენთანაა მოვსა




„წიგნი ყველა სოფელს“ აქტიურ ფაზაში გადადის და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იწყებს მოძრაობას. ათვლის წერტილი ავტოგასამართ „ვისოლის“ თამარაშვილის ფილიალი გახდა. თბილისის სხვადასხვა უბნის მოსახლეობა ინოვაციურ პროექტში ჩართვას საკუთარი უბნიდან შეძლებს. ხელიდან ხელში გადაცემის პრინციპით წიგნები შორეულ რეგიონებში გადაინაცვლებენ და იმ ადამიანების ხელში აღმოჩნდებიან, ვისაც ის ყველაზე მეტად სჭირდება. იდეის ავტორები და კომპანია „ვისოლი“ უპრეცედენტო აქციის მთავარი შემოქმედები არიან.

იდეის ერთ-ერთი ავტორი, ბექა ლაუონია პროექტის მნიშვნელობასა და მიმდინარეობაზე გვესაუბრება.

ბექა ლაუონია: „თითოეულ თბილისელს შეუძლია, გახდეს პროექტის მონაწილე. მე ვარ პასუხისმგებელი, რომ მათ მიერ მოტანილი თითოეული წიგნი ადრესატამდე მივა. წიგნს აუცილებლად ეყოლება მკითხველი. „წიგნი ყველასთვის“ - იდეა გახლავთ ჩემი, ახლა უკვე პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო. ჩვენ ვესტუმრებით ყველა რეგიონს, შემდეგი გასვლა იქნება ფშა-ხევისურეთში, მოსახლეობას ჩაუვტანთ დახლოებით 2 ათასამდე წიგნი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვამარაგებთ სოფლის ბიბლიოთეკებს და ასევე, წიგნის პოპულარიზაციაზე ვმუშაობთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ვისოლ ჯგუფს“.

„ვისოლ ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა, პროექტის მიმდინარეობაში აქტიურადაა ჩართული. ის თავად გახლავთ პროექტის გულშემატკივარი და ორმაგად ამაყობს, რომ ამ პროექტის წარმატება „ვისოლის“ დამსახურებაა.



ვასილ ხორავა: „ვისოლ ჯგუფი“ აქტიურად არის ჩართული ამ საქმეში. ჩვენ არაერთი აქცია გავაკეთეთ - „წიგნი ყველასთვის“ მხარდასაჭერად. დღეს ჩვენი აქციის არსი იმში მდგომარეობს, რომ თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში, თამარაშვილზე, ავტოგასამართ სადგურზე, ყველა მოსულ მომხმარებელზე კომპანია „ვისოლი“ გაიღებს ერთ ლარს, რომელიც მოხმარდება, ასევე, წიგნების შეძენას და შემდგომ უკვე რაიონში ამ წიგნების დისტრიბუციასა და დარიგებას. ასევე, სასიამოვნო ინფორმაციაა ის, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში 100-მდე ბიბლიოთეკაში მოხდა შეგროვებული წიგნების დისტრიბუცია და დარიგება. ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პროექტი წარმატებულად ხორციელდება და აქტიურად იღებს იმ შედეგს, რასაც ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგება ჰქვია.

კონსტანტინე სვანაძე, იდეის ერთ-ერთ ავტორი, აქციის უპრეცედენტობას უსვამს ხაზს და ამბობს, რომ წიგნი ყველა სოფელს, მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიური იქნება.

კონსტანტინე სვანაძე: დღეს „დავითიანი“ თავისი პარტნიორების დახმარებით იწყებს უპრეცედენტო აქციას. მოსიარულე ბიბლიოთეკა ქალაქის მოსახლეობას ეწვევა და



ხელიდან ხელში პრინციპით, მათ საშუალება ექნებათ, გადმოგვცენ წიგნები, მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ჩვენ ვგეგმავთ მსგავსი აქციების ჩატარებას თბილისის ყველა რაიონში, დღეს პირველად ჩატარდება გლდან-ხაძაღაძის რაიონში, სადაც მოსახლეობა უკვე ინფორმირებულია და მოსიარულე ბიბლიოთეკის საშუალება ექნება, წიგნები შეაგროვოს და სოფლის ბიბლიოთეკას გადასცეს.

პროექტის აქტიური მხარდამჭერია ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, რომლის მეშვეობითაც მოხდა იდეის დაფინანსება და ხორცილესხმა.

ირაკლი ურულოანი, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი: „პროექტი „წიგნი ყველა სოფელს“ - ეს არის კოალიციური პროექტი, რომელშიც ჩართულნი არიან სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და ყველა მათგანი თანხმდება, რომ ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონების წიგნებით მომარაგება. ამჟამად იწყება თბილისის მასშტაბით წიგნების შეგროვება და ეს გაგრძელდება რეგიონებში. თითოეული მხარე მოტივირებულია, რომ წიგნი იყოს უმთავრესი პრიორიტეტი ახალგაზრდობისთვის. ეს ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს.“

ასე რომ, „წიგნი ყველა სოფელს“ აქტიურ ფაზაში შევიდა. დაელოდე, ის შენამდეც მოვა. **A**



my View
ნიმე მკვლევარი

25 წლის მსახიობი, თაზო გახარია ახალ სატელევიზიო სეზონზე ორ ტელეარხზე, ორ ქართულ სერიალში გამოჩნდა, „ჯი-დი-ეს“-ზე „მზარეულე-ში“ მიამიტ, მხიარულ კოტიკოს თამაშობს. „მაესტროზე“ „ჩვენ გვერდით“ კი - ზეაქტიურ ძველ ბიჭს. ორივე სერიალში მისი გმირი შეყვარებულია. როგორ აირჩია პროფესია, რატომ არჩია თეატრს კინო და როგორი გოგონები მოსწონს თბილისში ერთ-ერთ სიმპათიურ, სასურველ სასიძოს, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ.

- ბიძაჩემი, ნიკუშა გახარია, მსახიობი იყო. მეც, ბავშვობიდან მიხდოდა ამ პროფესიას გავყოლოდი. წყალბურთზეც დავედი, მომწონდა სპორტის ეს სახეობა, მაგრამ ორივე ერთად არ გამოვიდოდა, ამიტომ მსახიობობა ვარჩიე და თეატრალურზე ჩავებარე. სიმართლე გითხრათ, არ ვიყავი კარგი მოსწავლე, ხშირად ვაცდენდი. თუმცა, არ გამიცდენია სამსახიობო ოსტატობისა და მეტყველების ლექციები.

- რომელი იყო შენი პირველი როლი?

- ეს იყო საკურსო სპექტაკლი „გუმინდელი“, გიორგი შალუტაშვილის რეჟისორობით. რუს გენერალს, „გრენგოლს“ ვთამაშობდი. შემდეგ ვითამაშე სადიპლომო სპექტაკლში, „ჩვენი პატარა ქალაქი“. თუმანიშვილის თეატრის მსახიობებთან ერთად ვთამაშობდი, საკმაოდ წარმატებული გამოვიდა. ლონდონში წავიღეთ სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე და ყველაზე მეტი ჯილდო ჩვენ ავიღეთ. ორი როლი მქონდა ამ სპექტაკლში, მისტერ ვეზი და მესაფლავე. გარკვეული პერიოდი თავისუფალ თეატრში ვთამაშობდით ამ სპექტაკლს. მერე ცოტა ხანს პაუზა მქონდა. მერე ორ თეატრში ერთდროულად დამაკავეს, ვაკის სარდაფში და მარჯანიშვილის სარდაფში. სამაგიდო სამუშაოებზე ვიყავით, სერიალებიდან რომ მივიღე შემოთავაზება.

- სერიალების

გამო სპექტაკლებზე თქვი უარი?

- ასე გამოვიდა. დრო აღარ დამრჩებოდა. ჩემთვის კამერასთან მუშაობა უფრო საინტერესო აღმოჩნდა. „მზარეულე-ს“ ორი წელი ველოდებოდით,

იმ დღიდან როცა პავილიონის აშენება დაიწყო. გვინდოდა რალაც ახალი და განსხვავებული გაგვეკეთებინა. მგონი შევძ-



„ერთ-ერთი სპექტაკლზე კაბასაც კი ვუსწორებდი, არაფერი რომ არ გამოსჩენოდა“

„ქალიან სიფათიანი ვარ. ბავშვობაში ორივე ფეხი და ორივე ხელი მაქვს მოტახილი“



კოტიკო ფრინკა თაზო გახარია ბარმანი

კოტიკო უკრუსოლო პარკინა და მისი კოტიკოები ზოგჯერ კალაქშია მსოფლიო. მისი დაბადება იყო, რომ სიბერეშია, მომთხრობის პრინციპითაა და მისი პარკინაა. მისი დაბადება იყო, რომ სიბერეშია, მომთხრობის პრინციპითაა და მისი პარკინაა.

ვლით. თან ეს მხოლოდ დასაწყისია, ყველაფერი წინ არის.

- რით შგავხარ კოტიკოს, შენს გმირს „მზარეულეში“?

- ორივეს გინევეს კონფლიქტები ადამიანებთან, მაგრამ ძალიან მალე ვივინეებთ წყენას და ვპატიობთ. სიდებილით ნამდვილად არ ვგავარ, არც დაბნეულობით. ცოტა ინტელექტშიც უჭირს ჩემს გმირს, საბედნიეროდ, არც მაგით ვგავარ.

- საკმაოდ გამოცდილ მს-

„მეგობარი ბოგონები მყოლია, მებრამ შეყვარებული ჯერ არ ვყოფილვარ“

ახიობებთან გინევეს მუშაობა. „მზარეულეში“ შენთან ერთად თამაშობენ, დუტა სხირტლაძე, ზუკა პაპუაშვილი, ქეთი კანტიძე. რას სწავლობ მათგან?

- ძალიან ბევრ რამეს. ზოგჯერ, როცა ჩემი სცენა არ არის, მაინც მივდივარ გადაღებაზე და ვუყურებ გადაღების პროცესს. უფროს თაობას ყოველთვის დიდ პატივს ვცემ. ზოგიერთი მათგანი იმდენი წელია სცენაზე დგას, რამდენი წლისაც მე ვარ. ვაკვირდები, ვაანალიზებ, ვსწავლობ.

- თაზო, შენ პარალელურად თამაშობ სერიალში „ჩვენ გვერდით“, რომელიც „მაესტროს“ ეთერში გადის. როგორია შენი გმირი?

- სამი ძმაკაცი ვართ, ძველი ბიჭები გვინდა ვიყოთ, ტაქსისტს „ვაკაჩავენთ“, ვხულიგნობთ და ეს მოგვწონს. ერთ-ერთი

EXCLUSIVE

„ძველი ბიჭები გვინდა ვიყოთ, ტაქსისტს „ვაკარავებთ“, ვსულიგნობთ და ეს მოგვწონს“



ძმაცაცის მამა მილიონერია, სამშენებლო კომპანია აქვს და ნაწილს ჩვენ გვაბარებს. ვინცებთ ფულის შოვნას. ჩემი პერსონაჟი ქარაფშუტა ტიპია, ზეატეიური, სულ გართობა უნდა, მაგრამ საბოლოოდ ისეთ საქმეს აკეთებს ზუკა, რომ ორივეზე მაღლა დგება.

- შენი ორივე გმირი შეყვარებულია...

- კოტიკოს მიმტანი ნათია უყვარდება. ნათიას ჩემი ჯგუფელი თეკლა ჯავახაძე თამაშობს. საკურსო სპექტაკლში და სადიპლომოდ ნამუშევარშიც პარტნიორები ვიყავით. ერთ სპექტაკლში ვაუპატიურებ კიდევ. იმდენად ახლო მეგობრები ვართ, ერთ-ერთ სპექტაკლზე კაბასაც კი ვუსწორებდი, არაფერი რომ არ გამოსჩენოდა. ამას სულ ვისვენებთ ხოლმე მე და თეკლა... მეორე სერიალში ჟურნალისტი შეუყვარდა ჩემს გმირს.

- რეალურ ცხოვრებაში თუ ხარ შეყვარებული?

- არა, მეგობარი გოგონები მყოლია, მაგრამ შეყვარებული ჯერ არ ვყოფილვარ.

- რისი ბრალია?

- არ ვიცი. ზუსტად ვიცი, რომ სიყვარული შემიძლია, მაგრამ...

- როგორი გოგონები მოგწონს?

- თავის თავზე დიდი წარმოდგენა რომ აქვთ ისეთი გოგონები არ მომწონს, ამბიციურები, შინაგანად სხვანაირები რომ არიან და სხვანაირს რომ თამაშობენ, ისეთს, რომელიც არ უნდებათ.

- ოჯახში როგორ უყურებენ შენს პროფესიას, ვინ არის შენი მთავარი კრიტიკოსი?

- დედაჩემი. მსახიობი არ არის, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერია, ყველაფერჩიკია (იცინის). იშვიათად მაქვს. არ არის სუბიექტური, არ მიეკუთვნება იმ დედების რიცხვს, შვილების ყველაფერი რომ მოსწონთ. რაც არ მოსწონს, პირდაპირ ამბობს. ძმა მყავს კი-

„15 წლის ვიყავი ბიძა რომ გარდამეცვალა. ის ძალიან ბევრს აკეთებდა ჩემთვის. ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ბევრი რამ იქნებოდა სხვანაირად ჩემს ცხოვრებაში“

დეე 18 წლის, სანდრო. გენიოსია. სამ დღეში ერთხელ ახალი სერტიფიკატით ხელში ბრუნდება სახლში. ყველაფერი იცის, ყველა საკითხში ჩახედულია. მოსწონს ჩემი გმირები, მიყურებს ხოლმე და შენიშვნებსაც მაძლევს. კარგი რა, თაზო, ნუ მატყუებო, მეუბნება ხოლმე (იცინის). მაგას მართლა ვერ მოატყუებ.

- მსახიობი ბიძა მყავსო, მითხარი, ამაყობს შენით?

- 15 წლის ვიყავი ბიძა რომ გარდამეცვალა. ის ძალიან ბევრს აკეთებდა ჩემთვის. ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ბევრი რამ იქნებოდა სხვანაირად ჩემს ცხოვრებაში.

- კონკრეტულად რა შეიცვლებოდა?

- მე შევიცვლებოდი, ბევრად კარგი ვიქნებოდი.

- ცუდი ბიჭი ხარ?

- არა, მაგრამ არც სამაგალითო ვარ.

- თავისუფალ დროს როგორ ერთობი, წყალბურთზე საბოლოოდ თქვი უარი?

- წყალი ძალიან მიყვარს, მაგრამ დრო ცოტა მრჩება ამ სპორტისთვის. მიყვარს ღამის ცხოვრება, კლუბური მუსიკა, მაგრამ ბოლო

მტკიოდა, მაგრამ დილით ტკივილით გავიღვიძე.

- გადალებებს ხელს შეუშლის, ალბათ, შენი ფეხი...

- ცოტა ხნით მომიწევს ყავარჯნებით სიარული.

- მას მერე, რაც ეკრანზე გამოჩნდი, თაყვანისმცემელმა გოგონებმა იმატეს?

- ალბათ (იღიმება).

- ეს მოგწონს?

- ჩემი იდეაფიქსი არ ყოფილა პოპულარობა, უბრალოდ, მინდოდა მსახიობობა. ეს იყო და ეს.

- რა აქვს კარგი და რა ცუდი შენს პროფესიას?

- ჩემთვის ყველაფერი კარგი აქვს.

- სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

- ინგლისში მინდოდა სასწავლებლად წასვლა, დრამის ფაკულტეტზე. მაგრამ რალაცნაირად გაიწვია ეს პროცესი. მერე სერილების გადაღებები დაიწყო და დავრჩი.

დროს ამისთვისაც ცოტა დრო მრჩება.

- ფეხი როგორ მოიტეხე?

- ძალიან ხიფათიანი ვარ. ბავშვობაში ორივე ფეხი და ორივე ხელი მაქვს მოტეხილი. სახლში მოვედი, კიბეზე ამოვიდოდი და დავეცი. აი, ასე ჩვეულებრივად დავეცი (იცინის). თავიდან არ



„კაცები
ვაფრენთ,
მაგრამ
კარგად
ვაფრენთ“



exclusive


ნიკუშა
შენბელას
ცხოვრებისეული
ბამოცდილება

დანიჭირა წამი!
ჯიჟონის
კინოფესტივალის
რეგისტრაციის
დასრულებამდე
სულ რამდენიმე
დღე რჩება



exclusive

ჩოგბურთში
ფინანსები მთავარია



exclusive

12 წლის ცოტნე ძიმიტარაშვილს
მხარდაჭერა ესაჭიროება

სტუდენტური
ცხოვრება
ქართულად




exclusive

რატომ თქვა უარი
სპექტაკლებზე
„მზარეულების“
მსახიობმა
თაზო ბახარია



„მეგობარი გოგონები მყოლია, მაგრამ
შეყვარებული ჯერ არ ვყოფილვარ“

ISSN 1987-7404



9 771987 740005

შპს „სანავალ-დასავალის სტამბა“